*დანართი №2*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

*(სსიპ ქალაქ თბილისის #141 საჯარო სკოლა)*

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

**წევრები:**

თამთა დარსაველიძე - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
ეთერი ბროლაძე - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
მანანა სეხნიაშვილი - (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
ია გაგნიძე - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
სალომე არაბიძე - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
ელიზა კუკავა - (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
ლელა გაბისონია - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
მანანა შეროზია - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
ალექსანდრე ლაცაბიძე - ( სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
ნატო ხაჭაპურიძე - (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

# ნაწილი I. შესავალი

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ ქალაქ თბილისის #141 საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 200007679 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | თბილისი |
| იურიდიული მისამართი | თბილისი, გურამიშვილის 14ა |
| ფაქტობრივი მისამართი | თბილისი, გურამიშვილის 14ა |
| საფოსტო ინდექსი | 0180 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | ვებგვერდი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | Tbilisi141@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 2 61 30 47 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | #1221596; 22 სექტემბერი 2023 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 23-24 ოქტომბერი 2023 |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხური | ქართული ენა | ქალაქი თბილისი , გურამიშვილის 14 ა |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხური | ქართული ენა | ქალაქი თბილისი , გურამიშვილის 14 ა |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხური | ქართული ენა | ქალაქი თბილისი , გურამიშვილის 14 ა |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 22 სექტემბრის #1221596 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის განვახორციელეთ ვიზიტი სსიპ ქალაქ თბილისის #141 საჯარო სკოლაში მის. ქალაქი თბილისი, გურამიშვილის ქ. #14ა ა.წ . 23 და 24 ოქტომბერს. ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტამდე მოხდა დოკუმენტაციის შესწავლა და დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მხრიდან: ნაწილი დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნა ადგილზე მატერიალური სახით, ნაწილი კი ელექტრონული სახით. ვიზიტისას შეფასდა ოთხივე სტანდარტი, მათ შორის მეორე სტანდარტი თითოეული საფეხურისთვის. ექსპერტები ვიზიტისას გაესაუბრნენ ადმინისტრაციის და საგნობრივი კათედრების წარმომადგენლებს, ასევე ინტერვიურება ჩატარდა სპეციალურ მასწავლებლებთან და ბიბლიოთეკართან. ექსპერტმა ჯგუფმა დაათვალიერა მატერიალური რესურსი და სკოლის ინფრასტრუქტურა.

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტრიზაციის საბჭოს მიე განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილები ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიე მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობა |
|---|---|---|

| | | |
|---|---|---|

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

- დაწესებულებას აქვს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გამორჩეული  პრაქტიკა. პედაგოგი მოსწავლეებს ეხმარება ტექსტები დაუკავშიროს იაპონური მხატვრობის სტილს-მანგას, შესაბამისად უადვილებს მათ აღქმის და დასწავლის პროცესს.

## ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | **☒ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და<br>ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | **☐ შეესაბამება**<br>**☒ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3** | ☒ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| პროცესების მართვა | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br><br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებ | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br><br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | **☒ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 4.1**<br><br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა: 1200 | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება<br>☒ | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება<br>☐ | |

## III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*არ დაფიქსირებულა.*

## IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

| *სტანდარტი N3* | **სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა** | *რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N 3.1.1.1* | სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული; | *ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (21.11.2023-24.12.2023) უზრუნველყოს სტრუქტურის არსებულ იერარქიასთან შესაბამისობაში მოყვანა.* |
| *ინდიკატორი N 3.1.2.3* | პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით; | *ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (21.11.2023-21.12.2023) უზრუნველყოს დასაქმებულების მიერ კანონმდებლობით დადგენილი ცნობების წარმოდგენა.* |
| *ინდიკატორი N 3.1.2.4* | პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას; | *ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (21.11.2023-21.12.2023) უზრუნველყოს ექიმის კვალიფიკაციის შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების მოთხოვნებთან.* |
| *ინდიკატორი N3.4.1.1* | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას; | *ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (24.11.2023-24.11.2024) უზრუნველყოს შენობის მდგრადობის შესახებ (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ) დასკვნის მოპოვება და ექიმის კვალიფიკაციის შესაბამისობაში მოყვანა (21.11.2023-21.12.2023) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული* |

| | | |
|---|---|---|
| | | *ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების მოთხოვნებთან.* |
| *ინდიკატორი N*3.5.1.3 | სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს; | *ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (*24.11.2023-24.11.2024) *უზრუნველყოს შენობაში ინკლუზიური გარემოს ხელშეწყობის მიზნით შენობის ადაპტირება.* |

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური) | *რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *კომპონენტი N2.2.* | კურიკულუმის განხორციელება | *ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (24.11.2023-24.11.2024) უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიის მოწყობა.* |

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური) | *რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *კომპონენტი N2.2.* | კურიკულუმის განხორციელება | *ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (24.11.2023-24.11.2024) უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიის მოწყობა.* |

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური) | *რეკომენდაცია* |
|---|---|---|

| | | |
|---|---|---|
| *კომპონენტი N2.2.* | კურიკულუმის განხორციელება | *ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (24.11.2023-24.11.2024) უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიის მოწყობა.* |

## V. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ* არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N1.1.1.1* | სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს; | *ექსპერტთა რჩევაა, ხედვა გამოხატავდეს დაწესებულების სამომავლო სასურველ ნიშნულს და არ იყოს ფორმულირებული როგორც მიღწეული შედეგი.* |
| *ინდიკატორი N1.1.1.3* | სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით; | *ექსპერტთა რჩევაა, დაწესებულებამ მეთოდოლოგიის დოკუმენტში მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებასთან დაკავშირებული პროცესი გახადოს მოქნილი ინდიკატორის აღწერის შესაბამისად.* |
| *ინდიკატორი N1.1.1.4* | სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ; | *ექსპერტთა რჩევაა, დაწესებულებამ დაიცვას დოკუმენტაციაში პროცედურათა თანმიმდევრობა იმგვარად, რომ თავისი შინაარსით თანამიმდევრულად აშუქებდეს ინდიკატორის აღწერაში მოცემულ საკითხებს.* |
| *ინდიკატორი N1.2.2.2* | მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების დ სამოქმედო გეგმების შესრულები მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორი სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვ | *ექსპერტთა რჩევაა, მეთოდოლოგიის დოკუმენტში დაზუსტდეს მონიტორინგის და შეფასების პროცესში სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მიღების ფორმები და მექანიზმი, მათ შორის შუალედური შეფასებისას.* |

| | | |
|---|---|---|
| | დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი გათვალისწინებით; | |
| *სტანდარტი N3* | **სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა** | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N.3.1.2.1* | პერსონალის მართვის პროცესებ ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა დ დაწესებულების მიერ დადგენილი პირობები შესაბამისად; | *. ექსპერტთა რჩევაა, დოკუმენტებზე მუშაობისას დაწესებულებამ გაითვალისწინოს დოკუმენტაციის წარმოების წესი, გასწორდეს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში არსებული ხარვეზები-მუხლების ნუმერალიზაციასთან დაკავშირებით.* |
| *ინდიკატორი N3.4.1.1* | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზ ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას; | ექსპერტთა რჩევაა, დაწესებულებამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც ექნება აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატი და შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენციის მიზნით უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვასა და მართვას. |
| *სტანდარტი N4* | **მოსწავლეთა მხარდაჭერა** | *რჩევა* |
| *ინდიკატორი 4.2.2.3* | შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვ კანონმდებლობით დადგენილი უფლები მოპოვების ვალდებულების არარსებობ შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდებ უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმები დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლ საუკეთესო ინტერესებს. | *მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში შეთავაზებული წრეების პედაგოგებისგან დაწესებულებამ მოითხოვოს ცნობები ნასამართლეობის, უფლების ჩამორთმევის შესახებ და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ.* |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური) | *რჩევა* |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი-* 2. 2.1.2 | ტექნოლოგიები<br>კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს | *ექსპერტთა რჩევაა:*<br>✓ *ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო-ცხრილში ბმულის სახით მიუთითონ მაგალითი შედარებისთვის და რესურსები (ნაგულისხმევია ელექტრონული რესურსები), იდეის სვეტში დააკონკრეტონ რა პროდუქტი უნდა შექმნან მოსწავლეებმა (მაგ: პრეზენტაცის შექმნა, თამაშის შექმნა, პოსტერის შექმნა და ა.შ..)*<br>✓ *მე და საზოგადოების და ჩვენი საქართველოს მე-5 და მე- 6 კლასის კურიკულუმები გაიწეროს და განისაზღვროს შუალედური მიზნები ყველა თემასთან მიმართებით, გამოიყოს კონტექსტ-მაგალითები და დამატებითი სასწავლო რესურსები.* |

| *სტანდარტი N2* | *სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)* | *რჩევა* |
|---|---|---|
| ინდიკატორი-**2.2.1.2** | კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს | საზოგადოებრივ მეცნიერებებში ყველა კლასისა და საგნის კურიკულუმებში *გაიწეროს და განისაზღვროს შუალედური მიზნები ყველა თემასთან მიმართებით, გამოიყოს კონტექსტ-მაგალითები და დამატებითი სასწავლო რესურსები.* |

| *სტანდარტი N2* | *სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)* | *რჩევა* |
|---|---|---|
| ინდიკატორი-2.2.1.2 | კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს | *საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემავალ ყველა საგნის პროგრამაში გაიწეროს და განისაზღვროს შუალედური მიზნები ყველა თემასთან მიმართებით, გამოიყოს კონტექსტ-მაგალითები და დამატებითი სასწავლო რესურსები.* |

## VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ 2023 წლის # N1623837 და 04 დეკემბრის N1636155 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება No99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მე-15 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული

პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მტკიცებულებები ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ კონკრეტული ხარვეზის აღმოსაფხვრელად გამოყოფილ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების $15^2$ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე გათვალისწინებულ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და ექსპერტთა შეფასება შეიცვალა შემდეგ ხარვეზებთან მიმართებით:

ინდიკატორი N 3.1.1.1 სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

ინდიკატორი N 3.1.2.3 პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;

ინდიკატორი N 3.1.2.4 პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

ინდიკატორი N3.4.1.1 სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;

ინდიკატორი N3.5.1.3 სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

მეორე სტანდარტის მეორე კომპონენტის შეფასება სამივე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით. აღნიშნულ ხარვეზებთან მიმართებით შეიცვალა შეფასება და შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი. ასევე წარმოდგენილ იქნა მტკიცებულებები, რომელიც გათვალისწინებულ იქნა ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15 მუხლის მე- 10 პუნქტის საფუძველზე და თუმცა ექსპერტთა შეფასება არ შეცვლილა, რადგან ინდიატორის მოთხოვნა სრულად ყოფილა შესრულებული. ექსპერტთა მიერ არ იქნა მხედველობაში ექიმის სერტიფიკატთან დაკავშირებით წარმოდგენილი მტკიცებულება-ინდიკატორი N 3.1.2.4 პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და ინდიკატორი N3.4.1.1 სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას-ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით.

# ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

**1. სკოლის ფილოსოფია**

**1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები**

**1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში**

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ ქალაქ თბილისის #141 საჯარო სკოლის დირექტორის 15 სექტემბრის #2-242 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ ქალაქ თბილისის N141 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. აღნიშნული მეთოდოლოგიის მეექვსე მუხლის სკოლის ფილოსოფიაზე-მისიაზე, ხედვასა და ღირებულებებზე მუშაობს დირექტორის მიერ ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. სსიპ ქალაქ თბილისის #141 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 28 სექტემბრის #11 სხდომაზე მოხდა შემუშავებული მისიის, ხედვისა და ღირებულებების შეთანხმება, ამავე სხდომაზე დამტკიცდა შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომლის შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენს მისია, ხედვა და ღირებულებები. სკოლის მისიაა მოზარდის კულტურული,სოციალური და პიროვნული ზრდისათვის უსაფრთხო, ჰარმონიული , წამახალისებელი და ეფექტური გარემოს შექმნა; ინტელექტუალური პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა და განვითარება; თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი ცოდნის ფორმირება; მოზარდთა სულიერი განვითარება,სამოქალაქო და სამართლებრივი

აღზრდა,დემოკრატიული ტრადიციების ჩამოყალიბება;გარემომცველი სამყაროს,ქვეყნის,ოჯახის სიყვარულისა და ერთგულების გრძნობის გაღვივება და ჩამოყალიბება; მოსწავლეთა მომზადება საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისათვის. დაწესებულების ხედვა ჩამოყალიბებულია ამგვარად: „ჩვენი სკოლა არის უსაფრთხო და დაცული ადგილი, ყველა მოსწავლე განათლებას მიიღებს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისგან თავისუფალ გარემოში. განათლება არის გაზიარებული პასუხისმგებლობა მოსწავლეებს, ოჯახებს, სკოლის პერსონალსა და სასკოლო საზოგადოებას შორის. ყველა მოსწავლეს შეუძლია კარგად სწავლა მათი უნარების შესაბამისად. სკოლა ამზადებს მოსწავლეებს იმისათვის, რომ ისინი იყვნენ წარმატებული მოქალაქეები. სკოლა დანერგავს უახლოეს ტექნოლოგიებს იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს სწავლა-სწავლების პროცესის უწყვეტ განვითარებას. სკოლისა და მოსწავლეების შეფასება მრავალმხრივად ხდება. სკოლა მოსწავლეებს ინდივიდუალურ საჭიროებებებს ითვალისწინებს და ამისათვის მათ მრავალფეროვან პროგრამებს სთავაზობს“. აღნიშნული ხედვა გამოხატავს არა სამომავლოდ დაგეგმილ აქტივობებს, არამედ რიგი პუნქტები წარმოადგენს უკვე არსებულის აღწერას. ხედვა უნდა წარმოადგენდეს მომავლის სურათს, დანიშნულების ადგილს თუ სად უნდა იყოს დაწესებულება გარკვეული პერიოდის შემდგომ. თუმცა მისიაც და ხედვაც შესაბამება საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის დადგენილება №84-ით დამტკიცებულ „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დოკუმენტს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** *ექსპერტთა რჩევაა, ხედვა გამოხატავდეს დაწესებულების სამომავლო სასურველ ნიშნულს და არ იყოს ფორმულირებული როგორც მიღწეული შედეგი.*

**2.** დაწესებულება ღიად აცხადებს, რომ სკოლის მისიაა მოზარდის კულტურული,სოციალური და პიროვნული ზრდისათვის უსაფრთხო, ჰარმონიული , წამახალისებელი და ეფექტური გარემოს შექმნა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება თავის თავს მოიაზრებს მოზარდთა განვითარების და აღზრდის პროცესში. ხედვის განაცხადით დაწესებულება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ დაწესებულება ქმნის ხელსაყრელ გარემოს, სივრცეს მოზარდთა განვითარებისა და განათლების მიწოდებისთვის. დაწესებულება ორიენტირებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებაზე და ამისთვის მრავალფეროვან შესაძლებლობებს სთავაზობს მათ. დაწესებულებაში ხორციელდება უამრავი სასწავლო პროექტი, მათ შორის ინგლისურ ენაზე. შესაბამისად, სკოლა ნამდვილად არის ის სოციო-კულტურული სივრცე, რომელიც მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს განვითარდნენ პიროვნულად, რაც ასევე ასახულია დაწესებულების მისიასა და ხედვაში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.** სსიპ ქალაქ თბილისის #141 საჯარო სკოლის დირექტორის 15 სექტემბრის #2-242 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ ქალაქ თბილისის N141 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“. აღნიშნული მეთოდოლოგიის მეექვსე მუხლის სკოლის ფილოსოფიაზე-მისიაზე, ხედვასა და ღირებულებებზე

მუშაობს დირექტორის მიერ ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. სკოლის დირექტორის 2023 წლის 15 სექტემბრის #2-243 ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით. აღნიშნული ჯგუფი შედგებოდა როგორც პედაგოგთა და მშობელთა, ასევე მოსწავლეთა წარმომადგენლებისგან. ჯგუფმა შეიმუშავა კითხვარი, გამოიკითხა სასკოლო საზოგადოების წევრები. 2023 წლის 27 სექტემბერს #1 სხდომაზე შეჯერდნენ და შეიმუშავეს მისიის, ხედვის, ღირებულებების პროექტი. სსიპ ქალაქ თბილისის #141 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 28 სექტემბრის #11 სხდომაზე მოხდა შემუშავებული მისიის, ხედვისა და ღირებულებების შეთანხმება, ამავე სხდომაზე დამტკიცდა შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომლის შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენს მისია, ხედვა და ღირებულებები. როგორც ზემოთ აღწერილიდან ჩანს, მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება. ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მერვე მუხლის „ე“ და „ვ“ პუნქტის თანახმად, ჯერ სამეურვეო საბჭოს უნდა შეეთანხმებინა შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები, ხოლო შემდეგ პედაგოგიური საბჭოს მიერ უნდა დამტკიცებულიყო. როგორც სამუშაო ჯგუფის წევრებმა და სკოლის დირექციამ აღნიშნა ინტერვიურებისას, მისიის, ხედვის და ღირებულებების დოკუმენტი შეთანხმდა სამეურვეო საბჭოსთან, თუმცა არ დამტკიცებულა. შესაბამისად, დაწესებულების მიერ განხორციელებული საქმიანობა ამ ნაწილში შესაბამისობაში არ მოდის მეთოდოლოგიის დოკუმენტთან, რომლის მიხედვითაც დაწესებულებამ უნდა იხელმძღვანელოს პროცესის წარმართვისას. თუმცა გამომდინარე იქედან, რომ არცერთი კანონქვემდებარე აქტი არ ავალდებულებს დაწესებულებას დაამტკიცოს მისიის, ხედვის და ღირებულებების დოკუმენტი, შესაძლებელია მეთოდოლოგიის შეცვლა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს ჩამოყალიბებაში სასკოლო საზოგადოების მონაწილეობა და შემუშავებული დოკუმენტის გაზიარება, ხოლო დამტკიცების ვალდებულება არ იყოს განსაზღვრული მეთოდოლოგიით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*ექსპერტთა რჩევაა, დაწესებულებამ მეთოდოლოგიის დოკუმენტში მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებასთან დაკავშირებული პროცესი გახადოს მოქნილი ინდიკატორის აღწერის შესაბამისად.*

4. დაწესებულების მიერ შემუშავებული მისიის, ხედვის და ღირებულებების გაცნობა მოხდა სამეურვეო საბჭოს წევრებისთვის 2023 წლის 28 სექტემბერს, რაც დასტურდება კიდეც სამეურვეო საბჭოს #11 ოქმით. ამ პროცესს წინ უსწრებდა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა და წარმოდგენილი იქნა 2023 წლის 27 სექტემბრის #1 ოქმი. როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებისას სექტემბერში, დაწესებულებას ჯერ არ ჰქონდა ახალი მისია, ხედვა და ღირებულებები. შესაბამისად, დადგა იმის საჭიროება, რომ მისიის და ხედვის ცვლილებასთან დაკავშირებით ცვლილება განხორციელებულიყო სასკოლო სასწავლო გეგმაში. შესაბამისად, აღნიშნულ ცვლილებას პედაგოგიური საბჭო გაეცნო განახლებული სასკოლო სასწავლო გეგმის

დამტკიცებისას. დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც სამეურვეო საბჭომ შეითანხმა 2023 წლის 24 სექტემბრის #16 სხდომაზე, ხოლო პედაგოგიურმა საბჭომ დაამტკიცა ამავე დღეს #7 სხდომაზე. დაწესებულებამ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განათავსა საინფორმაციო დაფასა და სკოლის ვებგვერდზე, შესაბამისად ხელმისაწვდომია როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის, ისე სხვა დაინტერესებული პირებისთვის. როგორც სასკოლო საზოგადოების წევრებთან, კერძოდ პედაგოგებთან გასაუბრებამ აჩვენა ისინი იცნობენ სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს, იზიარებენ და ამავდროულად მათი გაცნობა მოხდა მოსწავლეებისთვის სადამრიგებლო საათის ფარგლებში შეხვედრებზე. ექსპერტებამ შეისწავლეს წარმოდგენილი დოკუმენტაცია ქრონოლოგიურ ჭრილში, დაწესებულებამ ჯერ სასკოლო სასწავლო გეგმასთან ერთად შეუთანხმა სამეურვეო საბჭოს 24 სექტემბრის #16 სხდომაზე სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, 27 სექტემბერს სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა და ჩამოაყალიბა მისიის, ხედვის და ღირებულებების პროექტი, ხოლო 28 სექტემბერს #11 ოქმის პირველ საკითხად გაიტანა სამეურვეო საბჭოს სხდომაზე მისიის, ხედვის და ღირებულებების შეთანხმება, ამავე ხდომაზე დამტკიცდა სტრატეგიული განვითარების გეგმაც. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*ექსპერტთა რჩევაა, დაწესებულებამ დაიცვას დოკუმენტაციაში პროცედურათა თანმიმდევრობა იმგვარად, რომ თავისი შინაარსით თანამიმდევრულად აშუქებდეს ინდიკატორის აღწერაში მოცემულ საკითხებს.*

***5.*** დაწესებულებას სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე როგორც ცალკე, ისე სასკოლო სასწავლო გეგმასთან ერთად. ამავდროულად სკოლას ვებგვერდზე განთავსებული აქვს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილია დოკუმენტის საჯაროობა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

***6.*** ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რეორგანიზაციისა და "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების თანახმად, სსიპ ქალაქ თბილისის #141 საჯარო სკოლა არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. **შესაბამისად მისი სახელწოდება შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ ტერმინთან. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- ✓ საინიციატივო ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- ✓ საინიციატივო ჯგუფის მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია;
- ✓ მისიის, ხედვის და ღირებულებების დოკუმენტი;

- ✓ სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- ✓ პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- ✓ სკოლის ვებგვერდი;
- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება**

**1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა**

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ ქალაქ თბილისის #141 საჯარო სკოლის დირექტორის 15 სექტემბრის #2-242 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ ქალაქ თბილისის N141 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. აღნიშნული მეთოდოლოგიის მეშვიდე მუხლის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმარების პირველი ეტაპი მოიცავს ინფორმაციის შეგროვებას და ანალიზს. აღნიშნულ ეტაპზე ხდება სასკოლო საზოგადოების აზრის კვლევა, რისთვისაც დაწესებულება გეგმავს როგორც რაოდენობრივი ისე თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებას. სამუშაო ჯგუფი მუშაობის პროცესში აქტიურ კომუნიკაციას ამყარებს სასკოლო საზოგადოების წევრებთან, ისმენს მათ რეკომენდაციებსა და შენიშვნებს და ასახავს მათ სტრატეგიული განვითარების გეგმაში. მეთოდოლოგიის მეხუთე მუხლის თანახმად, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები მუშავდება დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლეთა შემადგენლობაშიც შედის: სკოლის დირექციის წარმომადგენლები, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მასწავლებლები/წარმომადგენლები კათედრებიდან, მოსწავლე/წარმომადგებელი მოსწავლეთა თვითმმართველობიდან, მშობელი, თემის წამომადგენელი. შესაბამისად, არის იმის შესაძლებლობა რომ სასკოლო საზოგადოების კონკრეტული ჯგუფის ინტერესები გათვალისწინებულ იქნას დაგეგმვის პროცესში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.** სსიპ ქალაქ თბილისის #141 საჯარო სკოლის დირექტორის 15 სექტემბრის #2-242 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ ქალაქ თბილისის N141 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. აღნიშნული მეთოდოლოგიის მეცხრე მუხლის თანახმად სტრატეგიული განვითარების გეგმას ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. ამავე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, სტრატეგიული განვითარების გეგმა უნდა იყოს ციკლური და უნდა მოიცავდეს: სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებს, შესრულების ვადებს. სსიპ ქალაქ თბილისის #141 საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა დამტკიცებულია 2023 წლის 28 სექტემბრის #11 სამეურვეო საბჭოს ოქმით. სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს და ამ მიზნის შესაბამის ამოცანებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.** სსიპ ქალაქ თბილისის #141 საჯარო სკოლის დირექტორის 15 სექტემბრის #2-242 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ ქალაქ თბილისის N141 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. აღნიშნული მეთოდოლოგიის მეცხრე მუხლის თანახმად, ერთწლიან სამოქმედო გეგმას ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. 2023 წლის 28 სექტემბრის #11 სამეურვეო საბჭოს ოქმით დამტკიცებულია სსიპ ქალაქ თბილისის #141 საჯარო სკოლის ერთწლიანი (2023-2024) სამოქმედო გეგმა. ამავე მუხლის მეოთხე პუნქტის თანახმად სამოქმედო გეგმა მოიცავს: სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებს, აქტივობებს, შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს, შესრულების ვადებს, შესრულების ინდიკატორებს და

რესურსებს. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შემუშავებულია მეთოდოლოგიის შესაბამისად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.** დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებს, აქტივობებს, შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს, შესრულების ვადებს, შესრულების ინდიკატორებს და რესურსებს. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შემუშავებულია მეთოდოლოგიის შესაბამისად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- ✓ სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ✓ 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა.

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ ქალაქ თბილისის #141 საჯარო სკოლის დირექტორის 15 სექტემბრის #2-242 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ ქალაქ თბილისის N141 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. აღნიშნული მეთოდოლოგიის მეთერთმეტე მუხლის თანახმად სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების

მონიტორინგს ახორციელებს სამეურვეო საბჭო. სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ ანგარიშს წარმოადგენენ პასუხისმგებელი პირები სამოქმედო პერიოდის დასრულების შემდგომ. სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგის კი ხდება ყოველი სამი წლის და საანგარიშო პერიოდის შესრულების შემდგომ. სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმის ანგარიშები განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით განთავსდება ვებგვერდზე. მეთოდოლოგიას დანართის სახით თან ახლავს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სტრატეგიული დაგეგმვის საწყის ეტაპზე მეთოდოლოგიის მიხედვით ხდება ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი. აღნიშნულ პროცესში ხდება სასკოლო საზოგადოების ჩართვა და გამოკითხვა სხვადასხვა მეთოდით. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით გაწერილია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის და შეფასების შედეგები გაზიარდება დაინტერესებულ პირებთან. სკოლას აქვს წინარე გამოცდილება და როგორც დირექტორმა აღნიშნა გასაუბრებისას, რეგულარულად ხდებოდა და ხდება სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*ექსპერტთა რჩევაა, მეთოდოლოგიის დოკუმენტში დაზუსტდეს მონიტორინგის და შეფასების პროცესში სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მიღების ფორმები და მექანიზმი, მათ შორის შუალედური შეფასებისას.*

3. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ დაწესებულება მოქმედებს გამჭირვალობის პრინციპით, სტრატეგიული დაგეგმვისას და შეფასებისას იყენებს ღია და საჯარო მიდგომებს, რომელიც აისახება შესაბამის წესებსა და პროცედურებში. მეთოდოლოგიის მეთერთმეტე მუხლის მეცხრე პუნქტის თანახმად, სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების ანგარიშები, საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, განთავსდება ვებგვერდზე. დაწესებულებას უკვე განთავსებული აქვს ვებგვერდზე ერთწლიანი სამოქმედო და შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია მონოტორინგის და შეფასების შედგომ ცვლილებების განხორციელება. ინიცირება ხორციელდება დირექტორის სახელზე. ინიცირებისას ინიციატორმა უნდა განსაზღვროს ცვლილებების საფუძველი.. წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით. ანგარიშის საფუძველზე გადაიხედება სტრატეგიული გეგმა და განისაზღვრება მასში ცვლილებების შეტანის საჭიროება. მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში საფუძვლად ედება შემდგომი წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

### 3.1. პერსონალის მართვა

#### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ ქალაქ თბილისის #141 საჯარო სკოლის დირექტორის „ადმინისტრაციასა და სხვა მუშაკებს შორის ფუნქციათა გადანაწილების შესახებ“ 2014 წლის 25 სექტემბრის #2-247 ბრძანება. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს დირექტორის, დირექტორის მოადგილის, ბუღალტრის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის, საქმისმწარმოებლის, ბიბლიოთეკარის, დარაჯის და დამლაგებლის ფუნქცია-მოვალეობებს. თუმცა სკოლის საშტატო და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული სხვა პირების სამუშაო აღწერილობა არ წარმოუდგენია დაწესებულებას. ამ ეტაპზე

წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ მოიცავდა საინფორმაციო მენეჯერის, სკოლის ექიმის, ფსიქოლოგის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტის, ცეცხლფარეშის სამუშაო აღწერილობას. ასევე ბრძანებაში მოცემული იყო კონკრეტულ პოზიციაზე მყოფი პირების სახელი და გვარი. სამუშაო აღწერილობა მტკიცდება ზოგადად, კონკრეტული პირების მითითების გარეშე. დაწესებულებამ წარმოადგინა ასევე სტრუქტურა. სტრუქტურა მოიცავს ყველა სტრუქტურულ ერთეულსა და თანამდებობას, რაც განსაზღვრულია სკოლის წესდებითა და საშტატო ერთეულით. თუმცა არასწორია წარმოდგენილი იერარქია, დირექტორს ექვემდებარება მხოლოდ მოადგილე და ბუღალტერი, მოადგილეს სტრუქტურის მიხედვით არ ექვემდებარება არცერთი თანამშრომელი, დამოუკიდებლად არის წარმოდგენილი, ზემდგომის გარეშე საინფორმაციო მენეჯერი, საქმისმწარმოებელი, ფსიქოლოგი, სპეციალური მასწავლებელი, ასისტენტი და ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკარს ექვემდებარება ტექნიკური პერსონალი, რაც არ დასტურდება არც სამუშაო აღწერილობით და არც შრომითი ხელშეკრულებით. ასევე მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი და ექიმი საერთოდ არ არის წარმოდგენილი სკოლის სტრუქტურაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ არის მკაფიო სტრუქტურული ერთეულების და პირების ფუნქციები. **ექსპერტთა შეფასებით, პირველ ეტაპზე ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული, რადგან არ იყო განსაზღვრული ყველა პირისთვის სამუშაო აღწერილობა, ასევე სკოლის სტრუქტურა არ შეესაბამებოდა დაწესებულებაში არსებულ დაქვემდებარებულთა იერარქიას.**

დაწესებულებამ 2023 წლის 30 ნოემბრის # N1623837 და 04 დეკემბრის N1636155 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მე-15 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, ხარვეზი აღმოფხვრის მტკიცებულებები და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტებმა შეისწავლეს წარმოდგენილი მტკიცებულება- სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციათა აღმწერი დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრულია სკოლის საშტატო და არასაშტატო ნუსხით განსაზღვრული თანამდებობებისთვის კონკრეტული პასუხისმგებლობები და მოვალეობები. ექსპერტთა მიერ მხედველობაში იქნა წარმოდგენილი მტკიცებულება და ინდიკატორის ხარვეზის ეს ნაწილი ამოღებულ იქნა. ექსპერტთა მიერ ასევე შესწავლილ იქნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც სკოლა სტრუქტურას შესაბამისობაში მოიყვანს არსებულ იერარქიასთან. 21.11.2023-24.12.2023 პერიოდში. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15² მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (21.11.2023-24.12.2023) უზრუნველყოს სტრუქტურის არსებულ იერარქიასთან შესაბამისობაში მოყვანა.*

2. დაწესებულების საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამშრომლის არსებობა ხელს უწყობ საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებას. მრჩეველთა საბჭო, მანდატურები და დისციპლინარული კომიტეტი ტექნიკურ პერსონალთან ერთად ზრუნავს სკოლაში უსაფრთხო და მოწესრიგებული გარემოს შექმნაზე. ადმინისტრაცია, პედაგოგიური საბჭო და კათედრები ზრუნავს სასწავლო პროცესის დაგეგვაზე, განხორციელებაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე. დირექცია ფასილიტაციას უწევს ამ პროცესებს, ჩართულია თითეული რგოლის მუშაობაში, აფასებს განხორციელებულ პროცესებს და საჭიროებისამებრ გასცემს რეკომენდაციებს. სამეურვეო საბჭო საჭიროებისამებრ წარუდგენს სკოლის დირექტორს რეკომენდაციებს, ითანხმებს სასკოლო სასწავლო გეგმას, ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესსა და ბიუჯეტს, იბარებს სკოლის დირექტორისგან წლის ბოლოს ფინანსურ და სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიშს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ ხელშეკრულებები;
- ✓ ფუნქცია-მოვალეობები;
- ✓ სტრუქტურა;
- ✓ სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- ✓ პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- ✓ სამოქმედო გეგმა;
- ✓ მრჩეველთა საბჭოს ოქმი.

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.** სსიპ ქალაქ თბილისის #141 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 28 სექტემბრის #11 ოქმით დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია პერსონალის მართვის პროცედურები. პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში ასახულია ადამიანური რესურსების მართვის ძირითადი სტრატეგია და მიზნები, პერსონალის შემუშავებული სამუშაოს შეფასება, პერსონალის პროფესიული განვითარება; პერსონალის წახალისება მათ შორის პერსონალის დაკავშირებული ინიციატივების წახალისება. დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2019 წლის #4 ოქმით. შინაგანაწესი არეგულირებს პერსონალის დისციპლინურული პასუხისმგებლობის საკითხებს; თანამშრომლებს შორის კომუნიკაციას; პერსონალის განთავისუფლება და სხვა. დაწესებულების შინაგანაწესი თანხვედრაშია საქართველოს შრომის კოდექსთან და პერსონალთან გაფორმებულ ინდივიდუალურ ხელშეკრულებასთან. დაწესებულების მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი ხარვეზულია. ნუმერალიზაცია იწყება მეოთხე მუხლიდან.გამოტოვებულია, მე-6, მე-9,მე-12 და მე-15 მუხლები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*ექსპერტთა რჩევაა, დოკუმენტებზე მუშაობისას დაწესებულებამ გაითვალისწინოს დოკუმენტაციის წარმოების წესი, გასწორდეს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში არსებული ხარვეზები.*

**2.** სსიპ ქალაქ თბილისის #141 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 28 სექტემბრის #11 ოქმით დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, აღნიშნული დოკუმენტი გამოიყენება მართვის პროცესში და მოიცავს როგორც პრევენციულ ისე ინტერვენციულ ღონისძიებებს. სკოლის დირექტორმა ინტერვიურებისას განაცხადა, რომ იგი რეგულარულად აფასებს სკოლაში არსებულ ვითარებას, აფასებს პერსონალის მუშაობის პროცესს და საჭიროების შემთხვევაში საქმიანობის უკეთ წარმართვის მიზნით ახდენს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას, ასევე სკოლას აქვს შემცვლელი მასწავლებლის ყოლის პრაქტიკა. რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვას რომელიმე თანამშრომლის ბიულეტენის ან შვებულების პერიოდში. დაწესებულების ხელმძღვანელობა აანალიზებს არსებულ სიტუაციას და

ატარებს საჭიროებისამებრ როგორც პრევენციულ ისე ინტერვენციულ ღონისძიებებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.** დაწესებულების მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი არ მოიცავს კადრების მოზიდვასთან დაკავშირებულ საკითხებს: კონკურსის გამოცხადებას, კომისიის შექმნას, კონკურსის ეტაპებსა და სხვა. თუმცა როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა ინტერვიუში ექსპერტებთან, კომისიის წევრად განისაზღვრება დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის წარმომადგენელი, სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი, სსიპ – მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი და მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წარმომადგენელი. შესაბამისად სკოლაში არსებული პრაქტიკა თანხვედრაშია „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებასთან, ცვლილება №61/ნ 23.05.2022წ. დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული კონკურსის ჩატარების წესი. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პედაგოგთა და სხვა დასაქმებულთა პირადი საქმეები. პირადი საქმეების შესწავლისას, აღმოჩნდა რომ 2020 წლის შემდეგ დასაქმებულებს არ ჰქონდა წარმოდგენილი ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ. **შესაბამისად, ექსპერტთა შეფასებით, დასკვნის პროექტში ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული.**

დაწესებულებამ 2023 წლის 30 ნოემბრის # N1623837 და 04 დეკემბრის N1636155 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება No99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მე-15 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, ხარვეზი აღმოფხვრის მტკიცებულებები და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტებმა შეისწავლეს წარმოდგენილი მტკიცებულება- სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კონკურსის ჩატარების წესი. ექსპერტთა მიერ მხედველობაში იქნა წარმოდგენილი მტკიცებულება და ინდიკატორის ხარვეზის ეს ნაწილი ამოღებულ იქნა. ექსპერტთა მიერ ასევე შესწავლილ იქნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დასაქმებულების მიერ კანონმდებლობით დადგენილი ცნობების წარმოდგენის უზრუნველყოფა მოხდება 21.11.2023-21.12.2023 პერიოდში. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15² მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (21.11.2023-21.12.2023) უზრუნველყოს დასაქმებულების მიერ კანონმდებლობით დადგენილი ცნობების წარმოდგენა.*

4. დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები კონკრეტული პოზიციისთვის. თუმცა როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა ინტერვიურებისას, დაწესებულება მასწავლებლის ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში პედაგოგთა შერჩევა ხდება „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. ხოლო სხვა პოზიციაზე პერსონალის საჭიროების შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებენ კონკრეტული პოზიციის სამუშაო აღწერილობიდან გამომდინარე, აქვს თუ არა კანდიდატს შესაბამისი კომპეტენცია, რომ შეასრულოს კონკრეტული თანადებობისთვის დადგენილი ფუნქცია-მოვალეობები. სკოლის ექიმის კვალიფიკაცია თანხვედრაში არ მოდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივ №41/ნ/01-23/ნ ბრძანებასთან, რადგან სერტიფიკატს ვადა აქვს გასული. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

დაწესებულებამ 2023 წლის 30 ნოემბრის # N1623837 და 04 დეკემბრის N1636155 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება No99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მე-15 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. აღნიშნული გეგმის თანახმად, ექიმის კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ ხარვეზს აღმოფხვრის 21.11.2023-21.12.2023 პერიოდში. ექიმის სერტიფიკატთან დაკავშირებით წარმოდგენილ იქნა მტკიცებულების სახით დოკუმენტი, თუმცა ვერ მოხერხდა ექსპერტთა მხრიდან იდენტიფიცირება ვის ეკუთვნოდა აღნიშნული დოკუმენტი. ამიტომ შეფასებისას ექსპერტებს არ გაუთვალისწინებიათ აღნიშნული. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (21.11.2023-21.12.2023) უზრუნველყოს ექიმის კვალიფიკაციის შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების მოთხოვნებთან.*

5. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო. გადაწყვეტილებების მიღება სკოლაში ხდება გუნდთან ერთად. საჭიროების შემთხვევაში იქმნება კომისია სხვადასხვა საკითხზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით. ვიზიტის დროსაც, დადასტურდა, რომ მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებით ფუნქციონირებს დაწესებულება. ასევე შექმნილია პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, დაწესებულება ახდენს მოვალეობების დელეგირებას და პასუხისმგებლობების გადანაწილებას. ინტერვიურებისას დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლაში დანერგილია თანამშრომლობითი გარემო და ყველა პირი კომპეტენციის ფარგლებში ჩართულია გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებეულებების დოკუმენტითაც გაცხადებულია, რომ სკოლის ერთ-ერთი მთავარი ღირებულება თანამშრომლობაა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. სსიპ ქალაქ თბილისის #141 საჯარო სკოლის შინაგანაწესის მე-19 მუხლი ეხება დასაქმებულის წახალისების ფორმებს, სკოლა სხვადასხვა ფორმას იყენებს თანამშრომელთა წახალისების მიზნით. გარდა ამისა, სკოლა რეგულარულად აქვეყნებს ინფორმაციას სკოლის თანამშრომლეთა მიღწევების და განხორციელებული აქტივობების შესახებ. რასაც ერთგვარად წახალისების ეფექტი აქვს. დაწესებულებას ამ ეტაპზე ერთი კოლეგა წარდგენილი ჰყავს საუკეთესო მასწავლებლის ჯილდოზე. პედაგოგთა საქმიანობა ითვალისწინებს კოლეგებისთვის გამოცდილების გაზიარებას. გარდა ამისა, სკოლას ჰყავს წამყვანი პედაგოგები, რომლებმაც სტატუსი აიმაღლეს სხვდასხვა აქტივობების განხორციელების და პორტფოლიოს წარმოების გზით. სკოლის წარმოამდგენლებმა აღნიშნეს, რომ მაქსიმალურად ცდილობენ ხელი შეუწყონ პედაგოგებს კარიერულ ზრდასა და განვითარებაში, წარმატებული პრაქტიკის გაზიარების მიზნით კი ხდება სამუშაო შეხვედრების ჩატარება, კოლეგის გაკვეთილზე დასწრება და კათედრებზე გამოცდილების გაზიარება. საუკეთესო პრაქტიკის შემთხვევები კი ვრცელდება სკოლის სოციალური ქსელის საშუალებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სკოლის შინაგანაწესი;
- ✓ პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ✓ პირადი საქმეები;
- ✓ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- ✓ ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულებები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.** სსიპ ქალაქ თბილისის #141 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 28 სექტემბრის #11 ოქმით დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომელთა შეფასებას და პროფესიული ღონისძიებების დაგეგმვას პროფესიული განვითარების მხარდაჭერის მიზნით. დაწესებულებაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. „პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება აწესრიგებს მასწავლებლის შეფასების მიზნით დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის და პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა საქმიანობას. ხარისხის ჯგუფის წევრები ახორციელებენ მასწავლებელთა შიდა შეფასებას, კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით

განსაზღვრული ფუნქციით შესაბამისობის დადგენას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან, ახორციელებს მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვებას, შეფასებას და აძლევს განმავითარებელ შეფასებას ჩატარებული გაკვეთილის ირგვლივ. შესაბამისად, შეფასების საფუძველზე ხდება თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.** სსიპ თბილისის #141 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 28 სექტემბრის #11 ოქმით დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს პერსონალის საქმიანობის შეფასებასთან და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს. სკოლა ხელს უწყობს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას სკოლის ბაზაზე, ასევე აფინანსებს და გამოყოფს თანხას, სთავაზობს ანაზღაურებად შვებულებას პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. დადგენილი წესის შესაბამისად ჯერ არ განხორციელებულია პერსონალის შეფასება, თუმცა დაწესებულებას აქვს წინარე პრაქტიკა, შეფასების ჯგუფი პედაგოგთა დაკვირვების და თვითშეფასების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებდა რეკომენდაციებს შემდგომი განვითარების მიზნით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.** მასწავლებლის საქმიანობა ითვალისწინებს პროფესიულ ზრდას. სკოლაში დასაქმებული პედაგოგები ჩართულნი არიან კარიერული დაგეგმვის და წისვლის სქემაში, პედაგოგთა პირადი საქმეებით დასტურდება, რომ მასწავლებლებმა იცვალეს სტატუსი და სკოლა ხელს უწყობდა ამ პროცესს. პედაგოგთა კარიერული განვითარება რეგულირდება „მასწავლებლის: პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.** პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-7 მუხლში გათვალისწინებულია ახალი თანაშრომლის ადაპტაციასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში მოქმედებდა მაძიებლის პროგრამა. მაძიებელს ხელმძღვანელობდა და კონსულტირებას უწევდა ტუტორი. შედეგად მაძიებელმა მასწავლებელმა მიიღო უფროსი მასწავლებლის სტატუსი. კათედრის წევრები მუდმივად ეხმარებიან ახალ წევრს სამუშაო პროცესში და ერთობლივად გეგმავენ სასწავლო პროცესს. ახალი თანამშრომლის ადაპტააციის მიზნით სკოლა გეგმავს სხვადასხვა აქტივობას: ორგანიზაციული კულტურის გაცნობა, ახლი თანამშრომლისათვის სკოლის დათვალიერება, ფუნქცია-მოვალეობების გაცნობა, სააღმზრდელო პროცსების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5.** სსიპ ქალაქ თბილისის #141 საჯარო სკოლაში მასწავლებლები წახალისებული არიან განვითარებისათვის. დირექცია ხელს უწყობს და მხარს უჭერს პედაგოგებს გაიარონ კვალიფიკაციის ასამაღლებლად ტრენინგები, დროულად აწვდის ინფორმაციას თანამშრომლებს დაგეგმილი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების შესახებ. დაწესებულებამ მტკიცებულების სახით

წარმოადგინა სერთიფიკატები, რითაც დასტურდება თანაშრომელთა მიერ კვალიფიკაციის ამაღლება. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის ჯგუფის დებულების მეშვიდე მუხლის თანახმად ხარისხის ჯგუფის ერთ-ერთი მოვალეობა პროფესიული განვითარების მიზნით რეკომენდაციების გაცემაა- რა ტიპის ტრენინგი და გადამზადება გაიაროს პედაგოგმა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

✓ ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;

✓ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შესახებ ბრძანება;

✓ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესის მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.** სსიპ ქალაქ თბილისის #141 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 19 ოქტომბრის #2-293 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, დაწესებულება თავის საქმიანობას წარმართავს პროცესული მიდგომით.სკოლა საგანამანათლებლო საქმიანობას წარმართავს თანამშრომლობითი პრინციპების დაცვით. სკოლის თითოეული რგოლი ურთიერთდაკავშირებულად ფუნქციონირებს სკოლის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, რომელთა საქმიანობა საერთო ჯამში ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვას. სკოლა, როგორც ორგანიზაცია და ინსტიტუცია, თავის საქმიანობას წარმართავს პროცესული მიდგომით. დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ სწავლა-სწავლებისა და მართვის ხარისხზე დაკვირვება და პროცესების შეფასება ციკლური ხასიათისაა. როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, სკოლის შიდა შეფასება ეფუძნება ციკლს დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი შედგება შემდეგი ქვეპროცესებისაგან: ა) სკოლის პროცესებთან/კურიკულუმებთან დაკავშირებული რისკების შეფასება; ბ) პროცესების/კურიკულუმების შემოწმების წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა; გ) შემოწმების განხორციელება; დ) დასკვნის შედგენა და უკუკავშირი; ე) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკამყოფილებულია.**

**2.** ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში აღწერილია მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. სკოლის მმართველობითი პროცესებია: ა) სტრატეგიული დაგეგმვა; ბ) წლიური დაგეგმვა; გ) ხარისხის უზრუნველყოფა. სკოლის ძირითადი პროცესებია: ა) კურიკულუმის განვითარება; ბ) სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა; 4. სკოლის დამხმარე პროცესებია: ა) განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება; ბ) მოსწავლის სერვისების განხორციელება; გ) საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება; დ) ფინანსური რესურსებს მართვა; ე) ადამიანური რესურსების მართვა; ვ) მატერიალური რესურსის მართვა; ზ) უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა; თ) საზოგადოებასთან ურთიერთობა; ი) საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა); კ) კარიერული განვითარება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.** დაწესებულებამ ვიზიტისას წარმოადგინა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ წარდგენილი

განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს გასაჩივრებასთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორც მოსწავლის და მისი კანონიერი წარმომადგენლის ისე პერსონალის მხრიდან. აღნიშნული წესის თანახმად, საცივარს განიხილავს სკოლის დირექტორი ან სამურვეო საბჭო ან სააპელაციო საბჭო. დირექტორი განიხილავს და ახდენს კანონითა და შინაგანაწესით გათვალისწინებულ რეაგირებას. ამასთანავე, საჩივრების განხილვის პროცესში სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების წესების სრული დაცვით. გასაჩივრების სისტემა არის სრულიად გამჭირვალე. საჩივრის განმხილველი ორგანოები მოქმედებენ ობიექტურად. გადაწყვეტილებებს იღებენ წარმოების პროცესში მოპოვებული საქმის მასალების სრულყოფილი შესწავლის საფუძველზე. ამასთანავე, დისციპლინური სახდელის ადრესატს უფლება აქვს გაასაჩივროს მისთვის დაკისრებული სახდელი სამეურვეო საბჭოში, ხოლო შემდგომ კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოში. სამეურვეო საბჭოში ასევე, საჩივრდება დირექტორის მიერ სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები. სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია სკოლაში შეიქმნას სამეურვეო საბჭოს მიერ სააპელაციო კომიტეტი. გასაჩივრებას, ასევე ექვემდებარება კონკურსის შედეგები და საჭიროების შემთხვევაში სკოლაში შიქმნება საპრეტენზიო კომისია, რომელიც განიხილავს კონკურსის შედეგებთან დაკავშირებულ საკითხებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.** სსიპ ქალაქ თბილისის #141 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 21 ივლისის #2-173 ბრძანების დამტკიცებულია სიპ - ქალაქ თბილისის N141 საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები, აღნიშნული წესი თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სსიპ ქალაქ თბილისის N141 საჯარო სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულება, რომელშიც განსაზღვრულია მშობლის უფიელბა-მოვალეობები და სკოლის ვალდებულებები. ასევე სკოლას აქვს შემუშავებული შინაგანაწესი, არსებობს შრომითი ხელშეკრულება, რომლის დარღვევის შემთხვევაში დაწესებულების მხრიდან, შესაძლებელია სასამართლოში გასაჩივრება.სსიპ ქალაქ თბილისის N141 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 07 ივნისის N 2-94 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - ქალაქ თბილისის N141 საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“. სკოლის მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

✓ შინაგანაწესი;

✓ ხელშეკრულებები;

✓ სკოლის ბაზაზე საჩივრის განხილვის მექანიზმი;

✓ პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;

✓ მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი და პროცესის ამსახველი მტკიცებულებები.

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.** დაწესებულებას შემუშავებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების წესს. დაწესებულება იყენებს შემდეგ საკომუნიკაციო არხებს: ა) სკოლის ვებგვერდი; ბ) ელექტრონული ფოსტა; გ) დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა; ე) სოციალური მედია; ვ)საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. პასუხიმგებელი პირი და საინიციატივო ჯგუფი პერმანენტულად მართავს შეხვედრებს, აწვდის ინფორმაციას სასკოლო საზოგადოებას შემდგომში უკუკავშირის მიღების მიზნით. „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესის მე-8 მუხლი ეხება უკუკავშირის ანალიზსა და მის შედგომში გამოყენებას. .საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირის შედეგები გამოიყენება საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით შემოსული შეკითხვების, ინიციატივებისა და შენიშვნების ანალიზი არანაკლებ წელიწადში ერთხელ; სკოლა უზრუნველყოფს კითხვარის შემუშავებას, რომელიც განთავსდება სკოლის

სოციალურ გვერდზე არანაკლებ წელიწადში ერთხელ და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია დააფიქსიროს ანონიმურად საკუთარი აზრი კომუნიკაციის დროს წარმოშიბილ პრობლემებზე და დააფიქსიროს მისი მოსაზრება კომუნიკაციის დროს გასამუმჯობესებელ საკითხებთან დაკავშირებით. კუკავშირის ანალიზის შედეგები გამოიყენება შემდგომი განვითარებისთვის და გაუმჯობესებისათვის. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.** სკოლაში ფუქციონირებს მრჩეველთა საბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინარული კომიტეტი, ხარისხის მართვის ჯგუფი, პედაგოგიური საბჭო. სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებად ოქმები, რომლითაც დასტურდება, რომ სასკოლო ცხოვრებაში და კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულები არიან მშობლები. სამეურვეო საბჭოს რამდენიმე ოქმი მაგალითად ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, ასევე სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შინაგანაწესი. წარმოდგენილი ოქმებით დასტურდება მშობელთა აქტიური ჩართულობა სხვადასხვა პროცესში. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს დისციპლინარული კომიტეტი, რომლის წევრები არიან როგორც პედაგოგები და მოსწავლეები, ასევე მშობლები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

✓ მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია;
✓ „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი;
✓ სამეურვეო საბჭოს ოქმები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.** სსიპ ქალაქ თბილისის #141 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 19 სექტემბრის № 2-248 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - ქალაქ თბილისის N141 საჯარო სკოლის ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების წესი“. სკოლის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ადამიანის უსაფრთხოების დაცვა სკოლის ტერიტორიაზე. ამიტომ სკოლის მთლიანი ინფრასტრუქტურა, ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფი, ყველა დოკუმენტი ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ემოციურ უსაფრთხოებას. სკოლას აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. მტკიცებულების სახით წარმოდგენილი იქნა 2023 წლის 19 ივნისის #1742396 კორესპოდენცია. სკოლაში მინიმუმამდეა დაყვანილი მოსწავლეთა მხრიდან დარღვევების სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი აღჭურვილია ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით. ფიზიკური უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგი დაცვის მექანიზმების გასაუმჯობესებლად სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, რომლის მთავარი ფუნქცია დირექტორისთვის ამ მიმართულებით რეკომენდაციების მიცემაა. ასევე დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირები. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი. სკოლას ჰყავს ექიმი, ექსპერტებმა ვიზიტისას მიიჩნიეს, რომ სკოლის ექიმის კვალიფიკაცია თანხვედრაში არ მოდიოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივ №41/ნ/01-23/ნ ბრძანებასთან, რადგან ექიმს არ ჰქონდა ვადიანი სერტიფიკატი. დაწესებულებას აქვს აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. ასევე სკოლამ წარმოადგინა უფლებამოსილი ორგანოს 2023 წლის 17 მარტის #163 მიწერილობა. აღნიშნულ მიწერილობაში 18 ღონისძიება იყო დასახელებული, რაც აუცილებელია სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან სრულად შესაბამისობისთვის. თითოეულ ღონისძიებას მითითებული ჰქონდა შესაბამისი შესრულების ვადა. აღნიშნული ღონისძიებებიდან ნაწილს არ ჰქონდა გასული შესრულების ვადა ექსპერტთა

ვიზიტისას. როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა, უმეტესი ხარვეზები უკვე გამოსწორებული იყო შესაბამისობაში მოყვანილი. ექსპერტებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხზე და რადგანაც დაწესებულებას ჰქონდა მიწერილობა, რომელსაც ჯერ კიდევ ჰქონდა შესრულების ვადა, აღნიშნული არ მიიჩნიეს ხარვეზად. დაწესებულებას არ ჰყავდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც ექნება აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატი. გარდა ამისა, დაწესებულებას არ ჰქონდა კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების ან მდგრადობის შესახებ. დასკვნის პროექტში **ექსპერტთა მიერ აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“, რადგან და დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზები-სკოლას არ ჰქონდა:**

**➢ შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ);**

**➢ არ ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სამედიცინო პერსონალი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების მოთხოვნის შესაბამისად.**

დაწესებულებამ 2023 წლის 30 ნოემბრის # N1623837 და 04 დეკემბრის N1636155, კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება No99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მე-15 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. აღნიშნული გეგმის თანახმად, 24.11.2023-24.11.2024 პერიოდში უზრუნველყოფს შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის მოპოვებას, ხოლო ექიმის კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ ხარვეზს აღმოფხვრის 21.11.2023-21.12.2023 პერიოდში. ექიმის სერტიფიკატთან დაკავშირებით წარმოდგენილ იქნა მტკიცებულების სახით დოკუმენტი, თუმცა ვერ მოხერხდა ექსპერტთა მხრიდან იდენტიფიცირება ვის ეკუთვნოდა აღნიშნული დოკუმენტი. ამიტომ შეფასებისას ექსპერტებს არ გაუთვალისწინებიათ აღნიშნული. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15² მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (24.11.2023-24.11.2024) უზრუნველყოს შენობის მდგრადობის შესახებ (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ) დასკვნის მოპოვება და ექიმის კვალიფიკაციის შესაბამისობაში მოყვანა (21.11.2023-21.12.2023) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების მოთხოვნებთან.*

*ექსპერტთა რჩევაა, დაწესებულებამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც ექნება აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატი და შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენციის მიზნით უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვასა და მართვას.*

2. სკოლაში მომუშავე მანდატურები უზრუნველყოფენ სკოლის ტერიტორიაზე და მის მიმდებარე სივრცეზე უსაფრთხოების დაცვას. სკოლის ყველა მასწავლებელი ასრულებს მასზე დაკისრებულ მორიგეობის ფუნქციას. სკოლაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კონტროლდება სკოლაში შემოსული ყველა სუბიექტის მოსვლის მიზეზი. კლასის ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან წესრიგის დარღვევის შემთხვევაში გამოიძახონ მოსწავლის მშობელი. სკოლაში დამონტაჟებული უსაფრთხოების კამერები შიდა და გარე პერიმეტრზე და ხდება სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლი. სკოლას ჰყავს მანდატურები, რომელიც ახორციელებენ უსაფრთხოების კონტროლს და ხელს უწყობენ სასკოლო საზოგადოებაში წესრიგის შენარჩუნებას. სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელიც გამოკრულია თავალსაჩინო ადგილას, იცნობს სკოლაში დასაქმებული პერსონალი და მოსწავლეები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.** უსაფრთხო სასწავლო გარემოს შესაქმნელად ფსიქოლოგიური და ემოციური უსაფრთხოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამ მიზნით სკოლაში მოქმედებს ბავშვთა მიმართ ძალადობის შიდა ინსტრუქცია და გამოყოფილია ძალადობის იდენტიფიცირებაზე და რეფერალზე პასუხისმგებელი პირი. კლასის ხელმძღვანელთა მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულებას. არადისკრიმინაციული გარემოს შექმნას. მათ ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობას. მოსწავლეების მხრიდან გაკვეთილების გაცდენის გამომწვევი მიზეზების მოკვლევას. მშობელთა დამოკიდებულებებს და პასუხისმგებლობას შვილების მიმართ. სკოლაში მოქმედებს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა და არის სპეციალური მასწავლებელი. იმართება ბულინგის საწინააღმდეგო ღონისძიებები. სკოლა მუდმივად ცდილობს შემუშავებული ჰქონდეს პრევენციული ღონისძიებები დარღვევების თავიდან ასაცილებლად. უპირველეს ყოვლისა, დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებს თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს, მოსწავლეები თავად ქმნიან ქცევის წესებს, რომლებიც შეესაბამება საყოველთაოდ დადგენილ ნორმებსა და სკოლის შინაგანაწესს. სკოლის დირექციის მიერ კონტროლდება რამდენადაა დაცული მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, მშობლებს, სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ რგოლს შორის თანასწორობასა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული კომუნიკაცია. დარღვევების აღმოჩენისას, სკოლა სათანადოდ რეაგირებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში. უპირველეს ყოვლისა, ცდილობს პრობლემის გამომწვევი მიზეზების დადგენას და ისეთი ინტერვენციების განხორციელებას, რომლებიც დაეხმარება დაზარალებულ მხარეს ფსიქო-ემოციური ბალანსის აღდგენაში და დაპირისპირებულ მხარეებს კონსესუსის მიღწევაში. საფეხურების მიხედვით აღნიშნულ თემებზე კლასის ხელმძღვანელების მიერ ტარდება „კლასის საათები“, რომლებზეც

უსაფრთხო გარემოს, ყოველდღიური ქცევის წესების, თანატოლებთან ურთიერთობის თემებზე მსჯელობენ. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**.

**4**. სკოლაში არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, მოწესრიგებული და გამართულია სველი წერტილები, ტარდება სადეზინფექციო სამუშაოები, ყოველდღიურად სველი წესით ლაგდება საკლასო ოთახები, დერეფნები, გამოიყენება სადეზინფექციო საშუალებები სველი წერტილების დასამუშავებლად, თხევად საპონსა და თანამედროვე ხელსაშრობს მოსწავლეებისა და პერსონალისათვის, სკოლას ემსახურება დამლაგებლები, სკოლაში არის სუფთა და უსაფრთხო გარემო. მოწესრიგებული და დასუფთავებულია სკოლის ეზო და მიდამო. სველი წერტილები უზრუნველყოფილია წყალით, საპონით და ქაღალდით. სკოლის ბიუჯეტით და წლიური შესრულებებიდან ჩანს, რომ ამ მიმართულებით სკოლა ხარჯავს ფინანსებს და აქვთ ჰიგიენური საშუალებების მარაგები. ვიზიტის დროს ვიზუალური დათვალიერებისას შენობა იყო მოწესრიგებული და დაცული იყო ჰიგიენის ნორმები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5.** დაწესებულების წარმომადგენლები აცნობიერებენ პერსონალური მონაცემების დაცვის აუცილებლობას. სკოლის სოციალურ ქსელში ფოტომასალა ქვეყნდება მშობელთა ნებართვების საფუძველზე. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია მოსწავლეს და მშობელს მიეწოდება პირადად, კონფედენციალობის დაცვით. სკოლა ინფორმაციას გაცემს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პერსონალური მონაცემების დაფარვის შემდეგ. დაწესებულებაში ასევე მოქმედებს პერსონალური ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. **შესაბამისად, ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. სსიპ ქალაქ თბილისის #141 საჯარო სკოლაში დაცულია პერსონალის და მოსწავლეთა პირადი ინფორმაცია. ასევე სკოლაში არსებული სხვა ტიპის ინფორმაცია, რომელიც შეიძლება იყოს კონფედენციალური ან შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები, რის მიხედვითაც რეგულირდება აღნიშნული საკითხის მართვა დაწესებულებაში. მექანიზმი მოიცავს ინფორმაციის დამუშავების ფორმებს, მასზე ხელმისაწვდომობას კონკრეტული პირებისთვის უფლებამოსილების ფარგლებში, დამუშავებული ინფორმაციის შენახვასთან დაკავშირებულ საკითხებს, მონაცემთა სუბიექტის უფლებებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი. ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების შეფასებას, პერიოდულად შეისწავლის და აფასებს აღნიშნული მექანიზმების მუშაობის გამართულობას. ამ მიზნით სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის : დირექტორი , უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, დისციპლინარული საბჭოს თავმჯდომარე, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, რესურსცენტრის წარმომადგენელი. წელიწადში ოთხჯერ ტარდება მრჩეველთა საბჭოს სხდომა, ამ სხდომაზე განიხილება სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით არსებულ სიტუაციას და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს. ხოლო სასწავლო წლის ბოლოს დირექტორი წარადგენს ანგარიშს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით. დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა მრჩეველთა საბჭოს ოქმი, რომლითაც დასტურდება რომ სკოლა ამ მიმართულებით აწარმოებს შეფასებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სკოლის შინაგანაწესი;
- ✓ შრომითი ხელშეკრულებები;
- ✓ ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი;
- ✓ პერსონალური მონაცემების დაცვის წესი;
- ✓ მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- ✓ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

*ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.** სსიპ ქალაქ თბილისის #141 საჯარო სკოლას შენობა-ნაგებობა და ფართი სახელმწიფოსგან უსასყიდლოდ აქვს გადაცემული პირველადი სარგებლობის უფლებით, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან. დაწესებულებას სახელმწიფოსგან გადაცემულია აქვს ნაკვეთი საკადასტრო კოდით #01.12.08.021.009 დაწესებულების ეზოში დგას შენობა. მეორე სართულზე განთავსებულია ადმინისტრაციის სამუშაო ოთახები, ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია. შენობა არის 4 სართულიანი, განაშენიანების ფართი 5495 კვ.მ. ყველა სართულზე განთავსებულია სველი წერტილები. შენობა არ არის გარემონტებული, ესაჭიროება რეაბილიტაცია. დაწესებულებას არ აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია ქიმიისა და ბიოლოგიის შესაბამისი ინვენტარით. სკოლას აქვს სასკოლო ბუფეტი, სპორტდარბაზი და სააქტო დარბაზი. სკოლის სპორტდარბაზი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის სასწავლო წიგნის თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები, და ა.შ. დგას კომპიუტერები, შექმნილია სასიამოვნო სამუშაო გარემო მოსწავეებისთვის. სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის ოთახი, არის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი. დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა 1200 მოსწავლე. სკოლაში სწავლობს 900-ზე მეტი მოსწავლე. ამ ეტაპზე სკოლას მფლობელობაში აქვს 1300 ინდივიდუალური სკამი და მერხი. დაწესებულებას სასწავლო პროცესს წარმართავს ერთ

ცვლაში. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება დაწესებულების მიერ მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.** სსიპ ქალაქ თბილისის #141 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობას როგორც პერსონალისთვის, ისე მოსწავლეებისთვის. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომლითაც სარგებლობენ მოსწავლეები და პედაგოგები, რაც დასტურდება მკითხველის ბარათებითაც, რომელიც მოიცავს ინფორმაციას გაცემული წიგნების შესახებ. დაწესებულებას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომლითაც რეგულირდება აღნიშნული საკითხი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკამყოფილებულია.**

**3.** ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს ეტლით მოსარგებლე მოსწავლეები. სკოლის შენობას არ აქვს პანდუსი, თუმცა პირველი სართულის მთავაირ შესასვლელში თავისუფლად შევა ეტლით მოსარგებლე. თუმცა სხვა სართულებზე ეტლით გადაადგილება შეუძლებელია. იმის გათვალისიწნებით, რომ ადმინისტრაცია და დირექცია განთავსებულია მეორე სართულზე შშმ მოსწავლის მომსახურებას სკოლა ვერ შეძლებს. სკოლაში არის ადაპტირებული საპირფარეშო და სველი წერტილი. დაწესებულება არ არის აღჭურვილი ლიფტით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის არ არის უზრუნველყოფილი შენობის სივრცეში თავისუფალი გადაადგილება. დასკვნის პროექტში **ექსპერტთა მიერ აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.** დაწესებულებამ 2023 წლის 30 ნოემბრის # N1623837 და 04 დეკემბრის N1636155, კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება No99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მე-15 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. აღნიშნული გეგმის თანახმად, 24.11.2023-24.11.2024 პერიოდში უზრუნველყოფს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრას. დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილ იქნა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან მიწერილი სკოლის დირექტორის 2023 წლის 24 ნოემბრის #1599221 წერილი და ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის საგანმანათლებლო რესურსცენტრის 2023 წლის 28 ნოემბრის #1610879 კორესპოდენცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული პრიორიტეტების საფუძველზე, სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ მომავალი სამოქმედო გეგმის ფორმირების პროცესში გათვალისწინებული იქნება სსიპ - ქალაქ თბილისის No141 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების საკითხის განხილვა.

**ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15² მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (*24.11.2023-24.11.2024) *უზრუნველყოს შენობაში ინკლუზიური გარემოს ხელშეწყობის მიზნით შენობის ადაპტირება.*

**4.** მიუხედავად იმისა, რომ შენობა სარეაბილიტაციოა, სკოლაში შექმნილია შესაბამისი გარემო. არის ბიბლიოთეკა, რომელშიც შექმნილია სამუშაო გარემო მოსწავლეებისთვის. სკოლა გეგმავს და ახორციელებს სასწავლო პროექტებს. მოსწავლეებისთვის შექმნილია ყველა პირობა, რომ ჰქონდეთ სკოლაში ყოფნის სურვილი. ფუნქციონირებს ბუფეტი, არის კომპიუტერული ლაბორატორია, რომლითაც შეუძლიათ ისარგებლონ დადგენილი გრაფიკით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5.** დაწესებულება უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით, ასევე დამატებითი მასალებით: რუკებით, თვალსაჩინოებებით. სკოლას არ აქვს ქიმიის და ბიოლოგიის ლაბორატორიები. არის შიდა სპორტული დარბაზი. სკოლის სპორტდარბაზი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, კერძოდ, ფრენბურთის ბადე და კალათბურთის ფარები. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის სასწავლო წიგნის თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები, და ა.შ. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ✓ ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ✓ მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- ✓ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. . სკოლას აქვს ინტერნეტში ჩართული - 29 კომპიუტერი, მათ შორის 32 ლეფთოფი, 6 მასწავლებლის ბუკი, 13 პროექტორი სკოლაში არსებული ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გამოყენებით წარმატებით ხორციელდება სწავლა/სწავლების პროცესი, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერების გამოყენებით წარიმართება სასწავლო პროცესი და კოლეგების სამუშაო შეხვედრები ბიბლიოთეკაში. კომპიუტერთან მუშაობა შეუძლია ნებისმიერ პირს, ვისაც აქვს შესაბამისი უნარ-ჩვევები. დაშვებულია: ტექსტების შეყვანა და რედაქტირება; ინტერნეტით მასალების მოძიება და გადმოწერა; დისკების გამოყენება დასაშვებია უფლებამოსილ პირთან შეთანხმებით; ელექტრონული ფოსტით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
2. დაწესებულებას შექმნილი აქვს დოკუმენტი, რომლითაც განკარგავენ არსებულ ტექნიკას. შექმნილია სამუშაო სივრცეები პედაგოგებისა და მოსწავლეებისთვის. მატერიალური რესურსის განკარგვის წესით რეგულირდება ტექნიკის გამოყენება.სკოლაში გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს გრაფიკის შესაბამისად ინფრასტრუქტურით სარგებლობას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- ✓ ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

### 3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამის საქმის წარმოების წესი. სკოლაში შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის მიზნით იწარმოება საკადრო და საერთო სარეგისტრაციო ჟურნალები. საკადრო ჟურნალში ტარდება დასაქმებულთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ფორმდება დირექტორის ბრძანებით, ხოლო საერთო ბრძანებებში აღირიცხება მოსწავლეთა მოძრაობა (ჩარიცხვა-ამორიცხვა, მობილობა და სხვა სახის გადაწყვეტილებები). სკოლაში ასევე წარმოებს შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. მასწავლებელთა სტატუსის ცვლილებისას ან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემთხვევაში იდება ახალი ხელშეკრულება, ხოლო სხვა სახის ცვლილებისას კეთდება შეთანხმება, რომელიც ეხება ხელშეკრულებას. მოსწავლეთა პირადი საქმეები მატერიალურად ივსება პირველ კლასში. მასში განთავსებულია მოსწავლეთა პირადი ინფორმაცია და აკადემიური მოსწრება. მობილობის შემთხვევაში პირადი საქმე ფოსტით ეგზავნება შესაბამის სკოლას. დაწესებულებას სკოლის დირექტორის 2023 წლის 08 აგვისტოს #2-189 ბრძანებით დამტკიცებულია აქვს საქმიწარმოების წესი, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, კერძოდ . ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და მის სისტემაში შემავალ ორგანოებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 17 აგვისტოს N951 ბრძანებასთან. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, დოკუმენტაციის წარმოებისთვის აქვს E-flow და E-school ის ბაზა რომელთა მოხმარებაც შეუძლია სკოლის ყველა თანამშრომელს პირადი მომხმარებლის და პაროლის საშუალებით. სკოლა იყენებს

ელექტრონულ ფოსტას. სკოლას აქვს ელექტრონული ჟურნალი (onlineschool.emis.ge) . შემოსლი და გასული კორესპოდენციის, ასევე ბრძანებების ატვირთვა ხდება eflow-ში. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. ვიზიტისას ადგილზე გადამოწმდა სკოლის eschool-ის ბაზა. სკოლას სრულყოფილად აქვს ყველა საჭირო მონაცემი ასახული. ყველა საჭირო მონაცემი სწორია და შეესაბამება არსებულ რეალობას. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულებაში ვიზიტისას გადამოწმდა eflow-ში რამდენიმე შემოსული კორესპოდენცია, რომელზეც დაწესებულებამ წარადგინა პასუხი. თითოეულ შემთხვევაში სკოლას დროულად ჰქონდა მიწოდებული ინფორმაცია რესურს ცენტრისთვის. ასევე ვიზიტისას წარმოადგინეს ფინანსური ანგარიგების ამსახველი დოკუმენტების წარდგენის დამადასტურებელი წერილები, სამეურვეო საბჭოსთან წარდგენილი ანგარიშები. საქმისმწარმოებელმა აღნიშნა, რომ შემოსულ განცხადებებზე , როცა რაიმე ტიპის ინფორმაციის გამოთხოვას ეხება, უკუკავშირი ხდება კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ საქმისწარმოების წესი;
- ✓ შემოსული კორესპოდენციები;
- ✓ ბაზების ვიზუალური დათვალიერებით.

### 3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას აქვს ოფიციალური ვებგვერდი. ასევე იყენებს სოციალურ ქსელს Facebook-ის გვერდს. შესაბამისად, მნიშვნელოვანი ინფორმაცია სკოლის მიერ განხორციელებული თუ დაგეგმილი აქტივობების შესახებ ვრცელდება ამ გვერდების საშუალებით. გარდა ამისა, შექმნილია ჯგუფები სოციალურ ქსელში, სადაც მოსწავლეთა მშობლებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია კლასის დამრიგებლების მიერ. ვიზიტისას სკოლაახორციელებდა საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდის საშუალებით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.** დაწესებულების მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი. ხდება გადამოწმება სკოლის დირექციის მიერ და ვრცელდება მხოლოდ მას შემდეგ. ან ვრცელდება სამინისტროს ოფიციალური გვერდიდან აღებული ინფორმაცია. სკოლას აქვს ოფიციალური ვებგვერდი, სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.** დაწესებულება მუდმივად იღებს უკუკავშირს და აქვს მზაობა გაითვალისწინოს თემის და სასკოლო საზოგადოების აზრი. სკოლა სოციალური ქსელის საშუალებით აზიარებს საკუთარი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას. იღებს უკუკავშირს მშობლებისა და მოსწავლეებისგან. ექსპერტთა შეფასებით, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.** სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე, შესაბამისად სკოლის ვებგვერდი არის ერთენოვანი, რადგან არ აქვთ უცხო ენაზე გვერდის ქონის საჭიროება. სკოლას ვიზიტისას ჰქონდა ქართულენოვანი ვებგვერდი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5.** სკოლის ვებგვერდის სტრუქტურა არის ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისი. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს განათავსებს საანგარიშო პერიოდის დასრულებისთანავე. ასევე მითითებულია საკონტაქტო ინფორმაცია. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ ვებგვერდი

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.7. ფინანსური რესურსები

#### 3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულებამ წარმოადგინა ბოლო ორი წლის ბიუჯეტები თავისი შესრულებებით, რითაც დასტურდება რომ სკოლას აქვს საკმარისი შემოსავლები განახორციელოს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები. სკოლა უზრუნველყოფილია სასწავლო რესურსებით, ჰიგიენური საშუალებებით, იხდის გათბობის თანხებს, თუმცა ყოველწლიურად რჩება ნაშთის სახით გარკვეული თანხმა. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სამეურვეო საბჭოს კორექტირებისათვის. ინვენტარისა თუ სხვა სახის საგნების შეძენის საჭიროების შემთხვევაში სკოლის მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი მიმართავს დირექტორს მოხსენებითი ბარათით, რომელშიც აღწერილია საჭიროება და ბაზრის კვლევა. ყველა საჭირო პროცედურის დაცვით ფორმდება დოკუმენტაცია(ხელშეკრულება, ანგარიშფაქტურა მიღება–ჩაბარების აქტი ) და ხდება შესყიდვა. მონიტორინგის ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს სკოლის დირექტორის ანგარიში ფინანსურ საკითხებზე , რომელსაც იგი წარუდგენს ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს. გარდა ამისა, სკოლა მონიტორინგს უწევს ხარჯებს კვატალურად. სკოლის ბიუჯეტი ყველასთვის ცნობილია. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

✓ სკოლის ბიუჯეტი თავისი შესრულებებით;
✓ სამეურვეო საბჭოს ოქმები;
✓ დირექტორის ანგარიში.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

### 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

#### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ ქალაქ თბილისის #141 საჯარო სკოლას შემუშავებული მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 21 ივლისის #2-173 ბრძანებით. აღნიშნულით რეგულირდება მოსწავლის ჩარიცხვა, მობილობა, სტატუსის შეჩერება. სკოლას შინაგანაწესით შემუშავებული აქვს აგრეთვე მოსწავლეთა წახალისებისა და დისციპლინური გადაცდომის პრევენციის მექანიზმები, აღნიშნული მექანიზმების ფარგლებში სკოლის დირექციის წარმომადგენელი ვალდებულნი არიან სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, უზრუნველყონ მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობა ყველა მოსწავლისათვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ან/და სხვა ღონისძიებების ორგანიზებით. მოსწავლეთა უფლებები და წესები, რომლის გაცნობაც ხორციელდება სკოლის მიერ მოსწავლეებისათვის თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. გარდა ამისა, სკოლას აქვს ხელშეკრულება, რომელიც ფორმდება მოსწავლის კანონიერ წარმოადგენელსა და დაწესებულებას შორის. შესაბამისად მოსწავლის უფლებების დაცვის გარანტად შეიძლება ჩაითვალოს აღნიშნული ხელშეკრულება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, ასევე ხელშეკრულებას ეცნობა როგორც კანონიერი წარმომადგენელი, ისე სკოლის პერსონალი. აღნიშნული რეგულაციები არის გამჭირვალე, არ არის ორაზროვანი და არ იძლევა ინტერპრეტირების შესაძლებლობას. შინაგანაწესი გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, აღნიშნულის უზრუნველსაყოფად სკოლა მოსწავლეებისთვის აწყობს საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას, რაც გულისხმობს სხვადასხვა აქტივობების ჩატარებას. სკოლის შინაგანაწესს პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. აღნიშნული ხელშეკრულება მოიცავს ინფორმაციას როგორც მოსწავლის ვალდებულებების, ისე უფლებების შესახებ. ასევე მოიცავს ინფორმაციას მხარეთა შესახებ, ხელშეკრულების ნომერს, გაფორმების თარიღსა და ადგილს, ხელშეკრულების საგანს. წარმოდგენილი დოკუმენტი სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ ხელშეკრულებები;
- ✓ შინაგანაწესი;
- ✓ მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი.

### 4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულება მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხის რეგულირებისას ეყრდნობა მოქმედ კანონმდებლობას. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს შემუშავებული მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 21 ივლისის #2-173 ბრძანებით. აღნიშნულით რეგულირდება მოსწავლის ჩარიცხვასთან და სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხები. აღნიშნული წესი თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან ზოგადი განათლების შესახებ კანონთან, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებასთან, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანებასთან. შესაბამისად, **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
2. დაწესებულება მოქმედებს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად, ასევე სკოლის მიერ დადგენილი წესის თანახმად. ვიზიტისას შესწავლილ იქნა სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტები, ასევე ჩატარდა გასაუბრება საქმისმწარმოებელთან. დაწესებულებას მოსწავლის ჩარიცხვას და სხვა პროცედურებს ახორციელებს კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად, **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
**3.** დაწესებულების პირველ სართულზე განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სკოლის მიერ შეთავაზებული მომსახურების სახეების შესახებ. თუმცა ამ ეტაპზე სკოლა არ ეწევა ფასიან საგანმანათლებლო საქმიანობას. ასევე თვალსაჩინოდ არის გამოკრული სკოლის შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს მოსწავლის ქცევას და სკოლის პოლიტიკას მოსწავლის მხრიდან არასასურველი ქცევის შემთხვევაში. გარდა ამისა, კლასის კრებებზე ხდება

მშობლებისთვის და მოსწავლეებისთვის სკოლის შინაგანაწესის გაცნობა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულება ინფორმაციის გაზიარების მიზნით იყენებს სოციალურ ქსელს და სკოლის ოფიციალურ ვებგვერდს. ექსპერტთა მიერ, გადამოწმდა სკოლის ოფიციალური ვებგვერდი და ფეისბუქ-გვერდი, მასზე განთავსებული ინფორმაცია იყო უტყუარი, შესაბამისობაში მოდიოდა კანონმდებლობასთან და არ შეიცავდა რაიმე ტიპის დისკრიმინაციას. სკოლის წარმომადგენლებმა ინტერვიურებისას განაცხადეს, რომ ყოველთვის სიფრთხილით ეკიდებიან ინფორმაციის გაზიარებას, ხდება დაზუსტება და გადამოწმება და მხოლოდ მას შემდეგ აწვდიან ინფორმაციას სასკოლო საზოგადოების წევრებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ მოსწავლეთა ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ✓ მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

#### 4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.** სსიპ თბილისის #141 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის23 ოქტომბრის # 2-298 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ ქალაქ თბილისის N 141 საჯარო სკოლის მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი“, რომლითაც რეგულირდება მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაცია და სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. ამასთან, აღნიშული წესი შესაძლოა გამოყენებული იქნას იმ მოსწავლეების ადაპტაციის პროცესის გასამარტივებლად, რომელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვას ართულებს საფეხურიდან საფეხურზე გადასვლას სირთულეები და სსსმ მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტირება. აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი, რომელიც ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობლებს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევების, თავისებურების შესახებ, აცნობს საგნის მასწავლებლებს და მოსწავლეს კლასის წინაშე წარადგენს საუკეთესო მხრით; თავის მხრივ, მოსწავლეები ცდილობენ გააცნონ საკუთარი თანაკლასელები და სასკოლო სივრცე, რისთვისაც კლასის დამრიგებელი გამოყოფს სპეცილურ დროს. თანაკლასელებს ახალი მოსწავლე გაჰყავთ სასკოლო სივრცეში, აცნობენ გარემოს, სკოლის წესებს, ტრადიციებს, უყვებიან საკუთარ თავზე, დამრიგებელი მოსწავლეს აცნობს შინაგანაწესს. სკოლის ყველა მოსწავლისათვის დანერგილია ადაპტაციის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის სწავლისთვის მზადყოფნის დადგენას, რაც მოიცავს სამ სფეროს: ფიზიკურს, ფსიქოლოგიურსა და პიროვნულს. სკოლა აცნობიერებს, რომ ნებისმიერ მათგანში წარმოშობილი პრობლემა გავლენას ახდენს სწავლის ხარისხზე, მოსწავლის განცდებზე, მის შრომისუნარიანობაზე, ურთიერთობების ხარისხზე და სხვა. დაწყებითი საფეხურის დასრულებამდე მოსწავლეებს ხვდებიან და ეცნობიან საბაზო საფეხურის მასწავლებლები. საბაზო საფეხურის

მასწავლებლები ესწრებიან გაკვეთილებზე და დაწყებითი კლასის მასწავლებლისაგან იღებენ ინფორმაციას თითოეული მოსწავლის საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესახებ. სკოლას აქვს ტრადიცია მე-4 კლასის დასრულების ბოლო დღეებში ეწყობა ღონისძიება, რომელსაც ესწრებიან მშობლები და მე-5 კლასში შემსვლელი მასწავლებლები. ასევე, სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით, ტრადიციულად ბაღის აღსაზრდელები სტუმრობენ სკოლას და ეცნობიან სასწავლო გარემოს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.** სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, განხორციელებული ღონისძიებები, თუ პროექტები მიზნად ისახავს ხელი შუწყოს მოსწავლეებს იგრძნონ თავი სასკოლო საზოგადოების წევრებად, ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლისთვის პრიორიტეტული და ეფექტური მექანიზმი მოსწავლეთა ადაპტაციისათვის არის სასკოლო აქტივობებში, ღონისძიებებსა თუ პროექტებში მათი ჩართვა. ამ მიზნით ეწყობა პირველ კლასში შემსვლელ მოსწავლეთათვის ღონისძიება, მათთვის სკოლის გაცნობა. თითოეული კლასის დამრიგებელი უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის სასკოლო გეგმის, დაგეგმილი აქტოვობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, ასევე, აცნობს სკოლის შინაგანაწესსა და მათ უფლებებსა და მოვალეობებს. დამრიგებელი მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას, რომ მაქსიმალურად არის მხარდაჭერილი მათი ინიციატივები და ხელი შეეწყობათ მათი ინტერესების შესაბამისად საკლუბო აქტივობებისა დაგეგმვასა და განხორციელებაში. მიღებული უკუკავშირის ან დამდგარი საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გეგმამ მოდიფიკაცია განიცადოს. თუ მოსწავლე სკოლაში მობილობით გადმოდის მასთან და მის მშობელთან ხდება კლასის ხელმძღვანელის ან დირექტორის შეხვედრა. მას აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, ხელშეკრულების პირობებს და სასკოლო კულტურით გათვალისწინებულ ტრადიციებს. მოსწავლეს დამრიგებელი აწვდის ინფორმაციას სასკოლო კლუბების, პროექტების შესახებ, რათა მან თავისი სურვილის მიხედვით მიიღოს გადაწყვეტილება რომელში ჩაერთვება. თანაკლასელებთან ადაპტაციის პროცესი მიმდინარეობს დამრიგებლის მეთვალყურეობით და საჭიროების შემთხვევაში იგი ახდენს ინტერვენციას. ეს შეიძლება იყოს ინდივიდუალური საუბრები მოსწავლეებთან, სადამრიგებლო საათის ფარგლებში შეხვედრები ან საკლასო პროექტი, რომელშიც ჩართულნი იქნებიან მოსწავლეები მათი საჭიროებების გათვალისწინებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.** სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, წარმატებასა და პროგრესზე. გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებს და შესაძლებლობებს, იყენებენ განმავითარებელ უკუკავშირს, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით გეგმავენ საინტერესო და მრავალფეროვან აქტივობებს. გაკვეთილებზე იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, მრავალფეროვან თვალსაჩინოებებს. საჭიროების შემთხვევაში გაკვეთილების შემდეგ კონსულტაციას უწევენ მოსწავლეებს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით. აკადემიური მიღწევების შესახებ მსჯელობენ კათედრის სხდომებზე, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან

გაკვეთილებზე და აძლევენ რჩევებსა და რეკომენდაციებს ერთმანეთს, ატარებენ ერთობლივ კლასგარეშე ღონისძიებებს. ეხმარებიან მოსწავლეებს სასწავლო პროცეში წარმოქმნილ სიძნელეების დაძლევაში, ძლიერი მხარის განვითარებას და სუსტი მხარეზე ყურადღების გამახვილებაში. სკოლა სხვადასხვა აქტივობით ცდილობს მოსწავლეებს ჩამოუყალიბონ და განუვითარონ სხვადასხვა უნარები. სკოლის მოსწავლეები ჩართულნი არიან ოლიმპიადებში, კონკურსებსა და კონფერენციებში. მოსწავლის აკადემიურ წინსვლასა და წარმატებას აკვირდება მშობელიც ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. საჭიროების შემთხვევაში კლასის დამრიგებლის მეშვეობით მასწავლებელი მართავს შეხვედრას მშობელთან და ესაუბრება შვილის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების გზებზე. სკოლა საჭიროების შემთხვევაში ახდენს სასწავლო გეგმის მოდიფიცირებას, ან მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის შემთხვევაში მულტიდისციპლინარული გუნდის დასკვნის საფუძველზე ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.** სკოლა მოსწავლეს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. საჭიროების შემთხვევაში, მშობლის განცხადებისა და სამედიცინო დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში მოსწავლე გადაჰყავს შინ სწავლების ფორმაზე. პანდემიის პერიოდში სკოლა აქტიურად იყენებდა შინ სწავლების ფორმას მშობლის განცხადების საფუძველზე. სკოლას ჰყავს ექიმი და აქვს სამედიცინო ოთახი ყველა საჭირო ინვენტარით. ექიმი საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს უწევს პირველად დახმარებას და კონსულტაციას. ვირუსის გავრცელების დროს ატარებს საუბარს ვირუსთან დაკავშირებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5.** სსიპ- ქალაქ თბილისის#141 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს დამატებითი აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. სკოლაში ყოველწლიურად ირჩევა მოსწავლეთა თვითმმართველობა. თვითმმართველობას ჰყავს წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში. სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობას აქვს შესაძლებლობა ჩაერთოს სასკოლო ცხოვრებაში. საინტერესო წინადადებებს სთავაზობს სკოლის ადმინისტრაციას. სკოლას აქვს არაფორმალური აქტივობების მხარდაჭერის სისტემა. კლასგარეშე აქტივობებს სკოლა გეგმავს მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. კერძოდ, სკოლაში დასაქმებული ყველა პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას. პერსონალის აქტიური მონაწილეობით იგეგმება სკოლის მოსწავლეთა არაფორმალური აქტივობები როგორიცაა ექსკურსიები, თეატრებში გასვლით ღონისძებები, სასკოლო პროექტები და ა.შ. ყველა აღნიშნული ღონისძება ეწყობა კანონით დადგენილლი პროცედურების დაცვით. მაგ სკოლა ექსკურსიის მოწყობის დროს იცავს მოქმედ რეგულაციას.**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**6.** საგანმანათლებლო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით სკოლა ახორციელებდა შეხვედრებს სასკოლო საზოგადოებასთან და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე აუმჯობესებდა მომსახურებას. სკოლა გამოთქვამს მუდმივ მზადყოფნას, რათა მიიღოს მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირი სკოლის პროგრამების, წრეებისა თუ არაფორმალური აქტივობების შესახებ, მიღებული ინფორმაცია გაუზიაროს სასკოლო საზოგადოებას, რათა შეაფასონ წარმოდგენილი უკუკავშირის შესაბამისობა და გაზიარების შემთხვევაში დასახონ მისი გაუმჯობესების გზები და გაითვალისწინონ შემდგომ სასწავლო პროცესში.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- ✓ პროექტების განხარციელების დამადასტურებელი მასალები.

### 4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ- ქალაქ თბილისის #141 საჯარო სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვასა და პროფესიულ ორიენტაციას. საბაზო და საშუალო საფეხურზე კლასების სადამრიგებლო პროგრამით გათვალისწინებულია კლასის საათი პროფესიების შესახებ. სკოლა, მოსწავლეების კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერის მიზნით, თანამშრომლობს სხვადასხვა კოლეჯებთან, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან. აწყობს მათთან ერთად გასვლით ღონისძიებებს, სადაც კოლეჯებისა თუ

უნივერსიტეტების წარმოამდგენლების მიერ ხდება ინფორმაციის მოსწავლეებისათვის მიწოდება. მაგალითად, 2022-2023 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან ამავე სკოლის პედაგოგი აწარმოებს სასკოლო საჭიროების კვლევას -„პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობის მნიშვნელოვნება სასკოლო სივრცეში“ რომლის ფარგლებშიც მან გამოიყენა რა რაოდენობრივი კვლევის მეთოდები-ანკეტირება(მოსწავლე/მასწავლებელი/მშობელი) რისი საშუალებით გამოიკითხა სკოლის საბაზო( მე-9 კლასი) და საშუალო( მე-10,მე-11 კლასები)საფეხურის მოსწავლეები, მათი მშობლები და ასევე მასწავლებლები და პირისპირ ინტერვიუ(სკოლის დირექტორი),პედაგოგმა დაადგინა, რომ მოსწავლეებს აქვთ მეტი ინფორმაციის მიღების საჭიროება პროფესიული განვითარების საკითხთან მიმართებაში, რათა შეძლონ სწორად დაგეგმონ საკუთარი მომავალი და ასევე, თუნდაც სკოლის წლების პარალელურად, გამოიყენონ ის უნიკალური შესაძლებლობა რასაც აძლევს მათ კანონი ზოგადი და პროფესიული განათლების მიღების შესახებ და გახდნენ დიპლომირებული პროფესიონალები ამა თუ იმ სპეციალობაში. ამასთანავე, დამრიგებლები სადამრიგებლო საათის ფარგლებში უზრუნველყოფენ მოსწავლეთათვის მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. სკოლამ წინასწარ მოიკვლია თუ რომელ კოლეჯში, რა სპეციალობების შესწავლის საშუალება ექნებოდა მოსწავლეებს, გააცნო ყოველივე მათ, დაუკავშირდა კოლეჯების ადმინისტრაციას და სკოლის დირექციასთან და მშობლებთან შეთანხმებით დაგეგმა ვიზიტი გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრსა და სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში სადაც მათ დახვდა კოლეჯის წარმომადგენლები რომლებმაც დეტალურად გააცნეს მოსწავლეებს ყველა სპეციალობასთან დაკავშირებული საკითხები, დაათვალიერებინეს და თავად მისცეს საშუალება გამოეცადათ ესა თუ ის აქტივობა, რამაც მოსწავლეების უდიდესი ინტერესი გამოიწვია და რამდენიმე მათგანს მიაღებინა გადაწყვეტილება დარეგისტრირდნენ და მიიღონ განათლება პორფესიული კუთხითაც. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეებს კარიერის დაგეგმვაში. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სკოლამ წინასწარ გამოიკვლია თუ რომელ კოლეჯში, რა სპეციალობების შესწავლის საშუალება ექნება მოსწავლეებს, გააცნო ყოველივე მათ, დაუკავშირდა კოლეჯების ადმინისტრაციას და სკოლის დირექციასთან და მშობლებთან შეთანხმებით დაგეგმა ვიზიტი გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრსა და სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში სადაც მათ დახვდა კოლეჯის წარმომადგენლები რომლებმაც დეტალურად გააცნეს მოსწავლეებს ყველა სპეციალობასთან დაკავშირებული საკითხები, დაათვალიერებინეს და თავად მისცეს საშუალება გამოეცადათ ესა თუ ის აქტივობა, რამაც მოსწავლეების უდიდესი ინტერესი გამოიწვია და რამდენიმე მათგანს მიაღებინა გადაწყვეტილება დარეგისტრირდნენ და მიიღონ განათლება პორფესიული კუთხითაც. ასევე დამრიგებლები უზრუნველყოფენ კოლეჯებისა თუ უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებული პროგრამების მოსწავლეებისათვის გაცნობას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით აწყობს შეხვდრას სკოლის კურსდამთავრებულებთან, რომლებიც გამოცდილებას უზიარებენ საშუალო საფეხურის მოსწავლეებს თავიანთი სასწავლებლებისა და პროფესიების შესახებ. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესის დროს უზრუნველყოფს სკოლაში განხორციელებული პროცესებიდან ძლიერი მხარეების და გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სადამრიგებლო პროგრამა სადამრიგებლო გეგმები;
- ✓ გასაუბრება.

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.** სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა ,ჰყავს შიდა მონიტორინგის ჯგუფი და ხდება ინკლუზიური განათლების ხარისხის შეფასება. სკოლას შემუშავებული ჰქონდა ინტერვენციის გეგმა . სპეციალური მასწავლებელი მუშაობდა როგორც საგნის მასწავლებელთან ასევე მშობელთან მოსწავლის სწავლა სწავლების პროცესის გამარტივების მიზნით . სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლეზე ორიენტირებული გეგმა , სადაც თითოეული მასწავლებელი ორიენტირებულია მოსწავლის ჩართულობაზე, განვითარებასა და დასახული გეგმების დაძლევაზე . დაწესებულებას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის

საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია. მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციაში აღწერილია სსსმ მოსწავლეთა ჩართვა საგანმანათლებლო სივრცეში, მათი მხარდაჭერა, დამხმარე პროცესები და ხელისშემშლელი მოსალოდნელი საფრთხეები და დასაქმებული პირების მიმართ გაცემული რეკომენდაციები სსსმ მოსწავლეებთან ურთიერთობისას. გასულ სასწავლო წელს სკოლა წარმატებით ახორციელებდა ინკლუზიურ განათლებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.** სსსმ მოსწავლეების განვითარების მხარდაჭერის პროცესში ჩართულია სკოლის სასკოლო საზოგადოება. სკოლაში პერიოდულად იგეგმება ინფორმაციული ტიპის ღონისძიებები, ცნობიერების ამაღლების მიზნით, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების სრულად ინტეგრირებას და მათ განვითარებას. (აუტიზმის და დაუნის სინდრომის დღესთან დაკავშირებით დაიგეგმა და გაიმართა სხვადასხვა ტიპის ინფორმაციული შეხვედრები და აქტივობები). გარდა ამისა სსსმ მოსწავლეები აქტიურად იღებენ მონაწილეობას როგორც სასკოლო სივრცეში, ასევე სკოლის გარეთ დაგეგმილ ღონისძიებებში. მაგალითად, მეხუთე კლასის სსსმ მოსწავლემ, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ხელშეწყობით მიიღო მონაწილეობა აზროვნების აკადემიის მიერ გამართულ ლიტერატურულ კონკურსში, სადაც მოსწავლემ მიიღო გარკვეული სახის გამოცდილება. გარდა ამისა სწორედ სსსმ მოსწავლეების განვითარების მხარდაჭერის პროცესს ემსახურება ის, რომ ისგ ჯგუფის შემადგენლობაში შედიან კლასის დამრიგებლები, მშობლები, საგნის მასწავლებლები, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები. ისგ ჯგუფის შეხვედრები იმართება სასწავლო წლის მანძილზე ოთხჯერ, საჭიროების შემთხვევაში უფრო მეტჯერ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას, ისგ ჯგუფი წევრები ითვალისწინებენ თითოეული სსსმ მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინტერესებს. საგნის მასწავლებლები და სპეციალური მასწავლებლები ყოველკვირეულად თანამშრომლობენ სსსმ მოსწავლის მშობლებთან. მშობლები იღებენ ინფორმაციას მოსწავლის სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, წარმოქმნილი სირთულეების შემთხვევაში სკოლა და მშობელი თანამშრომლობით ცდილობენ პრობლემის გადაჭრას. სკოლის ადმინისტრაცია და ბავშვთან მომუშავე სპეციალისტები ზრუნავენ მშობლების ცნობიერების ამაღლებაზე და მათი თვითგანვითარების მიზნით, აწვდიან ინფორმაციას დაგეგმილი ტრენინგების შესახებ. მაგალითად, ერთ-ერთი პირველკლასელი სსსმ მოსწავლის მშობელი დაესწრო მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებულ ტრენინგს, რომელიც ჩატარდა სპეციალური მასწავლებლის პორტფოლიოს პილოტირების პროცესის ფარგლებში. საჭიროების შემთხვევაში მშობელთან შეთანხმებით, სპეციალური მასწავლებლები ესწრებიან მოსწავლის სკოლის გარეთ დაგეგმილ თერაპიებს. ზემოთ აღნიშნული ისგ ჯგუფები შეიმუშავებენ ინდ. გეგმას, რომელსაც ითანხმებს სამეურვეო საბჭო და მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს მიერ. აღნიშნულით დასტურდება, რომ სსსმ მოსწავლის განვითარების მხარდაჭერაში ჩართულია სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- ✓ ისგ გეგმა;
- ✓ ისგ ჯგუფის ოქმი.

***4.2.4.*** **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა მოსწავლეებს ვერ სთავაზობს დამატებით არასავალდებულო ხასიათის ფასიან მომსახურებას წრეების სახით. სკოლა იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გასცემს სკოლის ფართს, სადაც ფუნქციონირებს ფასიანი წრეები: კალათბურთი, ტაიკვანდო, ხალხური ცეკვები, მხატვრული ტანვარჯიში. იჯარის ფორმით ფართის გაცემა ხდება კანონმდებლობის შესაბამისად, სამეურვეო საბჭოს თანხმობის საფუძველზე, რომლის შემდეგაც ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს თანხმობის მიღება, რომელთა საფუძველზეც აუქციონის სახით აუდიტის დასკვნის

შესაბამისად ხდება აუქციონის ჩატარება და გამარჯვებულ პირთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ იჯარის ხელშეკრულებით გაცემულ ფართზე ხორციელდება დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება, რომელიც ნებაყოფლობითია მოსწავლეებისთვის. შეთანხმებული არის უფლებამოსილ ორგანოსთან. ხორციელდება მხარეთა შეთანხმებით, შეთანხმებული წესითა და პირობებით. სხვა დამატებითი არასავალდებულო მომსახურების სერვისები სკოლას არ აქვს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა ინტერვიუში, იჯარით გაცემული მომსახურების გარდა, სკოლა სხვა დამატებით მომსახურებას ვერ სთავაზობს მოსწავლეებს. თუმცა სკოლა ნებისმიერ საქმიანობას ახორციელებს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით და ყოველთვის გათვალისწინებულია უსაფრთხოების ნორმები. იმ შემთხვევაში თუ სკოლა მოსწავლეებს შესთავაზებს დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას, იგი განხორციელდება უსაფრთხოების ნორმების დაცვით და გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესები.

*ექსპერტთა რჩევაა, მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში შეთავაზებული წრეების პედაგოგებისგან დაწესებულებამ მოითხოვოს ცნობები ნასამართლეობის, უფლების ჩამორთმევის შესახებ და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ იჯარის ხელშეკრულებები;
- ✓ სამეურვეო საბჭო ოქმი;
- ✓ ეკონომიკური დეპარტამენტის ნებართვა;
- ✓ სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს ნებართვა.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი(დაწყებითი საფეხური)

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>**დაწყებითი საფეხური** | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. სასკოლო კურიკულუმი**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ ქ.თბილისის N141 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით დარეგულირებული, კურიკულუმის შემუშავების პროცესი, წარმოადგენს იმ მექანიზმს, რომელიც სასკოლო საზოგადოების ინტერესების კურიკულუმში ასახვის შესაძლებლობას იძლევა. დოკუმენტის რეგულაცია ითვალისწინებს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს. მეთოდოლოგიის მიხედვით, თითოეული ეტაპი სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება, ვინაიდან მასში მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები (განსაკუთრებით სსსმ მოსწავლეთა მშობლები) და დირექცია.
მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია ესგ-ს მოთხოვნები, სკოლის ფილოსოფია, კურიკულუმის დიზაინი-კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და

მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში, სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება და ა.შ.

სასკოლო საზოგადოება ორიენტირებულია გძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე (ეროვნული სასწავლო გგემის მიხედვით სტანდარტებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახთ). შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებებისა და არსებული მოცემულობის შესაბამისად. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლთა შესრულებასაც მოსწავლეს გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება. კათედრები წინა წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით და მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით მიმდინარეობს კურიკულუმების შექმნასა და მის დახვეწაზე მუშაობა. კათედრის წევრები არიან აქტიურად ჩართულნი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რომელიც ეყრდნობა მოსწავლეთა თვითშეფასებებს, კათედრის ანალიზებს. ინტერვიურების პროცესში ასევე იკვეთება, რომ კურიკუმების შედგენის დროს პედაგოგებს არ გაუჭირდებათ კომპლექსური დავალებისა და აქტივობების დიფერენცირების გათვალიწინება. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში მასწავლებლის, კათედრის, დირექციის, მოსწავლისა და მშობლის ჩართულობა სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. წარმოდგენილ დოკუმენტაციით და კათედრასთან ინტერვიუთი დგინდება, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. სასკოლო საზოგადოების კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულობისთვის სკოლაში შექმნილია პოზიტიური, სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე ორიენტირებული სასკოლო კულტურა. მაგალითად, დაწყებითი სწავლების კათედრის შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთება საჭიროებები, რომელთა გათვალისწინებით ხდება საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება, მასწავლებლები იყენებენ როგორც მოწოდებულ სანიმუშო კურიკულუმებს, ასევე ცდილობენ თავად შექმნან საკუთარი ორიგინალური, შემოქმედებითი და მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული კომპლექსური დავალებები. კურიკულუმებში ჩანს სასკოლო საზოგადოების დაინტერესება და ამ პროცესის ერთიანი ხედვა. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ ესწრებოდნენ სხვადასხვა ტრენინგებს და ცდილობდნენ კურიკულუმები შესაბამისობაში ყოფილიყო მესამე თაობის ეროვნლ სასწავლო გეგმასთან. მოიძიეს რესურსები, მოიფიქრეს კონტექსტ მაგალითები, დაურთეს შეფასების რუბრიკები და კურიკულუმები გაასამდიდრეს მოწავლის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობებით.

კურიკულუმის შემუშავებასა და მოდიფიცირებაში, აქტიურადაა ჩართული სკოლის დირექცია, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლებს აძლევენ მეთოდურ რეკომენდაციებს. გასაუბრებსას მასწავლებლებმა აღნიშნეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების დროს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში აქტიურადაა ჩართული სასკოლო საზოგადოება, მნიშვნელოვანი როლი ეკისრება კათედრის თითოეულ წევრს. სამუშაო შეხვედრების დროს განიხილება მოსწავლეებზე დაკვირვების შედეგები, რომლის საფუძველზეც ხდება მისი ინტეგრაცია სასკოლო კურიკულუმში.

თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია რომ, ისინი წლის განმავლობაში აკვირდებიან სასწავლო პროცესს, წარმოადგენენ ანგარიშებს, სამომავლოდ კი იგეგემება მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული სასწვალო პროცესი. დაწყებით საფეხურზე განხორციელებული აქტივობები, კომპლექსური დავალებები, შემაჯამებელი პროექტები ქვეყნდება სკოლის სოციალურ გვერდზე და კლასის სასაუბრო ჩატში იგზავნება. ასევე განიხილავენ მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრებზე და კათედრაზე, სადაც იგეგმება პრობლემის გადაჭრის გზები. შექმნილი კურიკულუმები ხელმისაწვდომია საჯარო სკოლის საზოგადოებისთვის. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მორგებულია მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებზე, რაც კარგად გამოჩნდა მასწავლებლებთან ინტერვიუზე.

რაც შეეხება, მშობლებს, მათ თითოეული საფეხურისა თუ შესაბამისი კლასის კურიკულუმებისათვის გაამზადეს დავალებების ბარათები მშობლებისათვის, რათა მეტად ინკლუზიურები ყოფილიყვნენ მშობლები სწავლა-სწავლების პროცესში. ამ მთლიანი პროცესის თანამონაწილე/მრჩეველი იყო სკოლის დირექცია/დირექტორის მოადგილე, რომელიც რჩევას და მონიტორინგს უწევდა კურიკულუმის შემუშავების პროცესს, რათა ეს პროცესი და შესაბამისად, შედგეგი სრულ შესაბამისობაში ყოფილიყო ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

სამომავლოდ იგეგმება მშობელთა ჩართულობის გაძლიერება, მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით კლუბებისა და წრეების შექმნა, აქვთ მზაობა, არსებული პრაქტიკის განვითარებისა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში ასახულია, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხები. ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სოციალური მედია, ბეჭდითი მასალები, საჯარო ღონისძიებები-ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან, სპეციალური კითხვარი მშობლებისთვის.

სკოლის თვითშეფასების კითხვარის დოკუმენტების ანალიზისა და პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლის საზოგადოების მიერ შექმნილი კურიკულუმები არის მკაფიოდ გაწერილი საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით შემუშავებული დოკუმენტი, რომელიც გაზიარებულია სკოლის პედაგოგების, მოსწავლების და მშობლებისთვის. საგნობრივი და სასკოლო კურიკულუმების გაზიარება სასკოლო საზოგადოებისთვის საგნის მასწავლებლებისა და დამრიგებლების მიერ ხდება სხვადასხვა საშუალებებით: თიმსის პლატფორმით, სოციალური ქსელებით, ნაბეჭდი სახით და ა.შ. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა გამოკრულია სკოლის დერეფანში დაფაზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება:**

- ✓ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ანგარიში;
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 წ.წ;
- ✓ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია 2023-2024 წ.წ;
- ✓ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;

- ✓ მშობელთა კრების ოქმი;
- ✓ კათედრის სხდომის ოქმი;
- ✓ კათედრის წევრებთან ინტერვიუ.

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.** სკოლის მიერ წარმოდგენილი, დაწყებითი საფეხურის, კურიკულუმები ორიენტირებულია სტანდარტებით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა (სამიზნე ცნებები) და საფეხურის მისაღწევ შედეგებზე. სასწავლო თემები შეესაბამება სტანდარტის სავალდებულო თემატურ ბლოკებს; ითვალისწინებს დაწყებითი საფეხურის ინტერესებსა და ასაკობრივ თავისებურებებს. დაწყებითი საფეხურის საგნის კურიკულუმები გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული პროგრამაა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება. შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე (ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სტანდარტებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახით). კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელთა შესრულებასაც მოსწავლეს გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება. გასაუბრების დროს კათედრის წევრებს მაგალითად მოჰყავთ წინარე გამოცდილება მსგავსი ტიპის კომპლექსური ბუნების დავალების დანერგვის შემთხვევები.
კათედრასთან ინტერვიუს დროს აგრთვე გამოიკვეთა, რომ კათედრა გეგმავს კურიკულუმის ჩარჩოების სრულყოფას, რომ კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები, ეხმარებიან მოსწავლეებს გაიაზრონ რა გამოუვიდა კარგად, რატომ, რა იყოს ის ცოდნა და გამოცდილება, რამაც წარმატება მოუტანა, რა ვერ შეძლეს, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა და ა.შ.

მცირედით განსხვავებული სიტუაცია იკვეთება დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით საგნის ,,მე და საზგადოების" (III-IV კლასი) საგნის ფარგლებში შექმნილი კათედრის მიერ მომზადებული კურიკულუმები, რომელიც ორიენტირებულია გძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე (ეროვნული სასწავლო გემის მიხედვით სტანდარტებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახთ). თუმცა კურიკულიმებში არ ჩანს შუალედდური მიზნები, სემესტრში მხოლოდ ერთი საკითხის დამუშავება ხდება კომპლექსური დავალებით, დანარჩენი საკითხების შესწავლას როგორ და რა მეთოდებით მიაღწევს მასწავლებელი არ ჩანს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მზაობა კურიკულუმის შემდგომი დახვეწისა. მე-3-მე 4 კლასის მე და საზოგადოების საგნის კურიკულუმში შეტანილია ძირითადად მხოლოდ სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხები, სასწავლო რესურსები. მე-5 - მე -6 კლასის ჩვენი საქართველოს საგნის კურიკულუმი აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას კონკრეტული პროდუქტის სახით. მასწავლებლებთან ინტერვიურების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი, თუმცა კურიკულუმში არ არის ასახული მასწავლებელი რა სტრატეგიებით გეგმავს საფეხურის შედეგების მიღწევას, (მაგ.კლასი მე-5 , მე-6 კლასის კურიკულუმი) ინტერვიუში გამოიკვეთა მასწავლებლების მზაობა კურუკუმის შემდგომი დახვეწისა და განვითარებისა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. დაწყებითი საფეხურის წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემულია გრძელვადიანი მიზნები-სამიზნე ცნებები, რომელთაც შეესაბამება კომპლექსური დავალებები, კონტექსტ მაგალითები, ამ ტიპის დავალებებზე მუშაობა მოსწავლისგან მოითხოვს პრობლემის იდენტიფიცირებასა და მისი გადაჭრის გზების ძიებას. დავალების შესრულებისას მოსწავლე ქმნის შემოქმედებით პროდუქტს, რიგი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეში კრიტიკული აზროვნების, კვლევითი და მოქალაქეობრივი უნარების განვითარებას, კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულება მოითხოვს მეტაკოგნიციას და რეფლექსურობას, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ხასიათისა და პიროვნების ჩამოყალიბებას. სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ მათ აქვთ მოსწავლეების ჯგუფებში მუშაობის, კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელებისა და ნამუშევრების წარდგენის გამოცდილება, ასევე, გააზრებული აქვთ ამ ტიპის დავალებების როლი მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვაში. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს ჩატარებულ სხვადასხვა აქტივობაზე რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას.

კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალების იდეები იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ მათი განხორციელებისას აქტივობები ბუნებრივად შეუწყობს ხელს ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარებას (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ხასიათის ნებელობა, მოქალაქეობა) გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივ მასალაზე დაყრდნობით იგეგმება საინტერესო სასწავლო პროექტების განხორციელება, ასევე სამიზნე ცნებების სიღრმისეულად გააზრებაზე, რაც ითვალისწინებს თანამედროვე მოზარდის ინტერესებსა და საჭიროებებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა განიხილავს მოსწავლეს, როგორც სწავლა-სწავლების აქტიურ სუბიექტს და მიიჩნევს, რომ განათლების უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობაა, ამისათვის მათ შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. კურიკულუმში

შეთავაზებულია კომპლექსური ბუნების დავალებები, როგორც კათედრის წარმომადგენლებმა აღნიშნეს გასაუბრებისას, სსსმ მოსწავლეებისათვის ქმნიან მოდიფიცირებულ კომპლექსურ დავალებებს.

ზოგიერთი საგნის შემთხვევაში ინტერვიუს დროს კათედრის წარმომადგენლებმა დაადასტურეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების არსებობა, მაგრამ ვერ შეძლეს მკაფიოდ დაედასტურებიათ საგაკვეთილო პროცესში დიფერენცირებული მიდგომები, რადგან მოყვანილი მაგალითები იყო ზედაპირული. მიუხედავად ამისა საერთო სურათით კათედრებმა დაამტკიცა რომ სასწავლო პროცესში ითვალისწინებს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს. მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, სთავაზობენ მრავალფეროვან რესურსებს, სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებული აქვთ ინდ გეგმები, რომელთა დახვეწასა და სრულყოფასაც გეგმავენ, კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების საშუალებით. გასაუბრებისას მასწავლებლებში ჩანდა ხედვა, თუ როგორ წარმართავდნენ სასწავლო პროცესს ინდივიდუალური მიდგომებით მოსწავლეთა მიმართ. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ეფუძნება საგნობრივ კურიკულუმში, მოსწავლეთა შეფასების ამსახველ დოკუმენტებში გრძელვადიან მიზნებს. კათედრის წევრებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ შეფასებას სწავლა-სწავლების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. კათედრებმა წარმოადგინაა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა და გამოთქვეს მზაობა, შექმნან ყველა თემისთვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი შეფასების როლი სწავლის შედეგების აღწერასა და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით.

ასევე წარმოადგინეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკების, რამდენიმე ნიმუში, რომელიც ჩაშენებულია მათ მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია განმავითარებელი შეფასების ნიმუშები, რომელიც ეყრდნობა სოლო ტაქსონომიას და ზოგად წარმოდგენას ქმნის სკოლის ფარგლებში შეფასების აღნიშნული ტიპის წარმოების წესზე. განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ისეა ჩამოყალიბებული რომ ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მიმდინარე სხვადასხვა სახის მეთოდური ორიენტირების გამოკვეთას. გულისხმობს მოსწავლის მხრიდან შესრულებული სამუშაოს აღწერას და წარმოდგენილი ნაშრომის გასიტყვებას და შეფასებას. დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილია შეფასების რუბრიკების ჩარჩოები (რამდენიმე ნიმუში), რომლებიც მიემართება სამიზნე ცნებებზე-გრძელვადიან მიზნებზე, და, ასევე, შეფასების რუბრიკები, რომელიც აფასებს მოსწავლის ცოდნას სტანდარტის შედეგებთან მიმართებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5.** 2023-2024 სასწავლო წლისათვის სასკოლო საბაზო საფეხურის კურიკულუმების დაგეგმვა/შედგენისას კათედრის წევრები ითვალისწინებდნენ წინა სასწავლო წლის გამოცდილებას. ეს გამოიხატა, როგორც მთლიანად კურიკულუმის შემუშავებაში, ასევე საკითხებისა და კომპლექსური დავალებების, შემოქმედებითი პროდუქტისა და აქტივობების შერჩევაში. აჯამებენ რა კათედრაზე შედეგეს და უზიარებენ კათედრის წევრები ერთმანეთს მოსწავლეთა მიღწევებს, ყოველივეს ითვალისწინებენ დაგეგმვის პროცესში. მაგალითისათვის საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის გასაუბრებაზე განიხილეს ერთერთი კომპლექსური დავალება, რომელიც გასულ სასწავლო წელს განახორციელეს და შემოქმედებით პროდუქტად შესთავაზეს მოსწავლეებს, ეფექტიანობის გამო აღნიშნული კომპლექსური გათვალისწინებული აქვთ 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმშიც. კათედრასთან ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად იყვნენ/არიან

ჩართულები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, აკვირდებიან მოსწავლეთა სასწავლო პროცესსა და მიღწეულ შედეგებს, ეს კი საშუალებას აძლევს მათ მიღებულ გამოცდილებაზე/მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე/საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით, დაგეგმონ სასწავლო პროცესი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

***რჩევა: (ტექნოლოგიები)***

✓ *ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო-ცხრილში ბმულის სახით მიუთითონ მაგალითი შედარებისთვის და რესურსები (ნაგულისხმევია ელექტრონული რესურსები), იდეის სვეტში დააკონკრეტონ რა პროდუქტი უნდა შექმნან მოსწავლეებმა (მაგ: პრეზენტაცის შექმნა, თამაშის შექმნა, პოსტერის შექმნა და ა.შ..)*

***რჩევა: (საზოგადოებრივი მეცნიერებები)***

✓ მე და საზოგადოების და ჩვენი საქართველოს მე-5 და მე- 6 კლასის კურიკულუმები გაიწეროს და განისაზღვროს შუალედური მიზნები ყველა თემასთან მიმართებით, გამოიყოს კონტექსტ-მაგალითები და დამატებითი სასწავლო რესურსები.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- ✓ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 წ.წ.
- ✓ საგნობრივი კურიკულუმები დაწყებით საფეხურზე;
- ✓ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
- ✓ ისგ;
- ✓ კათედრის წევრებთან ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.2 კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კურიკულუმში შეტანილი დავალებები, წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ბარათები, საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით.

ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან ელექტრონულ რესურსებს და უახლოეს პერიოდში სასურველია სრულად ასახონ კურიკულუმში რესურსების ველში, გააზრებული აქვთ, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პორცესში მასწავლებლის როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრა ამ ყველაფრის საფუძველზე ასაბუთებს, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას.

სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებულია დაწყებითი საფეხურის მოსწავლის ინტერესები და საჭიროებები, შესაბამისად იძლევა მოსწავლის შინაგანი მოტივაციის აღძვრის შესაძლებლობას, მაგ: საზ. მეცნიერებების III- IV კლასის კურიკულუმების ჩარჩოში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები თავისი ფორმითა და შინაარსით ორიენტირებულია მოსწავლეზე და მოითხოვს აქტიურ შემოქმედებით ჩართულობას. საშუალებას აძლევს მოსწავლემ გაიფართოვოს თვალსაწიერი, იმსჯელოს, დაფიქრდეს პრობლემის გადაჭრის გზაზე, შეძლოს პრობლემის სხვადასხვა პერსპექტივიდან დანახვა და შეფასება, დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეებს დასჭირდებათ ორიგინალური და ახალი იდეის მოფიქრება და განვითარება. თუმცა კურიკულუმში ყველა საკითხზე არ არის მითითებული კონკრეტულად რა მეთოდებით მოხდება მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა.

უცხო ენების კათედრამ წარმოადგინა დაწყებით საფეხურზე განხორციელებული პროექტების აღწერილობა, რეფლექსია და პრეზენტაციები (საერთაშორისო პროექტი "ცოდნა გვიცავს" რომლის მიზანია კიბერბულინგის საკითხთან დაკავშირებით მოსწავლეების ცნობიერების ამაღლება და საფრთხის პრევენცია; პროექტი: "იყავი ჯანმრთელი-იცხოვრე დიდ ხანს"- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშრსაწყობად.) სადაც ნათლად ჩანს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ მიმდინარე სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია თემების გათვალისწინებით, რაც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის და დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. რიგ საგნებში კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული დავალების პირობათა მეორე სემესტრისათვის განკუთვნილი ნაწილი დახვეწისა და გადამუშავების პროცესშია, მაგრამ წარმოდგენილ ნიმუშებში ჩანს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, მაგ, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა. ინტერვიუს დროსაც მასწავლებლებმა არგუმენტურად დაადასტურეს რომ ახალი ცოდნის კონსტრუირებისათვის საჭიროა წინარე საბაზისო ცოდნა. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები გააზრებული და შეჯერებულია საგნობრივი კათედრის წევრებთან, სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით, ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და მიღებული ინფორმაცია აქტიურად გარდაიქმნება ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მიანიშნებს, რომ სწავლების პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. სკოლის თვითსეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ მასწავლებლები იყენებენ აქტივობებს, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს დაკვირვებას, ვარაუდის გამოთქმას, დასკვნის გაკეთებას, პრობლემის იდენტიფიცირებას და მისი გადაჭრის გზებს. ,,სწავლა-სწავლების პროცესი მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, გაიგოს მისი სუსტი და ძლიერი მხარეები და განსაზღვროს თუ რისი გაუმჯობესაბა შეუძლია. აღნიშნულ პროცესში მნიშნელოვან როლს ასრულებენ მასწავლებლები, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარებიან გაუმჯობესების გზების ძიებაში. მოსწავლე მასწავლებლის ხელშეწყობით ხედავს დავალების მიზანს, მის საჭიროებას, კავშირს სკოლაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლის გარეთ მიმდინარე ცხოვრებას შორის ,აქედან გამომდინარე სკოლა ზრუნავს მოსწავლის მოტივაციის გაზრდაზე''.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში სწავლის სწავლას ხელს უწყობს მასწავლებლის შეფასება, მოსწავლეთა ურთიერთ შეფასება და თვითშეფასება. კომპლექსური დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლეებს აფასებენ სოლო ტაქსონომიაზე დაყრდნობიოთ, პოზიტიური უკუკავშირით. ძალიან მნიშვმელოვანი მოსწავლეთა ურთიერთ შეფასება, ხშირად იყენებენ თვითშეფასებასაც როგორც მასწავლებლები, ასევე მოსწავლეებიც. რომელიც გულისხმობს საკუთარი მუშაობის მონიტორინგს რითაც ისინი ერთმანეთს უმაღლებენ მოტივაციას და აქცენტს აკეთებენ ხარისხიან სწავლის სწავლაზე.

ინტერვიურების დროსაც აღნიშნეს, რომ კათედრა სთავაზობს მრავალფეროვან პროექტებსა და სხვადასხვა ღონისძიებებს, რომელშიც მოსწავლეთა ჩართულობა, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და ანალიზის კომპეტენციების გაღმავებაა საჭირო.

წარმოდგენილ საგნობრივ პროგრამებში მკაფიოდ არ იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, თუმცაღა ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა მასწავლებლების მზაობა, რომ მათ შეუძლიათ მეტაკოგნიტური სტრატეგიების ინტეგრიერება სასწავლო პროცესში. საერთო შეფასებით, მასწავლებლებს შეუძლიათ შესთავაზონ მოსწავლეებს ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც იძლევა

მათი ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას და სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.** წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები/პირობები მოითხოვს საგნობრივი საკითხის დამუშავებას, ცოდნის დადასტურებას, სწავლის სტრატეგიების ფლობას, გარკვეული პროცედურების შესრულებას, პრობლემის გადაჭრას და ცოდნის ცხოვრებისეულ კონტექსთან დაკავშირებით შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა თავის თავში გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებულობას. ასევე, ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში, როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში.

მასწავლებლებმა დაადასტურეს რომ გააზრებული აქვთ თემატური გეგმის შემადგენელი კომპონენტების არსი, მათი მსჯელობის თანახმად, კომპლექსური დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ ქვესაკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც. მაგალითია დაწყებითი საფეხურის უცხოური ენების საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული კომპლექსური ბუნების დავალებები და სასწავლო პროექტები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ ცოდნის მოქმედებაში გადატანას და გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. კათედრამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები: საერთაშორისო პროექტი "ცოდნა გვიცავს" რომლის მიზანია კიბერბულინგის საკითხთან დაკავშირებით მოსწავლეების ცნობიერების ამაღლება და საფრთხის პრევენცია; პროექტი: "იყავი ჯანმრთელი-იცხოვრე დიდ ხანს" - მიზანი: ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა; საპრეზენტაციო პროგრამა sway-ში შექმნილი კომპლექსურ დავალება " ჩემი ჰობი" ). სწორედ ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებით მოიაზრებენ ახალი სასწავლო წლის წარმართვას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5.** ინტერვიუს დროს და კათედრის მიერ წარმოდგენი კურიკულუმის ჩარჩოში ასახული ინფორმაცია, განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები, აღნიშნული კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. კურიკულუმები საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას აძლევს მოსწავლეებს. ეს ფაქტორები გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რადგან მითითებული კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა დაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე.

მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კათედრაზე ხშირად ხდება საგანთა ინტეგრაციით პროექტების დაგეგმვა-განხორციელება. რაც მოითხოვს მოსწავლის ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირების საჭიროებებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ იგეგმება ასევევ ინტეგრირებული გაკვეთილები. სადაც მოსწავლეებს დასჭირდებათ, ცოდნის როგორც დაორგანოზების ისე ურთიერთდაკავშირების უნარები. მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება უცხოური ენის ფარგლებში ხორციელდება ისეთი დავალებების საშუალებით, რომლებიც მოითხოვს შიდა და სხვა საგნის ინტეგრაციას ან/და ეფუძნება საგნობრივი და გამჭოლი კომპეტენციების ერთობლივ გამოყენებას.

ამის მტკიცებულებაა კათედრის მიერ განხორციელებული საერთაშორისო პროექტი "ცოდნა გვიცავს", რომლის მიზანია კიბერბულინგის საკითხთან დაკავშირებით მოსწავლეების ცნობიერების ამაღლება და საფრთხის პრევენცია; პროექტი: "იყავი ჯანმრთელი-იცხოვრე დიდ ხანს" - მიზანი: ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა; საპრეზენტაციო პროგრამა sway-ში შექმნილი კომპლექსურ დავალება " ჩემი ჰობი" შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- ✓ სკოლის თვითშეფასების განაცხადი;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმები;
- ✓ მოსწავლის ინდ. სასწავლო გეგმის შემუშავების ოქმი;
- ✓ სკოლის თვითშფასების ფორმა.
- ✓ პროექტები: "ცოდნა გვიცავს"; "იყავი ჯანმრთელი-იცხოვრე დიდ ხანს"
- ✓ კომპლექსური დავალების ბარათი;
- ✓ პედაგოგებთან ინტერვიუ.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.** სამიზნე ცნებები, სავალდებულო თემები, თემის მკვიდრი წარმოდგენები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე უნდა დაეუფლოს დაწყებით საფეხურზე სხვადასხვა საგნის სწავლისას, ამ ცოდნისკენ სვლა კათედრებზე ხორციელდება შემდეგი მიდგომებით: კურკულუმში ყველაგან აქვთ წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, ყველგან არ აქვთ ჩაშლილი ქვეცნებები, გაიცა რეკომენდაცია ზოგიერთ კურიკულუმში საკითხებისა და ქვესაკითხების გამოყოფასთან დაკავშირებით. სკოლა ორიენტირებულია კომპლექსური დავალებებით სწავლებაზე, რაც მათ მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმშიც ნათლად არის ასახული. მაგ: III-IV კლსების მე და საზოგადოებისა და V –VI კლასების ჩვენი საქართველოს საგნების კურიკულუმები აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას რაიმე კონკრეტული პროდუქტის სახით. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი, თუმცა კურიკულუმში სასურველია საკითხებისა და ძირითადი ქეისების (კონტექსტმაგალითების) გადახედვა და სისტემაში მოყვანა, რაც აუცილებელია რომ შეივსოს. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა მასწავლებლების მზაობა, რაც დადასტურდა მათ მიერ კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპების დეტალური აღწერით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მართალია, კურიკულუმები ბოლომდე არაა გაწერილი, თუმცა მითითებულია ის საგნობრივი საკითხები, რაც უნდა გაიარონ წლის მანძილზე და გააზრებულია მათთან შესაბამისი სამიზნე ცნებები, განსაზღვრულია ქვეცნებები. კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესში უზრუნველყოს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. გეგმავენ სრულად გაწერონ კურიკულუმები, სადაც გამოჩნდება, რომ სწავლა-სწავლების პროცესში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, მიზანს, საგნობრივ საკითხებსა და რესურსებს შორის. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.** სკოლის მიერ წარმოდგენილი მრავაფეროვანი სასწავლო პროექტები და მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები, აქტივობები, ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“. კურიკულუმები ითვალისწინებს კომპლექსური დავალებების შესრულებას, რომელთა განხორციელებისას მოსწავლეს უწევს პასუხისმგებლობის აღება გარკვეულ საკითხებზე, დავალების მომზადებისას ურთიერთობა თანატოლებთან, მშობლებთან. დავალების წარდგენის შემდეგ მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების პასუხად მოსწავლე ფიქრობს საკუთარ ემოციებზე, ღირებულებებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე. კომპლექსური დავალებებზე მუშაობა მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ თავზე, საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები; დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა; სასწავლო პროცესის გარდა კათედრა/სკოლა ზრუნავს მოსწავლის სოციალურ-კულტურულ განვითარებაზე. შესაბამისად საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ინტერვიუს დროს ასევე აღინიშნა, რომ მოსწავლეებში ემპათიის, მზრუნველობის, პასუხისმგებლობის გრძნობის გასაღვივებლად ხორციელდება სხვადასხვა პროექტი მაგ: ინგლისური ენის პედაგოგის ანგარიში ასახულია საერთაშორისო საავტორო პროექტ “ცოდნა გვიცავს”

(მოსწავლეთა ასაკი 9-14 წელი) განხორციელების შესახებ რომლის მიზნები არის მოსწავლეებში პიროვნული და სოციალური უნარების (პასუხისმგებლობა, თანამშრომლობა, გუნდური მუშაობა, ეფექტური კომუნიკაცია) განვითარების ხელშეწყობა. აღნიშულიდან გამომდინარე დასტურდება, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ამაზე მიგვანიშნებს განხორციელებული არაფორმალური აქტივობები, პროექტები -,,ყველა ადამიანშია მზე" და ,,ჩვენ ვირჩევთ ჯანსაღი ცხოვრების წესს." **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.** სკოლას აქვს მზაობა, რომ შეფასების სისტემა დაწყებით საფეხურზე ორიენტირებული იყოს ფაქტობრივ ცოდნაზე და გაითვალისწინონ მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალური ყველა გარემოება. წარმოდგენილმა შეფასების რუბრიკებმა, ასევე ინტერვიუმ აჩვენა, რომ შეფასების წარმოებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ შეფასების სტრატეგიებს: რომელ მიზანზეა ორიენტირებული შეფასება, რამდენად აძლევს სასწავლო პროცესში შესრულებული დავალებები მოსწავლეს ცოდნის/საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალებას და რამდენად შეუწყო ხელი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესმა მოსწავლის ფუნქციური უნარების განვითარებას. ინტერიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს თუ რამდენად მოახდინა მათმა საქმიანობამ ზეგავლენა მოსწავლის მიღწევებზე და შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

მიუხედავად იმისა, რომ რიგ საგნებში სკოლას არ წარმოუდგენია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ახალი მთხოვნის შესაბამისი რუბრიკები, გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული და დაგეგმილი აქვთ ამ ნაწილზე მუშაობა. გასუბრების შედეგების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას.

გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა ასევე, რომ შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე და ითვალისწინებს მოსწავლის ჩართულობასაც სასწავლო პროცესში. საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.** დაწყებით საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი (V კლასის მე-2 სემესტრიდან და VI კლასში) შეფასება და სოლო ტაქსონომია. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიეხდვით დაგეგმილია შეფასების მხრივ დოკუმენტაციის დახვეწა, ამჟამად სკოლას აქვს მზაობა დაწყებით საფეხურზე შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიქტური. დიდწილად ეს მოახერხეს პედაგოგებმა, ვინაიდან ინტერივუს დროს ჩანდა, რომ პედაგოგებს აქვთ გააზრებული, რომ შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და პასუხისმგებლობით უდგებიან მას. ამ დასკვნის საფუძველს გვაძლევს წარმოდგენილი სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის/ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი, შეფასების რუბრიკები, კურიკულუმი, მომავალი დაგეგმილი სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, ასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები.

ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ქოუჩინგის პროცესში მომზადებულა შეფასების რუბრიკები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი დამუშავების პროცესშია და სასწავლო წლის განმავლობაში შექმნიან. სკოლა სამომავლოდ გეგმავს მოსწავლეთა შეფასების სისტემის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის დამატებითი მექანიზმების შემუშავებას. წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ნათელია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის: ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5.** სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით შეფასების ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. სკოლის დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მასწავლებლებს გააჩნიათ შეფასების ინსტრუმენტების გადახედვა/შეცვლის გამოცდილება. ისინი ითვალისწინებენ დავალებების, შემაჯამებელი წერების შეფასების რუბრიკების შესაბამისობას დავალების მიზნებსა და შინაარსთან. ასევე მის სანდოობასა და გამჭვირვალობას, რაც სკოლას მტკიცებულებად უდევს საგნობრივ მეთოდოლოგიურ ჩარჩოში, კათედრის ოქმებსა და შეფასების რუბრიკებში.

რადგან ვერიფიკაცია რეალურად მოსწავლის მიღწევის ანალიზია, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ამ მექანიზმს სკოლა იყენებს. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა შეფასება, შეფასების განხილვა და ანალიზი. მათ კარგად ესმით, რომ ეს ანალიზი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ილუსტრაცია იმისა, თუ რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწვალების პროცესის საყრდენს. ინდიკატორი კრიტერიუმთან შესაბამისობაშია **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**6.** ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლას შემუშავებული აქვს სპეციალური განმავითარებელი შეფასების ფორმა. როგორც წლიური, ასევე საფეხურის ნიშნები და საგნის მასწავლებლების ანალიზის საქმისმწარმოებლისთვის მიწოდებას უზრუნველყოფს დამრიგებლი. ყოველი წლის ბოლოს იწერება ბრძანებები კლასის დაძლევასთან დაკავშირებით დამრიგებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- ✓ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ✓ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- ✓ მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- ✓ მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზი
- ✓ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;

- ✓ შეფასების მასალები;
- ✓ მოსწავლის ინდივიდუალური გეგმა;
- ✓ სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები;
- ✓ სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- ✓ სასწავლო პროექტები: "ცოდნა გვიცავს" " იყავი ჯანმრთელი- იცხოვრე დიდ ხანს"
- ✓ მასწავლებლებთან ზეპირი გასაუბრება;
- ✓ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- ✓ სკოლის სასწავლო გეგმის პროექტი.

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა ცდილობს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ურთიერთობები დაფუძნებულია ნდობასა და ურთიერთპატივისცემაზე, რაც, უპირველეს ყოვლისა, დიდ გავლენას ახდენს სასწავლო გარემოზე. სკოლა ასევე ცდილობს უზრუნველყოს პოზიტიური კლიმატი, როგორც საკლასო ოთახში, ისე სკოლის დონეზე. მასწავლებელები გამოხატავენ ადეკვატურ პატივისცემას მოსწავლეების მიმართ, მასწავლებლები უსმენენ მოსწავლეებს და აწვდიან დროულ უკუკავშირს. კლასებში ტარდება სადამრიგებლო სააათი, სადაც აქცენტი კეთედება ბავშვთა უფლებებსა და მოვალეობებზე სკოლაში და მის გარეთ. გენდერზე, გარემოს დაცვაზე. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სკოლის ხედვა: „სკოლაში ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ყველა მოსწავლე შეძლებს ცოდნის შეძენას." სკოლას შემუშავებული აქვს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი. მასწავლებელთან ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, რომ მასწავლებლები თანამშრომლობენ, ცვლიან საკუთარ მიგნებებს, იყენებენ დიფერენცირებული მიდგომებს. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა პროექტში. სკოლა ცდილობს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ურთიერთობები დაფუძნებულია ნდობასა და ურთიერთპატივისცემაზე, რაც, უპირველეს ყოვლისა, დიდ გავლენას ახდენს სასწავლო გარემოზე. სკოლა ასევე ცდილობს უზრუნველყოს პოზიტიური კლიმატი, როგორც საკლასო ოთახში, ისე სკოლის დონეზე. მასწავლებელები გამოხატავენ ადეკვატურ პატივისცემას მოსწავლეების მიმართ, მასწავლებლები უსმენენ მოსწავლეებს და აწვდიან დროულ უკუკავშირს. კლასებში ტარდება სადამრიგებლო ს�ათი, სადაც აქცენტი

კეთედება ბავშვთა უფლებებსა და მოვალეობებზე სკოლაში და მის გარეთ. გენდერზე, გარემოს დაცვაზე. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სკოლის ხედვა: „სკოლაში ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ყველა მოსწავლე შეძლებს ცოდნის შეძენას.“ სკოლას შემუშავებული აქვს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი. მასწავლებელთან ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, რომ მასწავლებლები თანამშრომლობენ, ცვლიან საკუთარ მიგნებებს, იყენებენ დიფერენცირებული მიდგომებს. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა პროექტში.

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასევე დეკლარირებულია თანამშრომლობითი და გაზიარებულ პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული პროცესების დამყარების სურვილი სასკოლო ცხოვრებაში, მაგალითად მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად მასწავლებელი ვალდებულია კათედრას წარუდგინოს კურიკულუმის დანერგვის პროცესში ის რესურსები, აქტივობები და შეკითხვები, რომლებმაც პროცესში ხელი შეუწყო მოსწავლეთა ჩართულობას, წინსვლას, სამიზნე ცოდნის გააზრებულად აგებას. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ გაკვეთილებზე დასწრება, უკუკავშირის გაცემა და შემდეგ მათზე რეაგირება პოზიტიურ გარემოში ხდება, შექმნილია კეთილგანწყობილი გარემო, სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობები დამყარებულია ურთიერთპატივისცემაზე და ღიაობაზე.

სკოლაში შექმნილია გარემო, რომელიც ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეებს სწავლასა და განვითარებაში. მათთვის შექმნილია ისგ ჯგუფები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ინტერესების და შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოკვეთას. სსსმ მოსწავლეები ჩართული არიან ყველა დაგეგმილ აქტივობასა და ღონისძიებაში. სასწავლო პროცესი მიმართულია მიმღებლობასა და მხარდაჭერაზე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის თვითშეფასების ფორმაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; მასწავლებლები აქტიურად იყენებენ გარე სივრცეებს გაკვეთილების თუ პროექტების განსახორციელებლად. სკოლა ახორციელებს სხვადასხვა სახის სასწავლო პროექტებს, ატარებს ღონისძიებებს. ინტერვიუს დროს ისაუბრეს მასწავლებლებმა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეების საჭიროებებზე, შესაძლებლობებზე, ინტერესებზე და სწავლის სტილზე ორიენტირებულად. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის დროს მოსწავლე არის აქტიური თავისი სწავლის პროცესში, ხოლო მასწავლებელი გეზის, მიმართულების მიმცემი. სკოლაში გამოყენებულია დიფერენცირებულ სწავლების მეთოდები. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება მოიაზრებს განმავითარებელ შეფასებასაც. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას სთავაზობენ არჩევანს, თუ რა ფორმით წარადგინონ დავალება.

სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებიც ამაზე მეტყველებს - შერჩეული თემები, საკითხები სრულად შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებსა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას. მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს ძლიერი მხარეების განავითარებაში, ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში. მასწავლებლის მიერ ხდება პერიოდული გამოკითხვები, რომლის ანალიზის შედეგად შესაძლებელი იქნება სასწავლო პროცესის ისე დაგეგმვა, რომ მაქსიმალურად გაითვალისწინონ თითოეული მოსწავლის საჭიროება.

სკოლის თვითშეფასების ფორმაში ასევე ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები კერძოდ, მშობელთან კომუნიკაციას, პრობლემებთან ჩაღრმავება/იდენტიფიცირებისა და მოგვარების თვალსაზრისით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი აქტიურად თანამშრომლობს ერთმანეთთან როგორც ფორმალურ ასევე არაფორმალურ გარემოში, ხდება მასწავლებელთა შეხვედრები, პრაქტიკის გაზიარება, სიახლეების დანერგვა. ერთობლივად გეგმავგენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით. თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ ,,კათედრები საჭიროების შემთხვევაში მართავენ შეხვედრებს ,სადაც განიხილავენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს ,როგორიცაა მოსწავლეთა მიღწევები სასწავლო წლის განმავლობაში, კომპლექსური დავალებების შედეგების ანალიზი, შეფასების რუბრიკების შემუშავება , გაკვეთილზე ურთიერთდასწრებისას ანგარიში .სკოლაში ასევე არსებობს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის წევრებიც აქტიურად ესწრებიან კოლეგებს , შემუშავებული შეფასების სქემის შესაბამისად აკვირდებიან გაკვეთილების ჩატარების პროცესს, აფასებენ მასწავლებლის მუშაობას და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ეხმარება მასწავლებელს თვითგანვითარებაში''.

მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს დაგეგმოს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია). სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სკოლაში შექმნილია პოზიტიური და მეგობრული გარემო, მოსწავლეებს, მშობლებს და სკოლის თანამშრომლებს ყოველთვის შეუძლიათ დააფიქსირონ საკუთარი აზრი სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, ხშირად ხდება მათი პოზიციის გათვალისწინება. პრდაგოგები აღინიშნა, რომ აქტიური კომუნიკაცია აქვთ მოსწავლეებთან, რომელთა ინიციატივების შესაბამისად ეწყობა სხვადასხვა სახის პროექტები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს და სკოლის თვითშეფასების დოკუმენტზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. თითოეული მასწავლებელი ცდილობს შექმნას პოზიტიური გარემო არა მარტო საკლასო ოთახში, არამედ მთლიანად სკოლაში. აქ შექმნილია სივრცეები, სადაც აქვთ გამოფენილი მოსწავლეთა ნამუშევრები. ასევე სკოლაში მიმდინარე პროექტებში მოსწავლეებთან ერთად აქტიურად იღებენ მონაწილეობას მშობლები და ცდილობენ პოზიტიური განწყობა შემოიტანონ სკოლის ცხოვრებაში. სასკოლო საზოგადოების წევრები თანასწორნი არიან: მიუხედავად ეროვნებისა, რელიგიური აღმსარებლობისა და სქესისა. სასწავლო პროცესში მოსწავლეთა და მასწავლებელთა ნებისმიერი ინიციატივა წახალისებულია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მოსწავლეები ჩართული არიან სასწავლო პროექტებში. გასაუბრების დროს შესამჩნევი იყო მასწავლებლებს შორის პოზიტიური დამოკიდებულება. კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია ნდობაზე დაფუძნებული პოზიტიური და მიმღებლობითი გარემო. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს მეტად თავდაჯერებულები იყვნენ.

გარემოს შექმნაში მოსწავლეები თავად არიან ჩართულნი და აქვთ ხელმისაწვდომობა მატერიალურ რესურსებზე, კომპიუტერულ ტექნიკასა და ინტერნეტზე. შინაგანაწესით განსაზღვრულია სკოლაში ქცევის წესები, ხოლო საკლასო სივრცეებში განთავსებულია მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ ერთობლივად შემუშავებული და შეთანხმებულია კლასში ქცევის წესები. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია და მას აქვს შესაძლებლობა საკუთარი აზრის ღიად, თავისუფლად გამოხატვისა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოზიტიური საკლასო თუ სასკოლო კლიმატის შექმნას. სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასკოლო კლიმატი,რაც გამოიხატება სასკოლო საზოგადოებას(მოსწავლე,მშობელი,მასწავლებელი დირექცია) შორის ძლიერი თანამშრომლობით და კეთილგანწყობით.სკოლა პოზიტიური სასკოლო კლიმატის შსაქმნელად გეგმას მრავალ აქტივობას,რომელიც ასახულია ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**ხარვეზი:** დაწესებულებას არ ჰქონდა საკმარისი რაოდენობის და დასახელების ინვენტარი ბუნებისმეტყველების გაკვეთილების ჩასატარებლად, არ არის გამართული საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიები. შესაბამისად, დასკვნის პროექტში ექსპერტთა მიერ, 2.2 კომპონენტი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.

დაწესებულებამ 2023 წლის 30 ნოემბრის # N1623837 და 04 დეკემბრის N1636155, კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება No99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მე-15 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. აღნიშნული გეგმის თანახმად, 24.11.2023-24.11.2024 პერიოდში უზრუნველყოფს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრას. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15² მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული კომპონენტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (24.11.2023-24.11.2024) უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიის მოწყობა.*

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- ✓ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში;
- ✓ სასწავლო გეგმის პროექტები;
- ✓ კათედრის შეხვედრის ოქმები;
- ✓ კათედრის ანგარიშის ფორმები;
- ✓ სასკოლო პროექტები;
- ✓ საფეხურის კურიკულუმები;
- ✓ მასწავლებლებთან ინტერვიუები;
- ✓ სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- ✓ კათედრების ანგარიშის ფორმა;
- ✓ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლაში იწარმოება სწავლების ხარისხის მონიტორინგი, სკოლას შემუავებული აქვს კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება პერიოდულად სასწავლო წლის განმავლობაში სხვადასხვა საგანში და საფეხურზე განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. ეს მეთოდებია: ურთიერთდასწრება, დასწრების ფურცელი კათედრაზე და რეფლექსია, დირექციის მიერ დასწრება, უკუკავშირების ფორმები - ზეპირი რეკომენდაციები. ასევე მასწავლებელთა სწავლების ხარისხზე დაკვირვება და ამ ხარისხის გაუჯობესების რეკომენდაციების გაცემა, საჭიროებებიდან გამომდინარე კონკრეტული აქტივობების დაგეგვმა/განხორციელება და ჩართვა.

20323-2024 სასწავლო წელს გამოიყენებენ მასწავლებლის თვითშეფასების რუბრიკას. ეს ინსტრუმენტი მასწავლებელს ეხმარება იმის გაცნობიერებაში, თუ რატომ იყვნენ /არ იყვნენ მოსწავლეები ჩართული კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში, რამ იმუშავა კარგად, რამ - დააბრკოლა მოსწავლეთა ჩართულობა; ამ ყველაფრის გათვალისწინება კი მასწავლებელს საშუალებას მისცემს, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის გააუმჯობესოს თემატური მატრიცა და უფრო ეფექტიანი გახადოს კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესი'' - ვკითხულობთ სკოლის თვითშეფასების ფორმაში.

კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების ფარგლებში სკოლა გეგმავს შეადგინოს კითხვარები მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის, რომელზეც დაყრდნობითაც გააკეთებენ SWOT-ანალიზს. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლის მიერ შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. ასევე საბუნებისმეტყველო

მეცნიერებათა კათედრაზე იგეგმება მონიტორინგის მექანიზმის გაწერა, მოხდება დიაგნოსტიკური შეფასებები, მათ ანალიზსა და შემაჯამებლის ანალიზზე დაკვირვებით მოხდება მოსწავლეთა შედეგების რეფლექსია. აღნიშნული შედეგების საფუძველზე გაიცემა რჩევები და გაზიარებული იქნება მშობლისა და მოსწავლის დონეზე.

გასაუბრებისას კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ სკოლას გააზრებული აქვს დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების შესახებ მონიტორინგის მნიშვნელობა. ამ ეტაპზე სკოლა შემოიფარგლება ზეპირი უკუკავშირით. მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება სკოლას საშუალებას მისცემს, გამოკვეთოს არსებული პრობლემები და დაგეგმოს ამ პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობები. მონიტორინგისა და შეფასების აქტივობების დაწყებამდე მნიშვნელოვანია მეთოდოლოგიური ჩარჩოს/გეგმის შემუშავება, რათა მკაფიო იყოს რა კითხვებზე პასუხის გაცემას ემსახურება შეფასება. კათედრა კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის მიზნით შეიმუშავებს მექანიზმს ან შეარჩევს ინსტრუმენტს სარეკომენდაციო მასალებიდან და წარმოადგენს მეთოდოლოგიურ დანართში. საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ მათ მიერ დიაგნოსტირებისათვის შერჩეულია I. ინსტრუმენტი, ხოლო პედაგოგიკური საქმიანობის კვლევას წარმართავენ თემატური გეგმების ანალიზის საფუძველზე, რაც ასევე დადასტურდა ჩატარებული ინტერვიუების პროცესშიც. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში მოსწავლის შეფასების პროცესი ემსახურება ისევ მოსწავლეების ინტერესებს, კურიკულუმის დახვეწას და განვითარებას. გასაუბრებიდან და სკოლის თვითშეფასების ფორმიდან გამომდინარე გამოიკვეთა, სასკოლო საზოგადოების წევრები საჭიროების მიხედვით იკრიბებიან და კათედრის შეხვედრებზე ერთმანეთს აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეთა მიღწევების შესახებ, გეგმავენ კონკრეტულ ნაბიჯებს, ახორციელებენ ერთმანეთის გაკვეთილებზე დასწრებას, უზიარებენ ერთმანეთს სუსტი და ძლიერი მხარეების შესახებ ინფორმაციას და ეხმარებიან მასწავლებელს სუსტი მხარეების გაუმჯობესებაში, ხოლო ძლიერი მხარეების გაზიარება ხდება სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებისთვის. ასევე, მასწავლებლის გაკვეთილებზე დასწრება ხდება მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარადჭერის ჯგუფის წევრების მიერ.

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება, როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, ისევე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს მასწავლებლის შიდა შეფასებას, კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან.. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის კათედრებიც. კათედრის წარმომადგენლები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას, რა გამოუვიდათ უკეთესად, რის განხორციელება ვერ შეძლეს და ასახელებენ მიზეზებს, რათა ერთად დასახონ პრობლემის გადაჭრის გზა. ეს ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას.

ამ ეტაპისათვის, რაც კათედრას ამ კრიტერიუმთან მიმართებაში აქვს წარმოდგენილია არის ის, რომ შერჩეულია სადიაგნოსტიკო შეფასების მესამე ინსტრუმენტი, რაც გულისხმობს კომპლექსური დავალების განხორციელებასა და მოსწავლეთა თვითშესაფების საფუძველზე ანალიზის გაკეთებას. კათედრა გეგმავს სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ განახორციელოს კურიკულუმის იმპლემენტაციიის მონიტორინგი. კათედრის წევრებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი გააზრებული და გონივრულადაა დაგეგმილი. მასწავლებლებს გაანალიზებული აქვთ მოსწავლეთა საჭიროებები და შესაბამისად აქვთ შერცეული სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი. შეიძლება დავასკვნათ, რომ კათედრის მიერ მონიტორინგისათვის შერჩეული და შემუშავებული მექანიზმი უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას და ეფექტურ სასწალო პროცესს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში ჩანს, თუ როგორ განსაზღვრავს მონიტორინგი და შეფასება პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. კერძოდ, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პრობლემების იდენტიფიცირებისა თუ გადაჭრის გზების მოსაძიებლად განხორციელებულმა აქტივობებმა პასუხი უნდა გასცეს კითხვებს: რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში? (მონიტორინგი) და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება). პედაგოგებმა ინტერვიუში აღნისნეს, რომ სამომავლოდ გეგმავენ, ეს პროცესი იყოს უფრო ორგანიზებული, შექმნიან მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფს კურიკულუმების ეფექტიან მონიტორინგსა და შეფასებას. სკოლას აქვს მზაობა.

კურიკულუმის შემუშავების პროცესი ციკლურია და ამაში მოიაზრება მონიტორინგი და შეფასება, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალება. სკოლას აქვს მზაობა მომავალ სასწავლო წელს სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული მასალა გამოიყენოს პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისთვის. ამ ეტაპზე პედაგოგებს აქვთ ურთიერთდასწრების და განმავითარებელი შეფასების გამოცდილება, რაც პასუხს სცემს შეკითხვებზე და ადასტურებს რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად მიმდინარეობს.

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას გამოიკვეთება მიღწევები და პრობლემები, გაანალიზდება ისინი და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები. ამ მიმართულებით კათედრა გეგმავს წელიწადში ორჯერ დიაგნოსტიკური შეფასების ჩატარებას. ასევე პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევას თემატურ გეგმებზე დაყრდნობით.

ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით: მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად, რომელიც ორიენტირებულია მონიტორინგის და შეფასების საფუძველზე გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრაზე. კათედრას მონიტორინგისთვის შერჩეული აქვს ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომელიც გულისხმობს პარალელურ კლასებში განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე დაკვირვებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- ✓ სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ✓ სკოლის სასწავლო გეგმა;
- ✓ სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- ✓ კურიკულუმის შმუშავების მეთოდოლოგიის პროექტილ
- ✓ კურიკულუმები;
- ✓ კათედრის ოქმები/ანგარიშები;
- ✓ კონკრეტული მაგალითები წინარე გამოცდილებიდან.;
- ✓ მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. მომავალი საწავლო წლისთვის სკოლამ შეარჩია განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელი. სასკოლო კურიკულუმი ისეა გაწერილი თითოეული საგნის მიხედვით, რომ იძლევა საშუალებას, მასწავლებელი ინტეგრირებულად დააკვირდეს პროცესებს და გაითვალიწინოს

მრავალმხრივი მონაცემები და მრავალფეროვანი მეთოდით მიიღოს სრული სურათი შეფასებასთან დაკავშირებთ. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, მათ შორის, მასწავლებლის დაკვირვებას, ყოველდღიური სასწავლო პროცესის შეფასების დინამიკას, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, კათედრის ხელმძღვანელის, დამრიგებლის, დირექციის უკუკავშირს. შეფასების შედეგად უნდა გაირკვეს, რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ შეფასების პროცესში იყენებენ მრავალფეროვან წყაროებს, როგორებიცაა: მოსწავლის წინარე ცოდნა და გამოცდილება, მოსწავლის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, რესურსებზე ხელმისაწვდომობა, მშობლების უკუკავშირი, დამრიგებლის უკუკავშირი, კლასში შემსვლელი სხვა საგნების მასწავლებელთა უკუკავშირი და სხვა. მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და სწორი ხედვა. იგივე ჩანს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშველოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგის ინფორმირებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ, რაც თავის მხრივ უადვილებს მასწავლებელს დაინახოს მოსწავლის განვითარების დინამიკა, ასვე მოსწავლეს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე. აღნიშნული სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. მასწავლებლებთან გასაუბრებამ გამოკვეთა, რომ მათ აქვთ ხედვა, იაზრებენ და ითავისებენ მოსწავლის შეფასების მნიშვნელობას, ეცნობიან მრავალფეროვან ინსტრუმენტებს და ნერგავენ პრაქტიკაში. აქვთ მზაობა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე იმუშაონ და განვითარდნენ ამ მიმართულებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. ყველა საგნის კურიკულუმებში გაწერილია კომპლექსური დავალების იდეა. კომპლექსური დავალებებით სწავლება კი გულისხმობს მოსწავლეების მზაობის, უნარების, შესაძლებლობების გათვალისწინებას. სკოლა, შეფასების მიზნიდან გამომდინარე, ახალი სასწავლო წლიდან სრულყოფილი ინფორმაციისთვის დააკვირდება და შეისწავლის მოსწავლის მზაობას სხვადასხვა კონტექსტებით და ფოკუსირებული დაკვირვების შედეგად შეფასება განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით: თანამშრომლობს თუ არა მოსწავლე თანაკლასელებთან წყვილსა და ჯგუფებში, როგორ იყენებს საკლასო სივრცეში არსებულ რესურსებს სასწავლო მიზნებისათვის. ასევე, ჩანს თუ არა მოსწავლის ნამუშევარში ინდივიდუალიზმი, რამდენად ავლენს ინიციატივას არაფორმალური აქტივობების განხორციელებისას. სკოლას ამ მხრივ აქვს სწორი ხედვა.

შეფასება ხორციელდება მრავალი კომპონენტის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს თითოეულ მოსწავლეზე მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებას. ასევე შემდგომ ამ ყველაფრის სასწავლო პროცესში გათვალისწინებას, სასწავლო თემების, საკითხების, შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების სახით. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ამ მიმართუებით კიდევ ბევრი რამ აქვთ სამუშაო და გასაუნმჯობესებელი. სწორედ ამ მიზნით იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასება. სკოლას გააზრებული აქვს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტისა და წინაპირობასა გათვალისწინებით, რაც საშუალებას აძლევთ მოხდეს მოსწავლის მრავალიმხრივი ინტერესებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს ჰოლისტური შეფასების

სქემის დახვეწას, რომელიც უფრო გააუმჯობესებს მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ განვითარებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.** კათედრასთან გასაუბრების და დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოვლინდა, რომ სკოლას გამოცდილებაში აქვს მონიტორინგის და შეფასების განხორციელების პრაქტიკა. შეფასებისთვის სკოლა იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს, როგორებიცაა დაკვირვება, კითხვარები, მონაცემთა ანალიზი (შემაჯამებელი დავალების ანალიზი, ფინალური გამოცდების შედეგების ანალიზი), ინტერვიურება და ა.შ. პედაგოგები ცდილობენ შეისწავლონ რამდენად ეფექტურია მათ მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწვალის შედეგების თვალსაზრისით, როგორც ჩანს ისინი ცდილობენ შეფასებისას გაითვალისწინონ კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები და ა.შ. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების ისეთი მრავალფეროვანი მეთოდები, როგორიცაა: სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა, დაკვირვება, ინტერიუ, ფოკუსჯგუფი, ტესტირება. მონაცემთა შეგროვების ფორმა, რაც გაგვიადვილებს სასწავლო პროცესის კომპლექსურ შეფასებას.

სკოლას ნათლად აქვს წარმოდგენილი, თუ როგორ და რა მონაცემების მოგროვება სურს სასკოლო საზოგადოებიდან თუ სკოლის სტრუქტურული ერთეულებიდან კურიკულუმის დანერგვის მიმდინარეობის ერთიანი სურათის დასანახად.

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა 2023-2024 სასწავლო წლისათვის გეგმავს დიაგნოსტიკურ შეფასებას კომპლექსური დავალებების ანალიზის ინსტრუმენტის გამოყენებით. როგორც ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, სასწავლო პროცესის შეფასება მიმდინარეობს ურთიერთდასწრების, თვითშეფასების და ურთიერთშეფასების, მოსწავლეებთან საშინაო დავალების, საკლასო დავალების, კომპლექსური დავალების, შემაჯამებელი სამუშაოს შესრულების საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ კათედრაზე ჯერ კიდევ ბევრია ამ კუთხით სამუშაო და განმავითარებელი შეფასება ისევ რჩება პრობლებურ საკითხად, რომელზეც მუშაობა კვლავ ინტენსიურად უნდა დაიგეგმოს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.** მოსწავლის შეფასება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესია, შეფასებისას ითვალისწინებენ ინდივიდზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორებს: მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები, მშობლებისა და მასწავლებლების დამოკიდებულებები და სოციალური გარემო სადაც იგი იზრდება და ვითარდება. ასევე სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: დრო, სივრცე, გარემო... რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებაზე, ახდენს სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. ნებისმიერი მოვლენის შეფასებისას ცდილობენ, გათვალსიწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მოსწავლის შედეგზე.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (საგნობრივი კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები) იკითხება, რომ მოსწავლის შეფასებისას მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორებს, მათ ინტერესებს, სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაადგინოს, თუ რამდენად მონაწილეობენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რა ფაქტორები/პრაქტიკა

უწყობდა და/ან უშლიდა ხელს მათ ჩართულობას აღნიშნულ პროცესში. ამრიგად მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს როგორც მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ შიდა ფაქტორებს ასევე გარე მამოტივირებელ ფაქტორებს.

საგნობრივ კათედრაზე შემუშავებულია შეფასების სხვადასხვა რუბრიკა, რისი საშუალებითაც მასწავლებლები ადგენენ მოსწავლეთა ძლიერ და სუსტ მხარეებს და ამის გათვალისწინებით გეგმავენ სწავლების შემდგომ ეტაპს. ეძლევათ საშუალება მაქსიმალურად დაადაგინონ მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარე ამის გათვალისწინებით დაგეგმონ სწავლების შემდგომი ეტაპი. კათედრის წევრებთან ინტერვიუსა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების/თვითშეფასების ოქმის ანალიზიდან ჩანს, რომ სკოლა მხედველობაში იღებს სხვადასხვა ფაქტორს, როგორიცაა: მოსწავლის მოტივაციას, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნას, მიღწეულ შედეგებს და არა პიროვნულად მოსწავლეს. ითვალისწინებს ეთნიკურობას, ენობრივ ბარიერს, სოციალურმდგომარეობას, რელიგიას და სხვა მნიშვნელოვან გარემოებებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- ✓ ინტერვიუს წარმართვის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია;
- ✓ კურიკულუმები;
- ✓ შეფასების რუბრიკები;
- ✓ შემაჯამებელი ოქმები;
- ✓ სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- ✓ კომპლექსური დავალების ანალიზი, კომპლექსური დავალების ბარათები, მასწავლებელთა გამოკითხვა;
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლაში კურიკულუმის განახლება ხდება წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე. ინტერვიუს დროს გამიკვეთა, რომ კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. კურიკულუმის რევიზიისას გათვალისწინებულია წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზი. ანალიზის საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციებს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად. მასწავლებლებს ესმით რომ არა სპონტანურად, არამედ თანმიმდევრულად უნდა წარიმართოს მიმდინარე წელიწადს კურიკულუმის დანერგვის შესახებ მონაცემების შეგროვება და დამუშავება. რეფლექსიით და საჭიროებების კვლევით ისინი შეძლებენ წლის ბოლოს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის ჩამოყალიბებას.

სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუმენტი, ასევე კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რაც ნიშნავს, რომ სკოლა კურიკულუმის განვითარების პროცესში ითვალისწინებს სასწავლო პროცესის ანალიზის საფუძველზე გამოტანილ დასკვნებს. ინდიკატორის მოთხოვნებს შეესაბამება.

მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ ახალი სასწავლო სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის მასწავლებლების თვითრეფლექსია, განვლილი პროცესების გაანალიზება, კათედრის წარმომადგენლები იკრიბებიან და განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს, მსჯელობენ მათ ეფექტიანობაზე, მონაცემების შეჯერების საფუძველზე მომზადდება რეკომენდაციები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისთვის. დაწყებითი კათედრის პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში ყოველწლიურად ხდება სასკოლო კურიკულუმების განვითარება, რომელიც ეფუძნება წინარე გამოცდილებას და შეფასების შედეგებს. გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების მიზნები, სასწავლო რესურსები, სწავლების მეთოდები და სტრატეგიები. ეს მათ აძლევს საშუალებას დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გაზიარებულ იქნას სასკოლო საზოგადოების მიერ სამომავლო პერსპექტივების შესაფასებლად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახულია კურიკულუმის განვითარების ძირითადი პრინციპები, რომელებიც დაკავშირებულია სასკოლო და საგნობრივ კურიკულუმების გადასინჯვასთან და რევიზიის პროცესთან. მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი: „კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე“. აგრეთვე თვითშეფასების ფორმაშიც აღნიშნულია, რომ რევიზირებულ საგნობრივ კურიკულუმში აისახება წლის მანძილზე მიღებული გამოცდილება. სკოლას აქვს მზაობა და სამომავლო ხედვა.

სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კათედრა გეგმავს ყოველწლირად განიხილონ სასკოლო კურიკულუმი და შეიმუშავონ სასკოლო კურიკულუმის გაუმჯობესებული ვერსია. მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასკოლო კურიკულუმი მომავალ წელს უფრო გამართულ დოკუმენტად აქციონ, გაითვალისწინონ ყველა ის პრობლემა რომელიც განვლილ სასწავლო წელს მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და ასახონ, იმუშაონ პრობლემის დაძლევის გზებზე.

მიმდინარეობს მუშაობა კურიკულუმების დახვეწაზე. აპირებენ, რომ მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და შეფასების შედეგად დანახული მიგნებები ასახონ ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ახალი კურიკულუმის საბოლოო გაწერისას აპირებენ გაითვალისწინონ ის პრობლემები, რომელიც განვლილ სასწავლო წელს მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და ასახონ პრობლემის დაძლევის გზები. კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ წინა წლის საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება ასახულია 2023-2024 წლის კურიკულუმში . ახალი კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია ის პრობლემები, რომელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა.. კათედრის წევრები 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში გეგმავენ პარალელურ კლასებში ერთი და იმავე კომპლექსური დავალებების დანერგვას, წარმოდგენილი და გააზრებული აქვთ შესაფასებლად შემუშავებული ინსტრუმენტი.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- ✓ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის პროექტი;
- ✓ თვითშეფასების კითხვარი;
- ✓ კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის მეთოდოლოგია;
- ✓ ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- ✓ ფოკუსჯგუფთან მუშაობის დროს მოპოვებული ინფორმაცია.;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი(საბაზო საფეხური)

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>[საბაზო საფეხური] | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. სასკოლო კურიკულუმი**
**2.1. კურიკულუმის შემუშავება**
**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ ქ.თბილისის N141 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით დარეგულირებული, კურიკულუმის შემუშავების პროცესი, წარმოადგენს იმ მექანიზმს, რომელიც სასკოლო საზოგადოების ინტერესების კურიკულუმში ასახვის შესაძლებლობას იძლევა. დოკუმენტის რეგულაცია ითვალისწინებს კურიკულუმის შემუშავების დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს. მეთოდოლოგიის მიხედვით, თითოეული ეტაპი სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება, ვინაიდან მასში მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები (განსაკუთრებით სსსმ მოსწავლეთა მშობლები) და დირექცია.
მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია ესგ-ს მოთხოვნები, სკოლის ფილოსოფია, კურიკულუმის დიზაინი-კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში, სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება და ა.შ.
სასკოლო საზოგადოება ორიენტირებულია გძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე (ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სტანდარტებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახთ). შუალედური მიზნები, შესაბამის

სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებებისა და არსებული მოცემულობის შესაბამისად. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლთა შესრულებასაც მოსწავლეს გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება. კათედრები წინა წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით და მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით მიმდინარეობს კურიკულუმების შექმნასა და მის დახვეწაზე მუშაობა. კათედრის წევრები არიან აქტიურად ჩართულნი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რომელიც ეყრდნობა მოსწავლეთა თვითშეფასებებს, კათედრის ანალიზებს. ინტერვიურების პროცესში ასევე იკვეთება, რომ კურიკუმების შედგენის დროს პედაგოგებს არ გაუჭირდებათ კომპლექსური დავალებისა და აქტივობების დიფერენცირების გათვალიწინება. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში მასწავლებლის, კათედრის, დირექციის, მოსწავლისა და მშობლის ჩართულობა სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.**წარმოდგენილ დოკუმენტაციით და კათედრასთან ინტერვიუთი დგინდება, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. სასკოლო საზოგადოების კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულობისთვის სკოლაში შექმნილია პოზიტიური, სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე ორიენტირებული სასკოლო კულტურა. შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთება საჭიროებები, რომელთა გათვალისწინებით ხდება საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება, მასწავლებლები იყენებენ როგორც მოწოდებულ სანიმუშო კურიკულუმებს, ასევე ცდილობენ თავად შექმნან საკუთარი ორიგინალური, შემოქმედებითი და მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული კომპლექსური დავალებები. კურიკულუმებში ჩანს სასკოლო საზოგადოების დაინტერესება და ამ პროცესის ერთიანი ხედვა. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ ესწრებოდნენ სხვადასხვა ტრენინგებს და ცდილობდნენ კურიკულუმები შესაბამისობაში ყოფილიყო მესამე თაობის ეროვნლ სასწავლო გეგმასთან. მოიძიეს რესურსები, მოიფიქრეს კონტექსტ მაგალითები, დაურთეს შეფასების რუბრიკები და კურიკულუმები გააამდიდრეს მოწავლის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობებით.

კურიკულუმის შემუშავებასა და მოდიფიცირებაში, აქტიურადაა ჩართული სკოლის დირექცია, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლებს აძლევენ მეთოდურ რეკომენდაციებს. გასაუბრებსას მასწავლებლებმა აღნიშნეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების დროს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლის თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში აქტიურადაა ჩართული სასკოლო საზოგადოება, მნიშვნელოვანი როლი ეკისრება კათედრის თითოეულ წევრს. სამუშაო შეხვედრების დროს განიხილება მოსწავლეებზე დაკვირვების შედეგები, რომლის საფუძველზეც ხდება მისი ინტეგრაცია სასკოლო კურიკულუმში.

თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია რომ, ისინი წლის განმავლობაში აკვირდებიან სასწავლო პროცესს, წარმოადგენენ ანგარიშებს, სამომავლოდ კი იგეგემება მოსწავლეთა ინტერსებზე მორგებული სასწვალო პროცესი. განხორციელებული აქტივობები, კომპლექსური დავალებები, შემაჯამებელი პროექტები ქვეყნდება სკოლის სოციალურ გვერდზე და კლასის სასაუბრო ჩატში იგზავნება. ასევე განიხილავენ მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრებზე და კათედრაზე, სადაც იგეგმება პრობლემის გადაჭრის გზები. შექმნილი კურიკულუმები

ხელმისაწვდომია საჯარო სკოლის საზოგადოებისთვის. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მორგებულია მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებზე, რაც კარგად გამოჩნდა მასწავლებლებთან ინტერვიუზე.

რაც შეეხება, მშობლებს, მათ თითოეული საფეხურისა თუ შესაბამისი კლასის კურიკულუმებისათვის გაამზადეს დავალებების ბარათები მშობლებისათვის, რათა მეტად ინკლუზიურები ყოფილიყვნენ მშობლები სწავლა-სწავლების პროცესში. ამ მთლიანი პროცესის თანამონაწილე/მრჩეველი იყო სკოლის დირექცია/დირექტორის მოადგილე, რომელიც რჩევას და მონიტორინგს უწევდა კურიკულუმის შემუშავების პროცესს, რათა ეს პროცესი და შესაბამისად, შედგეგი სრულ შესაბამისობაში ყოფილიყო ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

სამომავლოდ იგეგმება მშობელთა ჩართულობის გაძლიერება, მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით კლუბებისა და წრეების შექმნა, აქვთ მზაობა, არსებული პრაქტიკის განვითარებისა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში ასახულია, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხები. ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სოციალური მედია, ბეჭვდითი მასალები, საჯარო ღონისძიებები-ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან, სპეციალური კითხვარი მშობლებისთვის.

სკოლის თვითშეფასების კითხვარის დოკუმენტების ანალიზისა და პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლის საზოგადოების მიერ შექმნილი კურიკულუმები არის მკაფიოდ გაწერილი საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით შემუშავებული დოკუმენტი, რომელიც გაზიარებულია სკოლის პედაგოგების, მოსწავლების და მშობლებისთვის. საგნობრივი და სასკოლო კურიკულუმების გაზიარება სასკოლო საზოგადოებისთვის საგნის მასწავლებლებისა და დამრიგებლების მიერ ხდება სხვადასხვა საშუალებებით: თიმსის პლატფორმით, სოციალური ქსელებით, ნაბეჭდი სახით და ა.შ. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა გამოკრულია სკოლის დერეფანში დაფაზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება:**

- ✓ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ანგარიში;
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 წ.წ;
- ✓ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია 2023-2024 წ.წ;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმი;
- ✓ მშობელთა კრების ოქმი;
- ✓ კათედრის სხდომის ოქმი;
- ✓ კათედრის წევრებთან ინტერვიუ.

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. შემუშავებულ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, სწავლის პროცესი განიხილება აქტიური ცოდნის კონსტრუირების პროცესად და ორიენტრიებულია მოსწავლის მიერ საკუთარი სწავლა-სწავლები პროცესის დაგემვაზე. სამიზნე ცნებების კომპონენტი სასწავლო პროცესში ცოდნის, უნარების, ღირებულებების ერთობლივ აღქმასა და მოქმედებას განაპირობებს. შესაბამისად, ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. შუალედური მიზნები განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. უპირატესობა ენიჭება ისეთი კომპლექსური დავალების პირობის შემუშვებას, რომელიც აამუშვებს მოსწავლის ფანტაზიას, გამოიწვევს მოსწავლეს და ცნობისმოყვარეობით შეეცდება პროდუქტის შექმნას. შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია კომპლექსური დავალებები და მათი დამუშავებისთვის სავალდებულო თემებში არსებული საკითხები, თავისი რესურსებით, რომელიც უნდა დამუშავდეს კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელების დროს. კურიკულუმში გასაწერია კომლექსური დავალების იდეა, კონტექსტ მაგალითი, შედარებითი მაგალითი. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი.

ინტერვიუს პროცესში კათედრამ გამოხატა მზაობა აქცენტი გააკეთონ მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიებზე, ისაუბრეს მოსწავლეთა თვითრეფლექსიებზეც, სადაც მოსწავლე აანალიზებს რა გამოუვიდა კარგად, რატომ და რა იყო ის ცოდნა და გამოცდილება რამაც წარმატება მოუტანა. კომპლექსური დავალება ცხოვრებისეული სიტუაციების დავალების პირობად გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. მასწავლებლებმა აცნობიერებენ, რომ აღნიშნული პირობა მოსწავლეს მისცემს შესაძლებლობას გამოთქვას ვარაუდები, მოსაზრებები, იმსჯელოს, გააკეთოს დასვნა რაც უდაოდ გამოიწვევს მასში თვითკმაყოფილებას რომელიც მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი მდგენელია.

აგებულია ისეთი კურიკულუმები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების დაფარვას ემსახურება. შუალედური სასწავლო მიზანი - კომპლექსური დავალება, საშუალებას იძლევა დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. შემუშავებული კურიკულუმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასების დოკუმენტები, მასწავლებლის თვითრეფლექსია და ურთიერთშეფასების რეფლექსია საშუალებას იძლევა ვიფიქროთ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ თემა, სამიზნე ცნება, სასწავლო რესურსები. ფლობენ განსმაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სტრატეგიებს. თუმცა, დასაზუსტებელი აქვთ საკითხთა კლასტერის გამოყოფა, შესაბამისი ქვეცნებისა და ქვესაკითხის დაზუსტება. ინტერვიუს დროს აღმოჩნდა, რომ კათედრას აქვს მზაობა ერთობლივი მუშაობით შეჯერდნენ კომპლექსური დავალების პირობებზე და კარგად გამოიყენონ კონტექსტ მაგალითები რაც გლობალური ფუნქციური უნარების კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის, კოლაბორაციის, მოქალაქეობისა და ხასიათია და ნებელობის განვითარებაზეა ორიენტირებული. ყველა უნარის ეტაპობრივი განვითარება კი პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებია, რადგან ნებისმიერი სწავლის პროცესში მოსწავლე ჩართულია კომუნიკაციაში, უწევს შემოქმედებითად მიუდგეს პრობლემის გადაჭრას, იაზროვნოს კრიტიკულად, იმუშაოს ინდივიდუალურად, ჯგუფურად, ისწავლოს დამოუკიდებლად, მოუსმინოს სხვებს. შეაფასოს, შეძლოს თვითშეფასება რაც ეხმარება მისი პიროვნული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში და ითხოვს არა მხოლოდ ამ უნარების აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივ მასალაზე დაყრდნობით იგეგმება საინტერესო სასწავლო პროექტების განხორციელება, ასევე სამიზნე ცნებების სიღრმისეულად გააზრებაზე, რაც ითვალისწინებს თანამედროვე მოზარდის ინტერესებსა და საჭიროებებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. მასწავლებლებს, ძირითადად, გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, დავალებები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. მათში გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარი ორიენტირები. შუალედური სასწავლო მიზანი - კომპლექსური დავალება, საშუალებას იძლევა დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. შემუშავებული კურიკულუმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასების დოკუმენტები, მასწავლებლის თვითრეფლექსია და ურთიერთშეფასების რეფლექსია საშუალებას იძლევა ვიფიქროთ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ თემა, სამიზნე ცნება, სასწავლო რესურსები. ფლობენ განსმაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სტრატეგიებს.

დასაზუსტებელია საკითხთა კლასტერის გამოყოფა, შესაბამისი ქვეცნებისა და ქვესაკითხის დაზუსტება. ინტერვიუს დროს აღმოჩნდა, რომ კათედრას აქვს მზაობა ერთობლივი მუშაობით შეჯერდნენ კომპლექსური დავალების პირობებზე და კარგად გამოიყენონ კონტექსტ მაგალითები რაც გლობალური ფუნქციური უნარების კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის, კოლაბორაციის, მოქალაქეობისა და ხასიათია და ნებელობის განვითარებაზეა ორიენტირებული. ყველა უნარის ეტაპობრივი განვითარება კი პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებია რადგან ნებისმიერი სწავლის პროცესში მოსწავლე ჩარტულია კომუნიკაციაში, უწევს შემოქმედებითად მიუდგეს პრობლემის გადაჭრას, იაზროვნოს კრიტიკულად, იმუშაოს ინდივიდუალურად, ჯგუფურად, ისწავლოს დამოუკიდებლად, მოუსმინოს სხვებს. შეაფასოს, შეძლოს თვითშეფასება რაც ეხმარება მისი პიროვნული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში და ითხოვს არა მხოლოდ

ამ უნარების აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. ინდიკატორი შესაბამისობაშია. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.** ინკლუზიური განათლების კონცეფციის თანახმად, სკოლაში შექმნილია გარემო, რომელშიც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. მასწავლებლები კარგად იცნობენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლის წინარე ცოდნას, ამოსავალ წერტილად მიიჩნევენ მის ინტერესებს და მიყვებიან განვითარების დინამიკას. გამოყენებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები როგორც სახელმძღვანელოების ასევე სხვადასხვა ბმულებისა და ინტერნეტრესურსების სახით. კომპლექსური დავალებების პირობები მრავალფეროვანი პროდუქტის შექმნის შესაძლებლობებს იძლევა: პოსტერის, პრეზენტაცის,ბუკლეტისა და სხვა.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლისათვის განსაკუღრებულად ყურადსაღებია სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, რომელიც გულისხმობს მოსწავლეზე ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნას. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აქვს პანდუსი, ლიფტი, საბუნებისმეტყველო საგნებისათვის განკუთვნილი საკლასო ოთახები განთავსებულია მაღალ სართულებზე, შინაარსობრივად, კურიკულუმებში გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლის ინტერესები და მასწავლებლებს შეუძლიათ კომპლექსური დავალების პირობის მოსწავლეთა შესაძლებლობებზე მორგება. ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, სთავაზობენ მრავალფეროვან რესურსებს, სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებული აქვთ ინდ გეგმები, რომელთა დახვეწასა და სრულყოფასაც გეგმავენ, კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების საშუალებით. გასაუბრებისას მასწავლებლებში ჩანდა ხედვა, თუ როგორ წარმართავდნენ სასწავლო პროცესს ინდივიდუალური მიდგომებით მოსწავლეთა მიმართ. როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ, დიფერენცირებული მიდგომები უფრო მკაფიოდ აისახება უშუალოდ კომპლექსურ დავალებებში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. კურიკულუმებში გათვალისწინებულია როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებლი შეფასების რუბრიკები და სქემები. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია განმავითარებელი შეფასების ნიმუშები, რომელიც ეყრდნობა სოლო ტაქსონომიას და ზოგად წარმოდგენას ქმნის სკოლის ფარგლებში შეფასების აღნიშნული ტიპის წარმოების წესზე. განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ისეა ჩამოყალიბებული რომ ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მიმდინარე სხვადასხვა სახის მეთოდური ორიენტირების გამოკვეთას. გულისხმობს მოსწავლის მხრიდან შესრულებული სამუშაოს აღწერას და წარმოდგენილი ნაშრომის გასიტყვებას და შეფასებას. საბაზო საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილია შეფასების რუბრიკების ჩარჩოები (რამდენიმე ნიმუში), რომლებიც მიემართება სამიზნე ცნებებზე-გრძელვადიან მიზნებზე, და, ასევე, შეფასების რუბრიკები, რომელიც აფასებს მოსწავლის ცოდნას სტანდარტის შედეგებთან მიმართებით. მოსწავლეები მუდმივად იღებენ განმავითარებელ უკუკავშირს, ძირითადად ზეპირსიტყვიერად. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების გამოყენებით ადგენენ მოსწავლის მიღწევის დონეს. გლობალური უნარ-ჩვევების შესაფასებლად გამოიყენება ჯგუფური მუშაობის, ინფორმაციის მოძიების, პრეზენტაციის, დისკუსიის, კვლევის და ა.შ

ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს განმავითარბელი შეფასების ეფექტიანობაზე. აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალების დასრულების შემდეგ სოლო ტაქსონომიაზე დაყრდნობით აფასებენ მოსწავლეთა ცოდნის დონის შესაბამისობას შესასწავლ ცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებაში. უნდა ითქვას, რომ გამოხატეს ერთგვარი უკმაყოფილება მოსწავლეთა სოლო ტაქსონომიით შეფასებასა და მათთვის განმავითარებლი კომენტარის წერასთან დაკავშირებით, თუმცა, აცნობიერებენ, რა განმავითარებელი შეფასების აუცილებლობას, თვლიან რომ სისტემატიურად იმუშავებენ აღნიშნული სირთულის დასაძლევად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5.** 2023-2024 სასწავლო წლისათვის სასკოლო კურიკულუმების დაგეგმვა/შედგენისას კათედრის წევრები ითვალისწინებდნენ წინა სასწავლო წლის გამოცდილებას. წინარე გამოცდილებას დაგეგმვის პროცესში აქტიურად და სისტემატურად იყენებენ. ეს გამოიხატა როგორც მთლიანად კურიკულუმის შემუშავებაში, ასევე საკითხებისა და კომპლექსური დავალებების შერჩევაში, შემოქმედებითი პროდუქტისა და აქტივობების შერჩევაში. აჯამებენ რა კათედრაზე შედეგეს და უზიარებენ კათედრის წევრები ერთმანეთს მოსწავლეთა მიღწევებს, ყოველივეს ითვალისწინებენ დაგეგმვის პროცესში. მაგალითისათვის გასაუბრებაზე განიხილეს ერთერთი კომპლექსური დავალება, რომელიც გასულ სასწავლო წელს განახორციელეს და შემოქმედებით პროდუქტად შესთავაზეს მოსწავლეებს, ეფექტიანობის გამო აღნიშნული კომპლექსური გათვალისწინებული აქვთ 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმშიც. მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინებით სასწვლო პროცესის დაგეგმვაზე გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს წარმოდგენილი კურიკულუმები. მასში გაწერილი თემები,საკითხები და კომპლექსური დავალებები, შინაარსობრივად ერთმანეთზეა აგებული და მოიაზრებს მოსწავლის წინარე ცოდნას. კათედრასთან ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად იყვნენ/არიან ჩართულები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, აკვირდებიან მოსწავლეთა სასწავლო პროცესსა და მიღწეულ შედეგებს, ეს კი საშუალებას აძლევს მათ მიღებულ გამოცდილებაზე/მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე/საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით, დაგეგმონ სასწავლო პროცესი.

კათედრები სისტემატიურად ხვდება ერთმანეთს და მასწავლებელები უზიარებენ ერთმანეთს წინარე გამოცდილებას, თუმცა როგორც აღნიშნეს, არ აქვთ გამოცდილების გაზიარების დოკუმენტური ანალიზი, რომლის მოგვარებასაც გეგმავენ, რათა უკეთესად დაგეგმონ სასწავლო პროცესი. კურიკულუმებში შეიტანეს მათ მიერ უკვე განხორციელებული და მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები, რომელიც მიდინარე სასწავლო წელს უნდა განახორციელონ და გამოთქვეს მზაობა რომ მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირის, რეფლექსიის შედეგების და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით მომავალი სასწავლი წლისთვისაც გადაამუშავებენ და დახვეწენ კურიკულუმებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

***რჩევა: (საზოგადოებრივი მეცნიერებები)***

- ✓ *ყველა კლასისა და საგნის კურიკულუმებში გაიწეროს და განისაზღვროს შუალედური მიზნები, სწავლა-სწავლების მეთოდები, გამოიყოს კონტექსტ-მაგალითები და დამატებითი სასწავლო რესურსები.*
- ✓ *საკითხთა დაკლასტერება მოხდეს შინაარსის მიხედვით.*
- ✓ *გაიწეროს საკითხების სწავლების მეთოდები.*

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- ✓ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 წ.წ.
- ✓ საგნობრივი კურიკულუმები;
- ✓ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
- ✓ ისგ;
- ✓ კომპლექსური დავალების ბარათები;
- ✓ თემატური ერთეულის მატრიცა;
- ✓ მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- ✓ ომპლექსური დავალების ანალიზი;
- ✓ კათედრის წევრებთან ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.2 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კურიკულუმების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის განხორციელება მიმართულია ისეთ საკლასო გარემოზე და საგაკვეთილო პროცესზე, როდესაც საკვანძოდ მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე არის სწავლა-სწავლების ცენტრში და აქტიურადაა ჩართული პროცესში. კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნები, საშუალებას მისცემს მოსწავლეს, რომ განიხილოს ახალი ინფორმაცია, გადაამუშაოს და განიხილოს იგი ახალ კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ ზეპირი სახით. ამასთან ერთად, მაგალითები კონტექსტისა თუ შედარებისათვის და შერჩეული რესურსები ვალიდურია, რაც დაეხმარება მოსწავლეებს შესადარებელი მაგალითების განხილვაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შესაძლბელია დასკვნის გაკეთება, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ ინფორმაციის დამუშავების პორცესში მათი როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას.კურიკულუმების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის განხორცილება მიმართულია ისეთ საკლასო გარემოზე და საგაკვეთილო პროცესზე, როდესაც საკვანძოდ მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე არის სწავლა-სწავლების ცენტრში და აქტიურადაა ჩართული პროცესში. კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნები, საშუალებას მისცემს მოსწავლეს, რომ განიხილოს ახალი ინფორმაცია, გადაამუშაოს და განიხილოს იგი ახალ კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ ზეპირი სახით. ამასთან ერთად, მაგალითები კონტექსტისა თუ შედარებისათვის და შერჩეული რესურსები ვალიდურია, რაც დაეხმარება მოსწავლეებს შესადარებელი მაგალითების განხილვაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შესაძლბელია დასკვნის გაკეთება, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ ინფორმაციის დამუშავების პორცესში მათი როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმები გათვლილია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ყოველი თემა მუშავდება ეტაპობრივად, წინარე ცოდნის გააქტიურებით იწყება კომპლექსური დავალების პირობის გაგაზრება, ან მისთვის ნაცნობი კონტექსტითა თუ ცხოვრებისეული მაგალითით ეხმარება ახალი ინფორმაციის ძველთან დაკავშირებაში. შედეგად, მოსწავლე ინტერესით ერთვება მსჯელობაში, გამოთქვამს ვარაუდებს, ფიქრობს პრობლემის გადაჭრისა და პროდუქტის შექმნის საუკეთესო შესაძლებლობაზე. კურიკულუმებში მოცემული საკვანძო შეკითხვები, დავალებების კონტექსტს მაგალითები და სიტუაციური ქეისები ეხმარება მოსწავლეს ახალი ცოდნის კონსტრუირებაში ეხმარება.

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები გააზრებული და შეჯერებულია საგნობრივი კათედრის წევრებთან, სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით, ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და მიღებული ინფორმაცია აქტიურად გარდაიქმნება ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ სასწავლო პროცესის წარმართვისთვის შეარჩიონ კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება მოსწავლეებისთვის გამომდინარე მათი წინარე ცოდნა-გამოცდილებიდან. ეს კი დაეხმარება მათ ცოდნის კონსრტუირებაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს, ასევე ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ჩანდა, რომ სკოლა გარკვეულწილად ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. კათედრას წარმოდგენილი აქვს პროექტები და აქტივობები, ინტერვიუების დროსაც აღნიშნეს, რომ კათედრები სთავაზობს მრავალფეროვან პროექტებსა და სხვადასხვა ღონისძიებებს, რომელშიც მოსწავლეთა ჩართულობა, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და ანალიზის კომპეტენციების გაღმავებაა საჭირო.

სკოლაში სასწავლო პროცესი ხორციელდება მრავალფეროვანი სტრატეგიების საშუალებით და აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მაგ: საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლის საუკეთესო პრაქტიკაა ცდებისა და პრაქტიკულ/ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარება, რომლითაც მოსწავლეს საშუალება იძლევა თავად გახდეს პროცესის წარმმართველი, დააკვირდეს და გაანალიზოს ცდის შედეგები. ფიზიკის საკლასო ოთახში იგრძნობა მოსწავლეთა დაინტერესება მრავალფეროვანი აქტივობებით, თუმცა არ ფუნქციონირებს ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორია. გაწერილი და გამოკრული აქვთ ლაბორატორიის სარგებლობისა და უსაფრთხოების წესები. ბიოლოგიის ლაბორატორიაში განთავსებულია საგნის შესწავლისათვის გათვალისწინებული რამდენიმე თვალსაჩინოება და ინვენტარი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. კომპლექსური დავალების პირობის გააზრება თავისთავად ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებაზე. კერძოდ, საგნობრივ კურიკულუმებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებსა და მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში კარგად იკვეთება რომ სასწავლო პროცესში მოსწავლე ეცნობა ფაქტობრივ მასალას, სხვადასხვა წყაროებს, ინფორმაციას და იგროვებს ფაქტობრივ ანუ დეკლარატიულ ცოდნას. ამის შემდეგ ის იწყებს აზროვნებას როგორ შეასრულოს კომპლექსური დავალება, რა ნაბიჯები დაისახოს, როგორი თანმიმდევრობით და გამომიმუშაოს დავალების შესასრულებლად საჭირო უნარები, რას პროცედურული ცოდნის კლასიკური გამოვლინებაა. ამის შემდეგ კი იწყება პირობისეული ცოდნის გააქტიურება როდესაც მოსწავლე იწყებს თეორიულ ცოდნაზე დაფუძნებით, სტრატეგიების მოქმდებაში გადატანას, რესურსების მოძიებას, ინფორმაციის დამუშავებასა და გამოსავალის ძებნას.

ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა დაადასტურეს რომ გააზრებული აქვთ თემატური გეგმის შემადგენელი კომპონენტების არსი, მათი მსჯელობის თანახმად, კომპლექსური დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ ქვესაკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო

პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც. სწორედ სამივე ცოდნის კატეგორიაზე ორიენტირებით მოიაზრებენ ახალი სასწავლო წლის წარმართვას. კათედრის მიერ დაგეგმილი კურიკულუმი ითვალისწინებს ცოდნის სამივე კატეგორიას. შეთავაზებული კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოსწავლეებს მოუწევთ როგორც ფაქტობრივი ცოდნის დაუფლება, ასევე პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება, ინფორმაციის მოძიება, ანალიზი, ლიტერატურული მასალის ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირება, მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებს, სადაც განსახილველი თემის შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის. წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემული დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. რაც ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ასევე, ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა მასწავლებელთა მზაობა, რომ დაგეგმონ და განახორციელონ მსგავსი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა.

სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ეს დასტურდება კურიკულუმის თემატური დაგეგმვით, მასში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით და პროექტული ტიპის აქტივობებით, რომლებიც ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, ახალი პროდუქტის შექმნაზე. მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, ხორციელდება ისეთი დავალებების საშუალებით, რომლებიც მოითხოვს შიდა და სხვა საგნის ინტეგრაციას ან/და ეფუძნება საგნობრივი და გამჭოლი კომპეტენციების ერთობლივ გამოყენებას. მაგ უცხოური ენების კათედრამ მტკიცებულების სახით, კათედრამ წარმოადგინა მრავალფეროვანი პროექტების დამადასტურებელი დოკუმენტაცია: მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებული პროექტი: "ეკო-თავგადასავალი", სოციალური პროექტი-„Grow your health, grow a garden!", საერთაშორისო პროექტი : "თავისუფლება და დემოკრატია" რომლის მიზნებია სამოქალაქო პასუხისმგებლობის და თანაგრძნობის, კრიტიკული და ანალიტიკური, ICT- უნარების განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ კომპონენტში სკოლა სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- ✓ სკოლის თვითშეფასების განაცხადი;

- ✓ საგნობრივი კურიკულუმები;
- ✓ მოსწავლის ინდ. სასწავლო გეგმის შემუშავების ოქმი;
- ✓ სკოლის თვითშფასების ფორმა.
- ✓ საერთაშორისო პროექტები: "ცოდნა გვიცავს"; "თავისუფლება და დემოკრატია"
- ✓ სოციალური პროექტი-„Grow your health, grow a garden!"
- ✓ კომპლექსური დავალების ბარათი;
- ✓ პედაგოგებთან ინტერვიუ.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა ორიენტირებულია კომპლექსური დავალებებით სწავლებაზე, რაც მათ მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმშიც ნათლად არის ასახული, უნდა აღინიშნოს, რომ მე-7, მე-8 , მე -9 კლასის კურიკულუმში სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ჩანს, თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი ამა თუ იმ დავალებით. თუმცა საკითხები და კონტექსტ მაგალითები საჭიროებს ცვლილებებს. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის ამგვარად წარმართვისა, რაც დადასტურდა მათ მიერ კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპების დეტალური აღწერით. აგრეთვე იმის გათვალისწინება, რომ ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გააზრებული რომ განმავითარებელი რუბრიკა ეფძნება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ

დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას აქცენტირებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. გეგმავენ სრულად გაწერონ კურიკულუმები, სადაც გამოჩნდება, რომ სწავლა-სწავლების პროცესში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, მიზანს, საგნობრივ საკითხებსა და რესურსებს შორის.

სამიზნე ცნებას აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები, საფეხურის საკვანძო შეკითხვები, ხოლო მკვიდრი წარმოდგენები პასუხობს კითხვას რა არის სწავლის მიზანი. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ სკოლა სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებს კომპლექსურ დავალებებს, თუმცა კურიკულუმებში დასაზუსტებელია ქვეცნებები, მაგალითად ბილოგიის კურიკულუმში ქვეცნება, საკითხთა კლასტერი, ქვესაკითხი მასწავლებლებს დასაკორექტირებელი აქვთ. აგრეთვე კორექტირება შეიტანეს ბუნებისმეტყველების, ქიმიისა და ფიზიკისა მასწავლებლებმა. ინტერვიუს მსვლელობისას აღნიშნეს, რომ მსჯელობისას უკეთესად გააცნობიერეს აღნიშნული და მომავალი სასწავლო წლის საგნობრივ კურუკულუმებში აუცილებლად გაითვალისწინებენ. განსაკუთრებული ყურადღებით ჩამოაყალიბებენ საფეხურის საკვანძო შეკითხვებს, ვინაიდა, როგორ ვასწავლოთ და როგორ დავამუშავებინოთ ინფორმაცია მოსწავლეებს ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია. ინდიკატორი შესაბამისობაშია. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, თემატური ბლოკები, თემები, კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები, კათედრის მიერ განხორციელებული პროექტები მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც.

სკოლა ჩართულია სხვადასხვა პროექტებში, რაც ხელს უწყობს არაფორმალური გარემოში მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-ემოციური უნარების განვითარებას. კურიკულუმებში გაწერილია სხვადასხვა აქტივობები, სკოლაში მუშაობს ეკო კლუბი, მაგ: ბიოლოგიის მასწავლებლებს აქვთ კვლევაზე დაფუძნებული აქტივობების გახორციელების პრაქტიკა, კერძოდ, გამოიკვლიეს ნიაგადში არსებული ბაქტერიები და შეისწავლეს ნიადაგის დაბუნძურების ხარისხი. ფიზიკაში განახორციელეს პროექტი „ხახუნის ძალია სასამართლო“ სადაც მშობლები ნაფიც მსაჯულთა როლში ჩართეს. სადამრიგებლო საათის ფარგლებში ტარდება მრვალაფეროვანი აქტივობები და განიხილება მნიშვნელოვანი საკითხები. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მიერ შექმნილი არაფორმალური განათლება, პროექტული სწავლება, პრიორიტეტულ თემებზე მაგ: ადამიანის უფლებები, გარემოს დაცვა- მიმართულია არა მხოლოდ შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. და ა.შ. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს მზაობა, რომ შეფასების სისტემა საბაზო საფეხურზე ორიენტირებული იყოს ფაქტობრივ ცოდნაზე და გაითვალისწინონ მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალური ყველა გარემოება. წარმოდგენილმა შეფასების რუბრიკებმა, ასევე ინტერვიუმ აჩვენა, რომ შეფასების წარმოებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ შეფასების სტრატეგიებს: რომელ მიზანზეა ორიენტირებული შეფასება, რამდენად აძლევს სასწავლო პროცესში შესრულებული დავალებები მოსწავლეს ცოდნის/საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალებას და რამდენად შეუწყო ხელი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესმა მოსწავლის ფუნქციური უნარების განვითარებას. მასწავლებლებს აქვთ მზაობა შეფასების სისტემების დახვეწისა. იაზრებენ, რომ მნიშვნელოვანია აქცენტი გააკეთონ არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების

დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე, თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას სრულყოფილად არ წარმოუდგენია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ახალი მოთხოვნის შესაბამისი კერძო რუბრიკები, გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული და დაგეგმილი აქვთ ამ ნაწილზე მუშაობა. გასუბრების შედეგების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა ასევე, რომ შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე და ითვალისწინებს მოსწავლის ჩართულობასაც სასწავლო პროცესში. საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ზოგადი შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი და განმავითარებელი), სასკოლო სასწავლო გეგმაშიც განსაზღვრულია წინასწარ შემუშავებული სხვადასხვა აქტივობის შეფასების ინსტრუმენტები, თუმცა ნაწილი არ შეესაბამება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და გადახედვას საჭიროებს.

წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ნათელია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის: ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. კერძოდ, საბაზო საფეხურის განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, რომ იცოდნენ თუ როგორ ფასდება მათი ცოდნა და შეფასების სქემა მკაფიო და დახვეწილია. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების სისტემური ხედვა და მზაობა რომ შეფასების კონცეფციის, მეთოდიკური ორიენტირებისა და მიდგომის შემუშავებით შეარჩიონ შეფასების ინსტრუმენტი, განსაზღვრონ შეფასების ინსტრუმენტი და შეიმუშაონ შეფასების კრიტერიუმები.

შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებეში ასახულ სამიზნე ცნებებთან. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეები ჩარტული არიან შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში რაც ზრდის სანდოობას, პარალელური კლასის მასწავლებლების აფასებენ მოსწავლეთა ნამუშევრებს. მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ ეცნობიან კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკებს რაც გამჭირვალობის დასტურია .სამართლიანობისა და ობიექტურობის თვალსაზრისით კომპლექსური დავალების წარდგენის შემდეგ მოსწავლეები აფასებენ ერთმანეთს და მსჯელობენ გასაუმჯობესებელ შედეგებზე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5.** სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით შეფასების ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. სკოლის დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მასწავლებლებს გააჩნიათ შეფასების ინსტრუმენტების გადახედვა/შეცვლის გამოცდილება. ისინი ითვალისწინებენ დავალებების, შემაჯამებელი წერების შეფასების რუბრიკების შესაბამისობას დავალების მიზნებსა და შინაარსთან. ასევე მის სანდოობასა და გამჭვირვალობას, რაც სკოლას მტკიცებულებად უდევს საგნობრივ მეთოდოლოგიურ ჩარჩოში, კათედრის ოქმებსა და შეფასების რუბრიკებში.

რადგან ვერიფიკაცია რეალურად მოსწავლის მიღწევის ანალიზია, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ამ მექანიზმს სკოლა იყენებს. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა შეფასება, შეფასების განხილვა და ანალიზი. მათ კარგად ესმით, რომ ეს ანალიზი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ილუსტრაცია იმისა, თუ რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწვალების პროცესის საყრდენს. ინდიკატორი კრიტერიუმთან შესაბამისობაშია **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**6.** ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლას შემუშავებული აქვს სპეციალური განმავითარებელი შეფასების ფორმა. როგორც წლიური, ასევე საფეხურის ნიშნები და საგნის მასწავლებლების ანალიზის საქმისმწარმოებლისთვის მიწოდებას უზრუნველყოფს დამრიგებლი. ყოველი წლის ბოლოს იწერება ბრძანებები კლასის დაძლევასთან დაკავშირებით დამრიგებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*ექსპერტთა რჩევაა, საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემავალ ყველა საგნის პროგრამაში გაიწეროს და განისაზღვროს შუალედური მიზნები ყველა თემასთან მიმართებით, გამოიყოს კონტექსტ-მაგალითები და დამატებითი სასწავლო რესურსები.*

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- ✓ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმები;
- ✓ მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- ✓ მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზი
- ✓ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- ✓ შეფასების მასალები;
- ✓ მოსწავლის ინდივიდუალური გეგმა;
- ✓ სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები;
- ✓ სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- ✓ სასწავლო პროექტები: "ცოდნა გვიცავს" " იყავი ჯანმრთელი- იცხოვრე დიდ ხანს"
- ✓ მასწავლებლებთან ზეპირი გასაუბრება;
- ✓ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- ✓ სკოლის სასწავლო გეგმის პროექტი.

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლა ცდილობს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ურთიერთობები დაფუძნებულია ნდობასა და ურთიერთპატივისცემაზე, რაც, უპირველეს ყოვლისა, დიდ გავლენას ახდენს სასწავლო გარემოზე. სკოლა ასევე ცდილობს უზრუნველყოს პოზიტიური კლიმატი, როგორც საკლასო ოთახში, ისე სკოლის დონეზე. მასწავლებელები გამოხატავენ ადეკვატურ პატივისცემას მოსწავლეების მიმართ, მასწავლებლები უსმენენ მოსწავლეებს და აწვდიან დროულ უკუკავშირს. კლასებში ტარდება სადამრიგებლო სააათი, სადაც აქცენტი კეთედება ბავშვთა უფლებებსა და მოვალეობებზე სკოლაში და მის გარეთ. გენდერზე, გარემოს დაცვაზე. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სკოლის ხედვა: „სკოლაში ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ყველა მოსწავლე შეძლებს ცოდნის შეძენას.“ სკოლას შემუშავებული აქვს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი. მასწავლებელთან ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, რომ მასწავლებლები თანამშრომლობენ, ცვლიან საკუთარ მიგნებებს, იყენებენ დიფერენცირებული მიდგომებს. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა პროექტში. სკოლა ცდილობს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ურთიერთობები დაფუძნებულია ნდობასა და ურთიერთპატივისცემაზე, რაც, უპირველეს ყოვლისა, დიდ გავლენას ახდენს სასწავლო გარემოზე. სკოლა ასევე ცდილობს უზრუნველყოს პოზიტიური კლიმატი, როგორც საკლასო ოთახში, ისე სკოლის დონეზე. მასწავლებელები გამოხატავენ ადეკვატურ პატივისცემას მოსწავლეების მიმართ, მასწავლებლები უსმენენ მოსწავლეებს და აწვდიან დროულ უკუკავშირს. კლასებში ტარდება სადამრიგებლო ს

პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ გაკვეთილებზე დასწრება, უკუკავშირის გაცემა და შემდეგ მათზე რეაგირება პოზიტიურ გარემოში ხდება, შექმნილია კეთილგანწყობილი გარემო, სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობები დამყარებულია ურთიერთპატივისცემაზე და ღიაობაზე.

სკოლაში შექმნილია გარემო, რომელიც ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეებს სწავლასა და განვითარებაში. მათთვის შექმნილია ისგ ჯგუფები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ინტერესების და შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოკვეთას. სსსმ მოსწავლეები ჩართული არიან ყველა დაგეგმილ აქტივობასა და ღონისძიებაში. სასწავლო პროცესი მიმართულია მიმღებლობასა და მხარდაჭერაზე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლის თვითშეფასების ფორმაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; მასწავლებლები აქტიურად იყენებენ გარე სივრცეებს გაკვეთილების თუ პროექტების განსახორციელებლად. სკოლა ახორციელებს სხვადასხვა სახის სასწავლო პროექტებს, ატარებს ღონისძიებებს. ინტერვიუს დროს ისაუბრეს მასწავლებლებმა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეების საჭიროებებზე, შესაძლებლობებზე, ინტერესებზე და სწავლის სტილზე ორიენტირებულად. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის დროს მოსწავლე არის აქტიური თავისი სწავლის პროცესში, ხოლო მასწავლებელი გეზის, მიმართულების მიმცემი. სკოლაში გამოყენებულია დიფერენცირებულ სწავლების მეთოდები. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება მოიაზრებს განმავითარებელ შეფასებასაც. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას სთავაზობენ არჩევანს, თუ რა ფორმით წარადგინონ დავალება.

სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებიც ამაზე მეტყველებს - შერჩეული თემები, საკითხები სრულად შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებსა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას. მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს ძლიერი მხარეების განავითარებაში, ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში. მასწავლებლის მიერ ხდება პერიოდული გამოკითხვები, რომლის ანალიზის შედეგად შესაძლებელი იქნება სასწავლო პროცესის ისე დაგეგმვა, რომ მაქსიმალურად გაითვალისწინონ თითოეული მოსწავლის საჭიროება.

სკოლის თვითშეფასების ფორმაში ასევე ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები კერძოდ, მშობელთან კომუნიკაციას, პრობლემებთან ჩაღრმავება/იდენტიფიცირებისა და მოგვარების თვალსაზრისით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი აქტიურად თანამშრომლობს ერთმანეთთან როგორც ფორმალურ ასევე არაფორმალურ გარემოში, ხდება მასწავლებელთა შეხვედრები, პრაქტიკის გაზიარება, სიახლეების დანერგვა. ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით. თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ ,,კათედრები საჭიროების შემთხვევაში მართავენ შეხვედრებს ,სადაც განიხილავენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს ,როგორიცაა მოსწავლეთა მიღწევები სასწავლო წლის განმავლობაში, კომპლექსური დავალებების შედეგების ანალიზი, შეფასების რუბრიკების შემუშავება , გაკვეთილზე ურთიერთდასწრებისას ანგარიში .სკოლაში ასევე არსებობს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის წევრებიც აქტიურად ესწრებიან კოლეგებს ,

შემუშავებული შეფასების სქემის შესაბამისად აკვირდებიან გაკვეთილების ჩატარების პროცესს, აფასებენ მასწავლებლის მუშაობას და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ეხმარება მასწავლებელს თვითგანვითარებაში''.

მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს დაგეგმოს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია). სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სკოლაში შექმნილია პოზიტიური და მეგობრული გარემო, მოსწავლეებს, მშობლებს და სკოლის თანამშრომლებს ყოველთვის შეუძლიათ დააფიქსირონ საკუთარი აზრი სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, ხშირად ხდება მათი პოზიციის გათვალისწინება. პრდაგოგები აღინიშნა, რომ აქტიური კომუნიკაცია აქვთ მოსწავლეებთან, რომელთა ინიციატივების შესაბამისად ეწყობა სხვადასხვა სახის პროექტები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.მასწავლებლებთან გასაუბრების დროს და სკოლის თვითშეფასების დოკუმენტზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. თითოეული მასწავლებელი ცდილობს შექმნას პოზიტიური გარემო არა მარტო საკლასო ოთახში, არამედ მთლიანად სკოლაში. აქ შექმნილია სივრცეები, სადაც აქვთ გამოფენილი მოსწავლეთა ნამუშევრები. ასევე სკოლაში მიმდინარე პროექტებში მოსწავლეებთან ერთად აქტიურად იღებენ მონაწილეობას მშობლები და ცდილობენ პოზიტიური განწყობა შემოიტანონ სკოლის ცხოვრებაში. სასკოლო საზოგადოების წევრები თანასწორნი არიან: მიუხედავად ეროვნებისა, რელიგიური აღმსარებლობისა და სქესისა. სასწავლო პროცესში მოსწავლეთა და მასწავლებელთა ნებისმიერი ინიციატივა წახალისებულია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მოსწავლეები ჩართული არიან სასწავლო პროექტებში. გასაუბრების დროს შესამჩნევი იყო მასწავლებლებს შორის პოზიტიური დამოკიდებულება. კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია ნდობაზე დაფუძნებული პოზიტიური და მიმღებლობითი გარემო. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს მეტად თავდაჯერებულები იყვნენ.

გარემოს შექმნაში მოსწავლეები თავად არიან ჩართულნი და აქვთ ხელმისაწვდომობა მატერიალურ რესურსებზე, კომპიუტერულ ტექნიკასა და ინტერნეტზე. შინაგანაწესით განსაზღვრულია სკოლაში ქცევის წესები, ხოლო საკლასო სივრცეებში განთავსებულია მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ ერთობლივად შემუშავებული და შეთანხმებულია კლასში ქცევის წესები. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია და მას აქვს შესაძლებლობა საკუთარი აზრის ღიად, თავისუფლად გამოხატვისა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოზიტიური საკლასო თუ სასკოლო კლიმატის შექმნას. სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასკოლო კლიმატი,რაც გამოიხატება სასკოლო საზოგადოებას(მოსწავლე,მშობელი,მასწავლებელი დირექცია) შორის ძლიერი თანამშრომლობით და კეთილგანწყობით.სკოლა პოზიტიური სასკოლო კლიმატის შსაქმნელად გეგმას მრავალ აქტივობას,რომელიც ასახულია ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**ხარვეზი:** დაწესებულებას არ აქვს საკმარისი რაოდენობის და დასახელების ინვენტარი ბუნებისმეტყველების გაკვეთილების ჩასატარებლად, არ არის გამართული საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიები. როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მრავალრიცხოვანი კლასების გამო და მასწავლებელთა სიმრავლის გამო (2 ქიმიის, 2 ფიზიკის, 2 ბიოლოგიის და 2 ბუნებისმეტყველების მასწავლებელია) ყველა მასწავლებელი

ყველა გაკვეთილს ვერ ატარებს საგნისათვის განკუთვნილ საკლასო ოთახში. გარდა ამისა, სკოლას  არ აქვს რეაქტივები ქიმიის ცდების ჩასატარებლად, ლაბორატორიაში არ არის ონკანი და გამწოვი კარადა. შესაბამისად, დასკვნის პროექტში ექსპერტთა მიერ, 2.2 კომპონენტი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.

დაწესებულებამ 2023 წლის 30 ნოემბრის # N1623837 და 04 დეკემბრის N1636155, კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება No99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მე-15 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. აღნიშნული გეგმის თანახმად, 24.11.2023-24.11.2024 პერიოდში უზრუნველყოფს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრას. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული კომპონენტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (24.11.2023-24.11.2024) უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიის მოწყობა.*

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- ✓ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში;
- ✓ სასწავლო გეგმის პროექტები;
- ✓ კათედრის შეხვედრის ოქმები;
- ✓ კათედრის ანგარიშის ფორმები;
- ✓ სასკოლო პროექტები;
- ✓ საფეხურის კურიკულუმები;
- ✓ მასწავლებლებთან ინტერვიუები;
- ✓ სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- ✓ კათედრების ანგარიშის ფორმა;
- ✓ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

### 2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლაში იწარმოება სწავლების ხარისხის მონიტორინგი, სკოლას შემუავებული აქვს კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება პერიოდულად სასწავლო წლის განმავლობაში სხვადასხვა საგანში და საფეხურზე განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. ეს მეთოდებია: ურთიერთდასწრება, დასწრების ფურცელი კათედრაზე და რეფლექსია, დირექციის მიერ დასწრება, უკუკავშირების ფორმები - ზეპირი რეკომენდაციები. ასევე მასწავლებელთა სწავლების ხარისხზე დაკვირვება და ამ ხარისხის გაუჯობესების რეკომენდაციების გაცემა, საჭიროებებიდან გამომდინარე კონკრეტული აქტივობების დაგეგვმა/განხორციელება და ჩართვა.
20323-2024 სასწავლო წელს გამოიყენებენ მასწავლებლის თვითშეფასების რუბრიკას. ეს ინსტრუმენტი მასწავლებელს ეხმარება იმის გაცნობიერებაში, თუ რატომ იყვნენ /არ იყვნენ მოსწავლეები ჩართული კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში, რამ იმუშავა კარგად, რამ - დააბრკოლა მოსწავლეთა ჩართულობა; ამ ყველაფრის გათვალისწინება კი მასწავლებელს საშუალებას მისცემს, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის გააუმჯობესოს თემატური მატრიცა და უფრო ეფექტიანი გახადოს კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესი'' - ვკითხულობთ სკოლის თვითშეფასების ფორმაში.
კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების ფარგლებში სკოლა გეგმავს შეადგინოს კითხვარები მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის, რომელზეც დაყრდნობითაც გააკეთებენ SWOT-ანალიზს. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლის მიერ შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. ასევე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრაზე იგეგმება მონიტორნიგის მექანიზმის გაწერა, მოხდება დიაგნოსტიკური შეფასებები, მათ ანალიზსა და შემაჯამებლის ანალიზზე დაკვირვებით მოხდება მოსწავლეთა შედეგების რეფლექსია. აღნიშნული შედეგების საფუძველზე გაიცემა რჩევები და გაზიარებული იქნება მშობლისა და მოსწავლის დონეზე.
გასაუბრებისას კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ სკოლას გააზრებული აქვს დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების შესახებ მონიტორინგის მნიშვნელობა. ამ ეტაპზე სკოლა შემოიფარგლება ზეპირი უკუკავშირით. მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება სკოლას საშუალებას მისცემს, გამოკვეთოს არსებული პრობლემები და დაგეგმოს ამ პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობები. მონიტორინგისა და შეფასების აქტივობების დაწყებამდე მნიშვნელოვანია მეთოდოლოგიური ჩარჩოს/გეგმის შემუშავება, რათა მკაფიო იყოს რა

კითხვებზე პასუხის გაცემას ემსახურება შეფასება. კათედრა კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის მიზნით შეიმუშავებს მექანიზმს ან შეარჩევს ინსტრუმენტს სარეკომენდაციო მასალებიდან და წარმოადგენს მეთოდოლოგიურ დანართში. საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ მათ მიერ დიაგნოსტირებისათვის შერჩეულია I. ინსტრუმენტი, ხოლო პედაგოგიკური საქმიანობის კვლევას წარმართავენ თემატური გეგმების ანალიზის საფუძველზე, რაც ასევე დადასტურდა ჩატარებული ინტერვიუების პროცესშიც. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლაში მოსწავლის შეფასების პროცესი ემსახურება ისევ მოსწავლეების ინტერესებს, კურიკულუმის დახვეწას და განვითარებას. გასაუბრებიდან და სკოლის თვითშეფასების ფორმიდან გამომდინარე გამოიკვეთა, სასკოლო საზოგადოების წევრები საჭიროების მიხედვით იკრიბებიან და კათედრის შეხვედრებზე ერთმანეთს აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეთა მიღწევების შესახებ, გეგმავენ კონკრეტულ ნაბიჯებს, ახორციელებენ ერთმანეთის გაკვეთილებზე დასწრებას, უზიარებენ ერთმანეთს სუსტი და ძლიერი მხარეების შესახებ ინფორმაციას და ეხმარებიან მასწავლებელს სუსტი მხარეების გაუმჯობესებაში, ხოლო ძლიერი მხარეების გაზიარება ხდება სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებისთვის. ასევე, მასწავლებლის გაკვეთილებზე დასწრება ხდება მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარადჭერის ჯგუფის წევრების მიერ.

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება, როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, ისევე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს მასწავლებლის შიდა შეფასებას, კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან.. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის კათედრებიც. კათედრის წარმომადგენლები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას, რა გამოუვიდათ უკეთესად, რის განხორციელება ვერ შეძლეს და ასახელებენ მიზეზებს, რათა ერთად დასახონ პრობლემის გადაჭრის გზა. ეს ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას.

ამ ეტაპისათვის, რაც კათედრას ამ კრიტერიუმთან მიმართებაში აქვს წარმოდგენილია არის ის, რომ შერჩეულია სადიაგნოსტიკო შეფასების მესამე ინსტრუმენტი, რაც გულისხმობს კომპლექსური დავალების განხორციელებასა და მოსწავლეთა თვითშესაფების საფუძველზე ანალიზის გაკეთებას. კათედრა გეგმავს სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ განახორციელოს კურიკულუმის იმპლემენტაციიის მონიტორინგი. კათედრის წევრებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი გააზრებული და გონივრულადაა დაგეგმილი. მასწავლებლებს გაანალიზებული აქვთ მოსწავლეთა საჭიროებები და შესაბამისად აქვთ შერცეული სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი. შეიძლება დავასკვნათ, რომ კათედრის მიერ მონიტორინგისათვის შერჩეული და შემუშავებული მექანიზმი უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას და ეფექტურ სასწალო პროცესს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში ჩანს, თუ როგორ განსაზღვრავს მონიტორინგი და შეფასება პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. კერძოდ, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პრობლემების იდენტიფიცირებისა თუ გადაჭრის გზების მოსაძიებლად განხორციელებულმა აქტივობებმა პასუხი უნდა გასცეს კითხვებს: რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში? (მონიტორინგი) და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება). პედაგოგებმა ინტერვიუში აღნისნეს, რომ სამომავლოდ გეგმავენ, ეს პროცესი იყოს უფრო ორგანიზებული, შექმნიან მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფს კურიკულუმების ეფექტიან მონიტორინგსა და შეფასებას. სკოლას აქვს მზაობა.

კურიკულუმის შემუშავების პროცესი ციკლურია და ამაში მოიაზრება მონიტორინგი და შეფასება, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალება. სკოლას აქვს მზაობა მომავალ სასწავლო წელს სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული მასალა გამოიყენოს პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისთვის. ამ ეტაპზე პედაგოგებს აქვთ ურთიერთდასწრების და განმავითარებელი შეფასების გამოცდილება, რაც პასუხს სცემს შეკითხვებზე და ადასტურებს რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად მიმდინარეობს.

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას გამოიკვეთება მიღწევები და პრობლემები, გაანალიზდება ისინი და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები. ამ მიმართულებით კათედრა გეგმავს წელიწადში ორჯერ დიაგნოსტიკური შეფასების ჩატარებას. ასევე პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევას თემატურ გეგმებზე დაყრდნობით.

ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით: მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად, რომელიც ორიენტირებულია მონიტორინგის და შეფასების საფუძველზე გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრაზე. კათედრას მონიტორინგისთვის შერჩეული აქვს ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომელიც გულისხმობს პარალელურ კლასებში განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე დაკვირვებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- ✓ სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ✓ სკოლის სასწავლო გეგმა;
- ✓ სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- ✓ კურიკულუმის შმუშავების მეთოდოლოგია;
- ✓ კურიკულუმები;
- ✓ კათედრის ოქმები/ანგარიშები;
- ✓ კონკრეტული მაგალითები წინარე გამოცდილებიდან.;

- ✓ მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.მომავალი საწავლო წლისთვის სკოლამ შეარჩია განმსაზღვრელი შეფასების მეორე  მოდელი. სასკოლო კურიკულუმი ისეა გაწერილი თითოეული საგნის მიხედვით, რომ იძლევა საშუალებას, მასწავლებელი ინტეგრირებულად დააკვირდეს პროცესებს და გაითვალიწინოს მრავალმხრივი მონაცემები და მრავალფეროვანი მეთოდით მიიღოს სრული სურათი შეფასებასთან დაკავშირებთ. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, მათ შორის, მასწავლებლის დაკვირვებას, ყოველდღიური სასწავლო პროცესის შეფასების დინამიკას, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, კათედრის ხელმძღვანელის, დამრიგებლის, დირექციის უკუკავშირს. შეფასების შედეგად უნდა გაირკვეს, რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ  შეფასების პროცესში იყენებენ მრავალფეროვან წყაროებს, როგორებიცაა: მოსწავლის წინარე ცოდნა და გამოცდილება, მოსწავლის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, რესურსებზე ხელმისაწვდომობა, მშობლების უკუკავშირი, დამრიგებლის უკუკავშირი, კლასში

შემსვლელი სხვა საგნების მასწავლებელთა უკუკავშირი და სხვა. მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და სწორი ხედვა. იგივე ჩანს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშველოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგის ინფორმირებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ, რაც თავის მხრივ უადვილებს მასწავლებელს დაინახოს მოსწავლის განვითარების დინამიკა, ასვე მოსწავლეს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე. აღნიშნული სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. მასწავლებლებთან გასაუბრებამ გამოკვეთა, რომ მათ აქვთ ხედვა, იაზრებენ და ითავისებენ მოსწავლის შეფასების მნიშვნელობას, ეცნობიან მრავალფეროვან ინსტრუმენტებს და ნერგავენ პრაქტიკაში. აქვთ მზაობა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე იმუშაონ და განვითარდნენ ამ მიმართულებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2.ყველა საგნის კურიკულუმებში გაწერილია კომპლექსური დავალების იდეა. კომპლექსური დავალებებით სწავლება კი გულისხმობს მოსწავლეების მზაობის, უნარების, შესაძლებლობების გათვალისწინებას. სკოლა, შეფასების მიზნიდან გამომდინარე, ახალი სასწავლო წლიდან სრულყოფილი ინფორმაციისთვის დააკვირდება და შეისწავლის მოსწავლის მზაობას სხვადასხვა კონტექსტებით და ფოკუსირებული დაკვირვების შედეგად შეფასება განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით: თანამშრომლობს თუ არა მოსწავლე თანაკლასელებთან წყვილსა და ჯგუფებში, როგორ იყენებს საკლასო სივრცეში არსებულ რესურსებს სასწავლო მიზნებისათვის. ასევე, ჩანს თუ არა მოსწავლის ნამუშევარში ინდივიდუალიზმი, რამდენად ავლენს ინიციატივას არაფორმალური აქტივობების განხორციელებისას. სკოლას ამ მხრივ აქვს სწორი ხედვა.

შეფასება ხორციელდება მრავალი კომპონენტის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს თითოეულ მოსწავლეზე მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებას. ასევე შემდგომ ამ ყველაფრის სასწავლო პროცესში გათვალისწინებას, სასწავლო თემების, საკითხების, შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების სახით. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ამ მიმართუებით კიდევ ბევრი რამ აქვთ სამუშაო და გასაუნმჯობესებელი. სწორედ ამ მიზნით იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასება. სკოლას გააზრებული აქვს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტისა და წინაპირობასა გათვალისწინებით, რაც საშუალებას აძლევთ მოხდეს მოსწავლის მრავალიმხრივი ინტერესებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს ჰოლისტური შეფასების სქემის დახვეწას, რომელიც უფრო გააუმჯობესებს მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ განვითარებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.კათედრასთან გასაუბრების და დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოვლინდა, რომ სკოლას გამოცდილებაში აქვს მონიტორინგის და შეფასების განხორციელების პრაქტიკა. შეფასებისთვის სკოლა იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს, როგორებიცაა დაკვირვება, კითხვარები, მონაცემთა ანალიზი (შემაჯამებელი დავალების ანალიზი, ფინალური გამოცდების შედეგების ანალიზი), ინტერვიურება და ა.შ. პედაგოგები ცდილობენ შეისწავლონ რამდენად ეფექტურია მათ მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწვალის შედეგების თვალსაზრისით, როგორც ჩანს ისინი

ცდილობენ შეფასებისას გაითვალისწინონ კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები და ა.შ. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების ისეთი მრავალფეროვანი მეთოდები, როგორიცაა: სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა, დაკვირვება, ინტერიუ, ფოკუსჯგუფი, ტესტირება. მონაცემთა შეგროვების ფორმა, რაც გაგვიადვილებს სასწავლო პროცესის კომპლექსურ შეფასებას.

სკოლას ნათლად აქვს წარმოდგენილი, თუ როგორ და რა მონაცემების მოგროვება სურს სასკოლო საზოგადოებიდან თუ სკოლის სტრუქტურული ერთეულებიდან კურიკულუმის დანერგვის მიმდინარეობის ერთიანი სურათის დასანახად.

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა 2023-2024 სასწავლო წლისათვის გეგმავს დიაგნოსტიკურ შეფასებას კომპლექსური დავალებების ანალიზის ინსტრუმენტის გამოყენებით. როგორც ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, სასწავლო პროცესის შეფასება მიმდინარეობს ურთიერთდასწრების, თვითშეფასების და ურთიერთშეფასების, მოსწავლეებთან საშინაო დავალების, საკლასო დავალების, კომპლექსური დავალების, შემაჯამებელი სამუშაოს შესრულების საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ კათედრაზე ჯერ კიდევ ბევრია ამ კუთხით სამუშაო და განმავითარებელი შეფასება ისევ რჩება პრობლებურ საკითხად, რომელზეც მუშაობა კვლავ ინტენსიურად უნდა დაიგეგმოს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.მოსწავლის შეფასება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესია, შეფასებისას ითვალისწინებენ ინდივიდზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორებს: მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები, მშობლებისა და მასწავლებლების დამოკიდებულებები და სოციალური გარემო სადაც იგი იზრდება და ვითარდება. ასევე სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: დრო, სივრცე, გარემო... რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებაზე, ახდენს სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. ნებისმიერი მოვლენის შეფასებისას ცდილობენ, გათვალსიწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მოსწავლის შედეგზე.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (საგნობრივი კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები) იკითხება, რომ მოსწავლის შეფასებისას მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორებს, მათ ინტერესებს, სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაადგინოს, თუ რამდენად მონაწილეობენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა და/ან უშლიდა ხელს მათ ჩართულობას აღნიშნულ პროცესში. ამრიგად მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს როგორც მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ შიდა ფაქტორებს ასევე გარე მამოტივირებელ ფაქტორებს.

საგნობრივ კათედრაზე შემუშავებულია შეფასების სხვადასხვა რუბრიკა, რისი საშუალებითაც მასწავლებლები ადგენენ მოსწავლეთა ძლიერ და სუსტ მხარეებს და ამის გათვალისწინებით გეგმავენ სწავლების შემდგომ ეტაპს. ეძლევათ საშუალება მაქსიმალურად დაადაგინონ მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარე ამის გათვალისწინებით დაგეგმონ სწავლების შემდგომი ეტაპი. კათედრის წევრებთან ინტერვიუსა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების/თვითშეფასების ოქმის ანალიზიდან ჩანს, რომ სკოლა მხედველობაში იღებს სხვადასხვა ფაქტორს, როგორიცაა: მოსწავლის მოტივაციას, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნას, მიღწეულ შედეგებს და არა პიროვნულად მოსწავლეს. ითვალისწინებს

ეთნიკურობას, ენობრივ ბარიერს, სოციალურმდგომარეობას, რელიგიას და სხვა მნიშვნელოვან გარემოებებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- ✓ **დასტურდება (მტკიცებულებები):**
- ✓ ინტერვიუს წარმართვის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია;
- ✓ კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები;
- ✓ კურიკულუმები;
- ✓ შეფასების რუბრიკები;
- ✓ შემაჯამებელი ოქმები;
- ✓ სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- ✓ კომპლექსური დავალების ანალიზი, კომპლექსური დავალების ბარათები, მასწავლებელთა გამოკითხვა;
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლაში კურიკულუმის განახლება ხდება წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე. ინტერვიუს დროს გამიკვეთა, რომ კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. კურიკულუმის რევიზიისას გათვალისწინებულია წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზი. ანალიზის საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციებს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად. მასწავლებლებს ესმით რომ არა სპონტანურად, არამედ თანმიმდევრულად უნდა წარიმართოს მიმდინარე წელიწადს კურიკულუმის დანერგვის შესახებ მონაცემების შეგროვება და დამუშავება. რეფლექსიით და საჭიროებების კვლევით ისინი შეძლებენ წლის ბოლოს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის ჩამოყალიბებას.

სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუმენტი, ასევე კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რაც ნიშნავს, რომ სკოლა კურიკულუმის განვითარების პროცესში ითვალისწინებს სასწავლო პროცესის ანალიზის საფუძველზე გამოტანილ დასკვნებს. ინდიკატორის მოთხოვნებს შეესაბამება.

მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ ახალი სასწავლო სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის მასწავლებლების თვითრეფლექსია, განვლილი პროცესების გაანალიზება, კათედრის წარმომადგენლები იკრიბებიან და განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს, მსჯელობენ მათ ეფექტიანობაზე, მონაცემების შეჯერების საფუძველზე მომზადდება რეკომენდაციები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისთვის. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში ყოველწლიურად ხდება სასკოლო კურიკულუმების განვითარება, რომელიც ეფუძნება წინარე გამოცდილებას და შეფასების შედეგებს. გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების მიზნები, სასწავლო რესურსები, სწავლების მეთოდები და სტრატეგიები. ეს მათ აძლევს საშუალებას დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გაზიარებულ იქნას სასკოლო საზოგადოების მიერ სამომავლო პერსპექტივების შესაფასებლად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2.კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახულია კურიკულუმის განვითარების ძირითადი პრინციპები, რომელებიც დაკავშირებულია სასკოლო და საგნობრივ კურიკულუმების გადასინჯვასთან და რევიზიის პროცესთან. მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი: „კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე“. აგრეთვე თვითშეფასების ფორმაშიც აღნიშნულია, რომ რევიზირებულ საგნობრივ კურიკულუმში აისახება წლის მანძილზე მიღებული გამოცდილება. სკოლას აქვს მზაობა და სამომავლო ხედვა.

სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კათედრა გეგმავს ყოველწლირად განიხილონ სასკოლო კურიკულუმი და შეიმუშავონ სასკოლო კურიკულუმის გაუმჯობესებული ვერსია. მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასკოლო კურიკულუმი მომავალ წელს უფრო გამართულ დოკუმენტად აქციონ, გაითვალისწინონ ყველა ის პრობლემა რომელიც განვლილ სასწავლო წელს მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და ასახონ, იმუშაონ პრობლემის დაძლევის გზებზე.

მიმდინარეობს მუშაობა კურიკულუმების დახვეწაზე. აპირებენ, რომ მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და შეფასების შედეგად დანახული მიგნებები ასახონ ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ახალი კურიკულუმის საბოლოო გაწერისას აპირებენ გაითვალისწინონ ის პრობლემები, რომელიც განვლილ სასწავლო წელს მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და ასახონ პრობლემის დაძლევის გზები. კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ წინა წლის საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება ასახულია 2023-2024 წლის კურიკულუმში . ახალი კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია ის პრობლემები, რომელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა.. კათედრის წევრები 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში გეგმავენ პარალელურ კლასებში ერთი და იმავე კომპლექსური დავალებების დანერგვას, წარმოდგენილი და გააზრებული აქვთ შესაფასებლად შემუშავებული ინსტრუმენტი.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- ✓ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის პროექტი;
- ✓ თვითშეფასების კითხვარი;
- ✓ კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის მეთოდოლოგია;
- ✓ ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- ✓ ფოკუსჯგუფთან მუშაობის დროს მოპოვებული ინფორმაცია.;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი(საშუალო საფეხური)

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>**საშუალო საფეხური** | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. სასკოლო კურიკულუმი**
**2.1. კურიკულუმის შემუშავება**
**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ ქ.თბილისის N141 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით დარეგულირებული, კურიკულუმის შემუშავების პროცესი, წარმოადგენს იმ მექანიზმს, რომელიც სასკოლო საზოგადოების ინტერესების კურიკულუმში ასახვის შესაძლებლობას იძლევა. დოკუმენტის რეგულაცია ითვალისწინებს კურიკულუმის შემუშავების დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს. მეთოდოლოგიის მიხედვით, თითოეული ეტაპი სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება, ვინაიდან მასში მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები (განსაკუთრებით სსსმ მოსწავლეთა მშობლები) და დირექცია.
a. მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია ესგ-ს მოთხოვნები, სკოლის ფილოსოფია, კურიკულუმის დიზაინი-კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში, სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება და ა.შ.
**b.** სასკოლო საზოგადოება ორიენტირებულია გძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე (ეროვნული სასწავლო გგემის მიხედვით სტანდარტებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახთ). შუალედური მიზნები, შესაბამის

სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებებისა და არსებული მოცემულობის შესაბამისად. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლთა შესრულებასაც მოსწავლეს გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება. კათედრები წინა წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით და მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით მიმდინარეობს კურიკულუმების შექმნასა და მის დახვეწაზე მუშაობა. კათედრის წევრები არიან აქტიურად ჩართულნი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რომელიც ეყრდნობა მოსწავლეთა თვითშეფასებებს, კათედრის ანალიზებს. ინტერვიურების პროცესში ასევე იკვეთება, რომ კურიკუმების შედგენის დროს პედაგოგებს არ გაუჭირდებათ კომპლექსური დავალებისა და აქტივობების დიფერენცირების გათვალიწინება. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში მასწავლებლის, კათედრის, დირექციის, მოსწავლისა და მშობლის ჩართულობა სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. წარმოდგენილ დოკუმენტაციით და კათედრასთან ინტერვიუთი დგინდება, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. სასკოლო საზოგადოების კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულობისთვის სკოლაში შექმნილია პოზიტიური, სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე ორიენტირებული სასკოლო კულტურა. შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთება საჭიროებები, რომელთა გათვალისწინებით ხდება საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება, მასწავლებლები იყენებენ როგორც მოწოდებულ სანიმუშო კურიკულუმებს, ასევე ცდილობენ თავად შექმნან საკუთარი ორიგინალური, შემოქმედებითი და მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული კომპლექსური დავალებები. კურიკულუმებში ჩანს სასკოლო საზოგადოების დაინტერესება და ამ პროცესის ერთიანი ხედვა. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ ესწრებოდნენ სხვადასხვა ტრენინგებს და ცდილობდნენ კურიკულუმები შესაბამისობაში ყოფილიყო მესამე თაობის ეროვნლ სასწავლო გეგმასთან. მოიძიეს რესურსები, მოიფიქრეს კონტექსტ მაგალითები, დაურთეს შეფასების რუბრიკები და კურიკულუმები გააამდიდრეს მოწავლის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობებით.

**a.** კურიკულუმის შემუშავებასა და მოდიფიცირებაში, აქტიურადაა ჩართული სკოლის დირექცია, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლებს აძლევენ მეთოდურ რეკომენდაციებს. გასაუბრებსას მასწავლებლებმა აღნიშნეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების დროს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში აქტიურადაა ჩართული სასკოლო საზოგადოება, მნიშვნელოვანი როლი ეკისრება კათედრის თითოეულ წევრს. სამუშაო შეხვედრების დროს განიხილება მოსწავლეებზე დაკვირვების შედეგები, რომლის საფუძველზეც ხდება მისი ინტეგრაცია სასკოლო კურიკულუმში.

a. თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია რომ, ისინი წლის განმავლობაში აკვირდებიან სასწავლო პროცესს, წარმოადგენენ ანგარიშებს, სამომავლოდ კი იგეგემება მოსწავლეთა ინტერსებზე მორგებული სასწვალო პროცესი. განხორციელებული აქტივობები, კომპლექსური დავალებები, შემაჯამებელი პროექტები ქვეყნდება სკოლის სოციალურ გვერდზე და კლასის სასაუბრო ჩატში იგზავნება. ასევე განიხილავენ მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრებზე და კათედრაზე, სადაც იგეგმება პრობლემის გადაჭრის გზები. შექმნილი კურიკულუმები

ხელმისაწვდომია საჯარო სკოლის საზოგადოებისთვის. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მორგებულია მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებზე, რაც კარგად გამოჩნდა მასწავლებლებთან ინტერვიუზე.

b. რაც შეეხება, მშობლებს, მათ თითოეული საფეხურისა თუ შესაბამისი კლასის კურიკულუმებისათვის გაამზადეს დავალებების ბარათები მშობლებისათვის, რათა მეტად ინკლუზიურები ყოფილიყვნენ მშობლები სწავლა-სწავლების პროცესში. ამ მთლიანი პროცესის თანამონაწილე/მრჩეველი იყო სკოლის დირექცია/დირექტორის მოადგილე, რომელიც რჩევას და მონიტორინგს უწევდა კურიკულუმის შემუშავების პროცესს, რათა ეს პროცესი და შესაბამისად, შედეგეგი სრულ შესაბამისობაში ყოფილიყო ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

**c.** სამომავლოდ იგეგმება მშობელთა ჩართულობის გაძლიერება, მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით კლუბებისა და წრეების შექმნა, აქვთ მზაობა, არსებული პრაქტიკის განვითარებისა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში ასახულია, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხები. ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სოციალური მედია, ბეჭვდითი მასალები, საჯარო ღონისძიებები-ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან, სპეციალური კითხვარი მშობლებისთვის.

**a.** სკოლის თვითშეფასების კითხვარის დოკუმენტების ანალიზისა და პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლის საზოგადოების მიერ შექმნილი კურიკულუმები არის მკაფიოდ გაწერილი საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით შემუშავებული დოკუმენტი, რომელიც გაზიარებულია სკოლის პედაგოგების, მოსწავლების და მშობლებისთვის. საგნობრივი და სასკოლო კურიკულუმების გაზიარება სასკოლო საზოგადოებისთვის საგნის მასწავლებლებისა და დამრიგებლების მიერ ხდება სხვადასხვა საშუალებებით: თიმსის პლატფორმით, სოციალური ქსელებით, ნაბეჭდი სახით და ა.შ. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა გამოკრულია სკოლის დერეფანში დაფაზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება:**

- ✓ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ანგარიში;
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 წ.წ;
- ✓ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია 2023-2024 წ.წ;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმი;
- ✓ მშობელთა კრების ოქმი;
- ✓ კათედრის სხდომის ოქმი;
- ✓ კათედრის წევრებთან ინტერვიუ.

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. შემუშავებულ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, სწავლის პროცესი განიხილება აქტიური ცოდნის კონსტრუირების პროცესად და ორიენტრიებულია მოსწავლის მიერ საკუთარი სწავლა-სწავლები პროცესის დაგემვაზე. სამიზნე ცნებების კომპონენტი სასწავლო პროცესში ცოდნის, უნარების, ღირებულებების ერთობლივ აღქმასა და მოქმედებას განაპირობებს. შესაბამისად, ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. შუალედური მიზნები განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. უპირატესობა ენიჭება ისეთი კომპლექსური დავალების პირობის შემუშვებას, რომელიც აამუშვებს მოსწავლის ფანტაზიას, გამოიწვევს მოსწავლეს და ცნობისმოყვარეობით შეეცდება პროდუქტის შექმნას. შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია კომპლექსური დავალებები და მათი დამუშავებისთვის სავალდებულო თემებში არსებული საკითხები, თავისი რესურსებით, რომელიც უნდა დამუშავდეს კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელების დროს. კურიკულუმში გასაწერია კომლექსური დავალების იდეა, კონტექსტ მაგალითი, შედარებითი მაგალითი. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი.

a. ინტერვიუს პროცესში კათედრამ გამოხატა მზაობა აქცენტი გააკეთონ მეტაკოგნიცის განვითარების სტრატეგიებზე, ისაუბრეს მოსწავლეთა თვითრეფლექსიებზეც, სადაც მოსწავლე აანალიზებს რა გამოუვიდა კარგად, რატომ და რა იყო ის ცოდნა და გამოცდილება რამაც წარმატება მოუტანა. კომპლექსური დავალება ცხოვრებისეული სიტუაციების დავალების პირობად გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. მასწავლებლებმა აცნობიერებენ, რომ აღნიშნული პირობა მოსწავლეს მისცემს შესაძლებლობას გამოთქვას ვარაუდები, მოსაზრებები, იმსჯელოს, გააკეთოს დასვნა რაც უდაოდ გამოიწვევს მასში თვითკმაყოფილებას რომელიც მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი მდგენელია.

**b.** აგებულია ისეთი კურიკულუმები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების დაფარვას ემსახურება. შუალედური სასწავლო მიზანი - კომპლექსური დავალება, საშუალებას იძლევა დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. შემუშავებული კურიკულუმები,

ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასების დოკუმენტები, მასწავლებლის თვითრეფლექსია და ურთიერთშეფასების რეფლექსია საშუალებას იძლევა ვიფიქროთ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ თემა, სამიზნე ცნება, სასწავლო რესურსები. ფლობენ განსმაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სტრატეგიებს. თუმცა, დასაზუსტებელი აქვთ საკითხთა კლასტერის გამოყოფა, შესაბამისი ქვეცნებისა და ქვესაკითხის დაზუსტება. ინტერვიუს დროს აღმოჩნდა, რომ კათედრას აქვს მზაობა ერთობლივი მუშაობით შეჯერდნენ კომპლექსური დავალების პირობებზე და კარგად გამოიყენონ კონტექსტ მაგალითები რაც გლობალური ფუნქციური უნარების კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის, კოლაბორაციის, მოქალაქეობისა და ხასიათია და ნებელობის განვითარებაზეა ორიენტირებული. ყველა უნარის ეტაპობრივი განვითარება კი პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებია, რადგან ნებისმიერი სწავლის პროცესში მოსწავლე ჩართულია კომუნიკაციაში, უწევს შემოქმედებითად მიუდგეს პრობლემის გადაჭრას, იაზროვნოს კრიტიკულად, იმუშაოს ინდივიდუალურად, ჯგუფურად, ისწავლოს დამოუკიდებლად, მოუსმინოს სხვებს. შეაფასოს, შეძლოს თვითშეფასება რაც ეხმარება მისი პიროვნული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში და ითხოვს არა მხოლოდ ამ უნარების აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივ მასალაზე დაყრდნობით იგეგმება საინტერესო სასწავლო პროექტების განხორციელება, ასევე სამიზნე ცნებების სიღრმისეულად გააზრებაზე, რაც ითვალისწინებს თანამედროვე მოზარდის ინტერესებსა და საჭიროებებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. მასწავლებლებს, ძირითადად, გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, დავალებები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. მათში გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარი ორიენტირები. შუალედური სასწავლო მიზანი - კომპლექსური დავალება, საშუალებას იძლევა დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. შემუშავებული კურიკულუმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასების დოკუმენტები, მასწავლებლის თვითრეფლექსია და ურთიერთშეფასების რეფლექსია საშუალებას იძლევა ვიფიქროთ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ თემა, სამიზნე ცნება, სასწავლო რესურსები. ფლობენ განსმაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სტრატეგიებს.

**a.** დასაზუსტებელია საკითხთა კლასტერის გამოყოფა, შესაბამისი ქვეცნებისა და ქვესაკითხის დაზუსტება. ინტერვიუს დროს აღმოჩნდა, რომ კათედრას აქვს მზაობა ერთობლივი მუშაობით შეჯერდნენ კომპლექსური დავალების პირობებზე და კარგად გამოიყენონ კონტექსტ მაგალითები რაც გლობალური ფუნქციური უნარების კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის, კოლაბორაციის, მოქალაქეობისა და ხასიათია და ნებელობის განვითარებაზეა ორიენტირებული. ყველა უნარის ეტაპობრივი განვითარება კი პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებია რადგან ნებისმიერი სწავლის პროცესში მოსწავლე ჩარტულია კომუნიკაციაში, უწევს შემოქმედებითად მიუდგეს პრობლემის გადაჭრას, იაზროვნოს კრიტიკულად, იმუშაოს ინდივიდუალურად, ჯგუფურად, ისწავლოს დამოუკიდებლად, მოუსმინოს სხვებს. შეაფასოს, შეძლოს თვითშეფასება რაც ეხმარება მისი პიროვნული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში და ითხოვს არა მხოლოდ ამ უნარების აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. ინდიკატორი შესაბამისობაშია. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.** ინკლუზიური განათლების კონცეფციის თანახმად, სკოლაში შექმნილია გარემო, რომელშიც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. მასწავლებლები კარგად იცნობენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლის წინარე ცოდნას, ამოსავალ წერტილად მიიჩნევენ მის ინტერესებს და მიყვებიან ანვითარების დინამიკას. გამოყენებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები როგორც სახელმძღვანელოების ასევე სხვადასხვა ბმულებისა და ინტერნეტრესურსების სახით. კომპლექსური დავალებების პირობები მრავალფეროვანი პროდუქტის შექმნის შესაძლებლობებს იძლევა: პოსტერის, პრეზენტაციის, ბუკლეტისა და სხვა.

**a.** ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლისათვის განსაკუღრებულად ყურადსაღებია სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, რომელიც გულისხმობს მოსწავლეზე ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნას. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აქვს პანდუსი, ლიფტი, საბუნებისმეტყველო საგნებისათვის განკუთვნილი საკლასო ოთახები განთავსებულია მაღალ სართულებზე, შინაარსობრივად, კურიკულუმებში გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლის ინტერესები და მასწავლებლებს შეუძლიათ კომპლექსური დავალების პირობის მოსწავლეთა შესაძლებლობებზე მორგება. ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, სთავაზობენ მრავალფეროვან რესურსებს, სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებული აქვთ ინდ გეგმები, რომელთა დახვეწასა და სრულყოფასაც გეგმავენ, კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების საშუალებით. გასაუბრებისას მასწავლებლებში ჩანდა ხედვა, თუ როგორ წარმართავდნენ სასწავლო პროცესს ინდივიდუალური მიდგომებით მოსწავლეთა მიმართ. როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ, დიფერენცირებული მიდგომები უფრო მკაფიოდ აისახება უშუალოდ კომპლექსურ დავალებებში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. კურიკულუმებში გათვალისწინებულია როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებლი შეფასების რუბრიკები და სქემები. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია განმავითარებელი შეფასების ნიმუშები, რომელიც ეყრდნობა სოლო ტაქსონომიას და ზოგად წარმოდგენას ქმნის სკოლის ფარგლებში შეფასების აღნიშნული ტიპის წარმოების წესზე. განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ისეა ჩამოყალიბებული რომ ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მიმდინარე სხვადასხვა სახის მეთოდური ორიენტირების გამოკვეთას. გულისხმობს მოსწავლის მხრიდან შესრულებული სამუშაოს აღწერას და წარმოდგენილი ნაშრომის გასიტყვებას და შეფასებას. კათედრის მიერ წარმოდგენილია შეფასების რუბრიკების ჩარჩოები (რამდენიმე ნიმუში), რომლებიც მიემართება სამიზნე ცნებებზე-გრძელვადიან მიზნებზე, და, ასევე, შეფასების რუბრიკები, რომელიც აფასებს მოსწავლის ცოდნას სტანდარტის შედეგებთან მიმართებით. მოსწავლეები მუდმივად იღებენ განმავითარებელ უკუკავშირს, ძირითადად ზეპირსიტყვიერად. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების გამოყენებით ადგენენ მოსწავლის მიღწევის დონეს. გლობალური უნარ-ჩვევების შესაფასებლად გამოიყენება ჯგუფური მუშაობის, ინფორმაციის მოძიების, პრეზენტაციის, დისკუსიის, კვლევის და ა.შ

**a.** ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს განმავითარბელი შეფასების ეფექტიანობაზე. აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალების დასრულების შემდეგ სოლო ტაქსონომიაზე დაყრდნობით აფასებენ მოსწავლეთა ცოდნის დონის შესაბამისობას შესასწავლ ცნებებთან და

მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებაში. უნდა ითქვას, რომ გამოხატეს ერთგვარი უკმაყოფილება მოსწავლეთა სოლო ტაქსონომიით შეფასებასა და მათთვის განმავითარებლი კომენტარის წერასთან დაკავშირებით, თუმცა, აცნობიერებენ, რა განმავითარებელი შეფასების აუცილებლობას, თვლიან რომ სისტემატიურად იმუშავებენ აღნიშნული სირთულის დასაძლევად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5.** 2023-2024 სასწავლო წლისათვის სასკოლო კურიკულუმების დაგეგმვა/შედგენისას კათედრის წევრები ითვალისწინებდნენ წინა სასწავლო წლის გამოცდილებას. წინარე გამოცდილებას დაგეგმვის პროცესში აქტიურად და სისტემატურად იყენებენ. ეს გამოიხატა როგორც მთლიანად კურიკულუმის შემუშავებაში, ასევე საკითხებისა და კომპლექსური დავალებების შერჩევაში, შემოქმედებითი პროდუქტისა და აქტივობების შერჩევაში. აჯამებენ რა კათედრაზე შედეგეს და უზიარებენ კათედრის წევრები ერთმანეთს მოსწავლეთა მიღწევებს, ყოველივეს ითვალისწინებენ დაგეგმვის პროცესში. მაგალითისათვის გასაუბრებაზე განიხილეს ერთ-ერთი კომპლექსური დავალება, რომელიც გასულ სასწავლო წელს განახორციელეს და შემოქმედებით პროდუქტად შესთავაზეს მოსწავლეებს, ეფექტიანობის გამო აღნიშნული კომპლექსური გათვალისწინებული აქვთ 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმშიც. მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინებით სასწვლო პროცესის დაგეგმვაზე გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს წარმოდგენილი კურიკულუმები. მასში გაწერილი თემები,საკითხები და კომპლექსური დავალებები, შინაარსობრივად ერთმანეთზეა აგებული და მოიაზრებს მოსწავლის წინარე ცოდნას. კათედრასთან ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად იყვნენ/არიან ჩართულები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, აკვირდებიან მოსწავლეთა სასწავლო პროცესსა და მიღწეულ შედეგებს, ეს კი საშუალებას აძლევს მათ მიღებულ გამოცდილებაზე/მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე/საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით, დაგეგმონ სასწავლო პროცესი.

**a.** კათედრები სისტემატიურად ხვდება ერთმანეთს და მასწავლებელები უზიარებენ ერთმანეთს წინარე გამოცდილებას, თუმცა როგორც აღნიშნეს, არ აქვთ გამოცდილების გაზიარების დოკუმენტური ანალიზი, რომლის მოგვარებასაც გეგმავენ, რათა უკეთესად დაგეგმონ სასწავლო პროცესი. კურიკულუმებში შეიტანეს მათ მიერ უკვე განხორციელებული და მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები, რომელიც მიდინარე სასწავლო წელს უნდა განახორციელონ და გამოთქვეს მზაობა რომ მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირის, რეფლექსიის შედეგების და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით მომავალი სასწავლი წლისთვისაც გადაამუშავებენ და დახვეწენ კურიკულუმებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*ექსპერტთა რჩევაა, საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემავალ ყველა საგნის პროგრამაში გაიწეროს და განისაზღვროს შუალედური მიზნები ყველა თემასთან მიმართებით, გამოიყოს კონტექსტ-მაგალითები და დამატებითი სასწავლო რესურსები.*

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- ✓ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 წ.წ.
- ✓ საგნობრივი კურიკულუმები;

- ✓ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
- ✓ ისგ;
- ✓ კომპლექსური დავალების ბარათები;
- ✓ თემატური ერთეულის მატრიცა;
- ✓ მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- ✓ ომპლექსური დავალების ანალიზი;
- ✓ კათედრის წევრებთან ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კურიკულუმების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის განხორცილება მიმართულია ისეთ საკლასო გარემოზე და საგაკვეთილო პროცესზე, როდესაც საკვანძოდ მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე არის სწავლა-სწავლების ცენტრში და აქტიურადაა ჩართული პროცესში. კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნები, საშუალებას მისცემს მოსწავლეს,

რომ განიხილოს ახალი ინფორმაცია, გადაამუშაოს და განიხილოს იგი ახალ კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ ზეპირი სახით. ამასთან ერთად, მაგალითები კონტექსტისა თუ შედარებისათვის და შერჩეული რესურსები ვალიდურია, რაც დაეხმარება მოსწავლეებს შესადარებელი მაგალითების განხილვაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შესაძლბელია დასკვნის გაკეთება, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ ინფორმაციის დამუშავების პორცესში მათი როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას.კურიკულუმების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის განხორცილება მიმართულია ისეთ საკლასო გარემოზე და საგაკვეთილო პროცესზე, როდესაც საკვანძოდ მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე არის სწავლა-სწავლების ცენტრში და აქტიურადაა ჩართული პროცესში. კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნები, საშუალებას მისცემს მოსწავლეს, რომ განიხილოს ახალი ინფორმაცია, გადაამუშაოს და განიხილოს იგი ახალ კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ ზეპირი სახით. ამასთან ერთად, მაგალითები კონტექსტისა თუ შედარებისათვის და შერჩეული რესურსები ვალიდურია, რაც დაეხმარება მოსწავლეებს შესადარებელი მაგალითების განხილვაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შესაძლბელია დასკვნის გაკეთება, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ ინფორმაციის დამუშავების პორცესში მათი როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმები გათვლილია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ყოველი თემა მუშავდება ეტაპობრივად, წინარე ცოდნის გააქტიურებით იწყება კომპლექსური დავალების პირობის გააზრება, ან მისთვის ნაცნობი კონტექსტითა თუ ცხოვრებისეული მაგალითით ეხმარება ახალი ინფორმაციის ძველთან დაკავშირებაში. შედეგად, მოსწავლე ინტერესით ერთვება მსჯელობაში, გამოთქვამს ვარაუდებს, ფიქრობს პრობლემის გადაჭრისა და პროდუქტის შექმნის საუკეთესო შესაძლებლობაზე. კურიკულუმებში მოცემული საკვანძო შეკითხვები, დავალებების კონტექსტს მაგალითები და სიტუაციური ქეისები ეხმარება მოსწავლეს ახალი ცოდნის კონსტრუირებაში ეხმარება. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები გააზრებული და შეჯერებულია საგნობრივი კათედრის წევრებთან, სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით, ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და მიღებული ინფორმაცია აქტიურად გარდაიქმნება ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ სასწავლო პროცესის წარმართვისთვის შეარჩიონ კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება მოსწავლეებისთვის

გამომდინარე მათი წინარე ცოდნა-გამოცდილებიდან. ეს კი დაეხმარება მათ ცოდნის კონსრტუირებაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს, ასევე ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ჩანდა, რომ სკოლა გარკვეულწილად ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. კათედრას წარმოდგენილი აქვს პროექტები და აქტივობები, ინტერვიუების დროსაც აღნიშნეს, რომ კათედრები სთავაზობს მრავალფეროვან პროექტებსა და სხვადასხვა ღონისძიებებს, რომელშიც მოსწავლეთა ჩართულობა, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და ანალიზის კომპეტენციების გაღმავებაა საჭირო.

სკოლაში სასწავლო პროცესი ხორციელდება მრავალფეროვანი სტრატეგიების საშუალებით და აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მაგ: საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლის საუკეთესო პრაქტიკაა ცდებისა და პრაქტიკულ/ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარება, რომლითაც მოსწავლეს საშუალება იძლევა თავად გახდეს პროცესის წარმმართველი, დააკვირდეს და გაანალიზოს ცდის შედეგები. ფიზიკის საკლასო ოთახში იგრძნობა მოსწავლეთა დაინტერესება მრავალფეროვანი აქტივობებით, თუმცა არ ფუნქციონირებს ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორია. გაწერილი და გამოკრული აქვთ ლაბორატორიის სარგებლობისა და უსაფრთხოების წესები. ბიოლოგიის ლაბორატორიაში განთავსებულია საგნის შესწავლისათვის გათვალისწინებული რამდენიმე თვალსაჩინოება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. კომპლექსური დავალების პირობის გააზრება თავისთავად ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებაზე. კერძოდ, საგნობრივ კურიკულუმებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებსა და მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში კარგად იკვეთება რომ სასწავლო პროცესში მოსწავლე ეცნობა ფაქტობრივ მასალას, სხვადასხვა წყაროებს, ინფორმაციას და იგროვებს ფაქტობრივ ანუ დეკლარატიულ ცოდნას. ამის შემდეგ ის იწყებს აზროვნებას როგორ შეასრულოს კომპლექსური დავალება, რა ნაბიჯები დაისახოს, როგორი თანმიმდევრობით და გამომიმუშაოს დავალების შესასრულებლად საჭირო უნარები, რას პროცედურული ცოდნის კლასიკური გამოვლინებაა. ამის შემდეგ კი იწყება პირობისეული ცოდნის გააქტიურება როდესაც მოსწავლე იწყებეს თეორიულ ცოდნაზე დაფუძნებით, სტრატეგიების მოქმდებაში გადატანას, რესურსების მოძიებას, ინფორმაციის დამუშავებასა და გამოსავალის ძებნას.

ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა დაადასტურეს რომ გააზრებული აქვთ თემატური გეგმის შემადგენელი კომპონენტების არსი, მათი მსჯელობის თანახმად, კომპლექსური დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ ქვესაკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც. სწორედ სამივე ცოდნის კატეგორიაზე ორიენტირებით მოიაზრებენ ახალი სასწავლო წლის წარმართვას. კათედრის მიერ დაგეგმილი კურიკულუმი ითვალისწინებს ცოდნის სამივე კატეგორიას. შეთავაზებული კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოსწავლეებს მოუწევთ როგორც ფაქტობრივი ცოდნის დაუფლება, ასევე პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება, ინფორმაციის მოძიება, ანალიზი, ლიტერატურული მასალის ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირება, მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებს, სადაც განსახილველი თემის შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის. წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემული დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. რაც ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ასევე, ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა მასწავლებელთა მზაობა, რომ დაგეგმონ და განახორციელონ მსგავსი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა.

სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ეს დასტურდება კურიკულუმის თემატური დაგეგმვით, მასში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით და პროექტული ტიპის აქტივობებით, რომლებიც ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, ახალი პროდუქტის შექმნაზე. მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, ხორციელდება ისეთი დავალებების საშუალებით, რომლებიც მოითხოვს შიდა და სხვა საგნის ინტეგრაციას ან/და ეფუძნება საგნობრივი და გამჭოლი კომპეტენციების ერთობლივ გამოყენებას. მაგ უცხოური ენების კათედრამ მტკიცებულების სახით, კათედრამ წარმოადგინა მრავალფეროვანი პროექტების დამადასტურებელი დოკუმენტაცია: მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებული პროექტი: "ეკო-თავგადასავალი", სოციალური პროექტი-„Grow your health, grow a garden!", საერთაშორისო პროექტი : "თავისუფლება და დემოკრატია" რომლის მიზნებია სამოქალაქო პასუხისმგებლობის და თანაგრძნობის, კრიტიკული და ანალიტიკური, ICT- უნარების განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ კომპონენტში სკოლა სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- ✓ სკოლის თვითშეფასების განაცხადი;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმები;
- ✓ მოსწავლის ინდ. სასწავლო გეგმის შემუშავების ოქმი;
- ✓ სკოლის თვითშფასების ფორმა.
- ✓ საერთაშორისო პროექტები: "ცოდნა გვიცავს"; "თავისუფლება და დემოკრატია"
- ✓ სოციალური პროექტი-„Grow your health, grow a garden!"
- ✓ კომპლექსური დავალების ბარათი;

- ✓ პრდაგოგებთან ინტერვიუ.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა ორიენტირებულია კომპლექსური დავალებებით სწავლებაზე, რაც მათ მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმშიც ნათლად არის ასახული, უნდა აღინიშნოს, რომ მე-7, მე-8 , მე -9 კლასის კურიკულუმში სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ჩანს, თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი ამა თუ იმ დავალებით. თუმცა საკითხები და კონტექსტ მაგალითები საჭიროებს ცვლილებებს. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის ამგვარად წარმართვისა, რაც დადასტურდა მათ მიერ კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპების დეტალური აღწერით. აგრეთვე იმის გათვალისწინება, რომ ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გააზრებული რომ განმავითარებელი რუბრიკა ეფძნება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას აქცენტირებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. გეგმავენ სრულად გაწერონ კურიკულუმები, სადაც გამოჩნდება, რომ სწავლა-სწავლების პროცესში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, მიზანს, საგნობრივ საკითხებსა და რესურსებს შორის.

სამიზნე ცნებას აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები, საფეხურის საკვანძო შეკითხვები, ხოლო მკვიდრი წარმოდგენები პასუხობს კითხვას რა არის სწავლის მიზანი. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ სკოლა სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებს კომპლექსურ დავალებებს,

თუმცა კურიკულუმებში დასაზუსტებელია ქვეცნებები, მაგალითად ბილოგიის კურიკულუმში ქვეცნება, საკითხთა კლასტერი, ქვესაკითხი მასწავლებლებს დასაკორექტირებელი აქვთ. აგრეთვე კორექტირება შეიტანეს ბუნებისმეტყველების, ქიმიისა და ფიზიკისა მასწავლებლებმა. ინტერვიუს მსვლელობისას აღნიშნეს, რომ მსჯელობისას უკეთესად გააცნობიერეს აღნიშნული და მომავალი სასწავლო წლის საგნობრივ კურუკულუმებში აუცილებლად გაითვალისწინებენ. განსაკუთრებული ყურადღებით ჩამოაყალიბებენ საფეხურის საკვანძო შეკითხვებს, ვინაიდა, როგორ ვასწავლოთ და როგორ დავამუშავებინოთ ინფორმაცია მოსწავლეებს ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია. ინდიკატორი შესაბამისობაშია. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, თემატური ბლოკები, თემები, კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები, კათედრის მიერ განხორციელებული პროექტები მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც.

სკოლა ჩართულია სხვადასხვა პროექტებში, რაც ხელს უწყობს არაფორმალური გარემოში მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-ემოციური უნარების განვითარებას. კურიკულუმებში გაწერილია სხვადასხვა აქტივობები, სკოლაში მუშაობს ეკო კლუბი, მაგ: ბიოლოგიის მასწავლებლებს აქვთ კვლევაზე დაფუძნებული აქტივობების გახორციელების პრაქტიკა, კერძოდ, გამოიკვლიეს ნიაგადში არსებული ბაქტერიები და შეისწავლეს ნიადაგის დაბუნძურების ხარისხი. ფიზიკაში განახორციელეს პროექტი „ხახუნის ძალია სასამართლო“ სადაც მშობლები ნაფიც მსაჯულთა როლში ჩართეს. სადამრიგებლო საათის ფარგლებში ტარდება მრვალაფეროვანი აქტივობები და განიხილება მნიშვნელოვანი საკითხები. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მიერ შექმნილი არაფორმალური განათლება, პროექტული სწავლება, პრიორიტეტულ თემებზე მაგ: ადამიანის უფლებები, გარემოს დაცვა- მიმართულია არა მხოლოდ შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. და ა.შ. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს მზაობა, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებული იყოს ფაქტობრივ ცოდნაზე და გაითვალისწინონ მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალური ყველა გარემოება. წარმოდგენილმა შეფასების რუბრიკებმა, ასევე ინტერვიუმ აჩვენა, რომ შეფასების წარმოებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ შეფასების სტრატეგიებს: რომელ მიზანზეა ორიენტირებული შეფასება, რამდენად აძლევს სასწავლო პროცესში შესრულებული დავალებები მოსწავლეს ცოდნის/საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალებას და რამდენად შეუწყო ხელი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესმა მოსწავლის ფუნქციური უნარების განვითარებას. მასწავლებლებს აქვთ მზაობა შეფასების სისტემების დახვეწისა. იაზრებენ, რომ მნიშვნელოვანია აქცენტი გააკეთონ არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე, თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას სრულყოფილად არ წარმოუდგენია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ახალი მოთხოვნის შესაბამისი კერძო რუბრიკები, გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული და დაგეგმილი აქვთ ამ ნაწილზე მუშაობა. გასუბრების შედეგების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა ასევე, რომ შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე და

ითვალისწინებს მოსწავლის ჩართულობასაც სასწავლო პროცესში. საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ზოგადი შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი და განმავითარებელი), სასკოლო სასწავლო გეგმაშიც განსაზღვრულია წინასწარ შემუშავებული სხვადასხვა აქტივობის შეფასების ინსტრუმენტები, თუმცა ნაწილი არ შეესაბამება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და გადახედვას საჭიროებს.

წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ნათელია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის: ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. კერძოდ, განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, რომ იცოდნენ თუ როგორ ფასდება მათი ცოდნა და შეფასების სქემა მკაფიო და დახვეწილია. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების სისტემური ხედვა და მზაობა რომ შეფასების კონცეფციის, მეთოდიკური ორიენტირებისა და მიდგომის შემუშავებით შეარჩიონ შეფასების ინსტრუმენტი, განსაზღვრონ შეფასების ინსტრუმენტი და შეიმუშაონ შეფასების კრიტერიუმები.

შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეები ჩარტული არიან შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში რაც ზრდის სანდოობას, პარალელური კლასის მასწავლებლების აფასებენ მოსწავლეთა ნამუშევრებს. მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ ეცნობიან კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკებს რაც გამჭირვალობის დასტურია .სამართლიანობისა და ობიექტურობის თვალსაზრისით კომპლექსური დავალების წარდგენის შემდეგ მოსწავლეები აფასებენ ერთმანეთს და მსჯელობენ გასაუმჯობესებელ შედეგებზე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5.** სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით შეფასების ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. სკოლის დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მასწავლებლებს გააჩნიათ შეფასების ინსტრუმენტების გადახედვა/შეცვლის გამოცდილება. ისინი ითვალისწინებენ დავალებების, შემაჯამებელი წერების შეფასების რუბრიკების შესაბამისობას დავალების მიზნებსა და შინაარსთან. ასევე მის სანდოობასა და გამჭვირვალობას, რაც სკოლას მტკიცებულებად უდევს საგნობრივ მეთოდოლოგიურ ჩარჩოში, კათედრის ოქმებსა და შეფასების რუბრიკებში.

რადგან ვერიფიკაცია რეალურად მოსწავლის მიღწევის ანალიზია, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ამ მექანიზმს სკოლა იყენებს. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა შეფასება, შეფასების განხილვა და ანალიზი. მათ კარგად ესმით, რომ ეს ანალიზი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ილუსტრაცია იმისა, თუ რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწვალების პროცესის საყრდენს. ინდიკატორი კრიტერიუმთან შესაბამისობაშია **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**6.** ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლას

შემუშავებული აქვს სპეციალური განმავითარებელი შეფასების ფორმა. როგორც წლიური, ასევე საფეხურის ნიშნები და საგნის მასწავლებლების ანალიზის საქმისმწარმოებლისთვის მიწოდებას უზრუნველყოფს დამრიგებლი. ყოველი წლის ბოლოს იწერება ბრძანებები კლასის დაძლევასთან დაკავშირებით დამრიგებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*რჩევა: (საზოგადოებრივი მეცნიერებები)*

- ✓ *კურიკულუმებში გადაიხედოს და ჩასწორდეს სავალდებულო თემებში შესაბამისი საკითხების კლასტერები გაერთიანდეს შენაარსიის მიხედვით.*
- ✓ *შეიქმნა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები კონკრეტული კომპლექსური ბუნების დავალებების ფარგლებში.*

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- ✓ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმები;
- ✓ მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- ✓ მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზი
- ✓ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- ✓ შეფასების მასალები;
- ✓ მოსწავლის ინდივიდუალური გეგმა;
- ✓ სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები;
- ✓ სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- ✓ სასწავლო პროექტები: "ცოდნა გვიცავს" " იყავი ჯანმრთელი- იცხოვრე დიდ ხანს"
- ✓ მასწავლებლებთან ზეპირი გასაუბრება;
- ✓ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- ✓ სკოლის სასწავლო გეგმის პროექტი.

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლა ცდილობს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ურთიერთობები დაფუძნებულია ნდობასა და ურთიერთპატივისცემაზე, რაც, უპირველეს ყოვლისა, დიდ გავლენას ახდენს სასწავლო გარემოზე. სკოლა ასევე ცდილობს უზრუნველყოს პოზიტიური კლიმატი, როგორც საკლასო ოთახში, ისე სკოლის დონეზე. მასწავლებელები გამოხატავენ ადეკვატურ პატივისცემას მოსწავლეების მიმართ, მასწავლებლები უსმენენ მოსწავლეებს და აწვდიან დროულ უკუკავშირს. კლასებში ტარდება სადამრიგებლო სააათი, სადაც აქცენტი კეთედება ბავშვთა უფლებებსა და მოვალეობებზე სკოლაში და მის გარეთ. გენდერზე, გარემოს დაცვაზე. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სკოლის ხედვა: „სკოლაში ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ყველა მოსწავლე შეძლებს ცოდნის შეძენას.“ სკოლას შემუშავებული აქვს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი. მასწავლებელთან ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, რომ მასწავლებლები თანამშრომლობენ, ცვლიან საკუთარ მიგნებებს, იყენებენ დიფერენცირებული მიდგომებს. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა პროექტში. სკოლა ცდილობს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ურთიერთობები დაფუძნებულია ნდობასა და ურთიერთპატივისცემაზე, რაც, უპირველეს ყოვლისა, დიდ გავლენას ახდენს სასწავლო გარემოზე. სკოლა ასევე ცდილობს უზრუნველყოს პოზიტიური კლიმატი, როგორც საკლასო ოთახში, ისე სკოლის დონეზე. მასწავლებელები გამოხატავენ ადეკვატურ პატივისცემას მოსწავლეების მიმართ, მასწავლებლები უსმენენ მოსწავლეებს და აწვდიან დროულ უკუკავშირს. კლასებში ტარდება სადამრიგებლო სააათი, სადაც აქცენტი კეთედება ბავშვთა უფლებებსა და მოვალეობებზე სკოლაში და მის გარეთ. გენდერზე, გარემოს დაცვაზე. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სკოლის ხედვა: „სკოლაში ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ყველა მოსწავლე შეძლებს ცოდნის შეძენას.“ სკოლას შემუშავებული აქვს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი. მასწავლებელთან ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, რომ მასწავლებლები თანამშრომლობენ, ცვლიან საკუთარ მიგნებებს, იყენებენ დიფერენცირებული მიდგომებს. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა პროექტში.
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასევე დეკლარირებულია თანამშრომლობითი და გაზიარებულ პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული პროცესების დამყარების სურვილი სასკოლო ცხოვრებაში, მაგალითად მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად მასწავლებელი ვალდებულია კათედრას წარუდგინოს კურიკულუმის დანერგვის პროცესში ის რესურსები, აქტივობები და შეკითხვები, რომლებმაც პროცესში ხელი შეუწყო მოსწავლეთა ჩართულობას, წინსვლას, სამიზნე ცოდნის გააზრებულად აგებას. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ გაკვეთილებზე დასწრება, უკუკავშირის გაცემა და შემდეგ მათზე რეაგირება პოზიტიურ გარემოში ხდება, შექმნილია კეთილგანწყობილი გარემო, სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობები დამყარებულია ურთიერთპატივისცემაზე და ღიაობაზე.

სკოლაში შექმნილია გარემო, რომელიც ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეებს სწავლასა და განვითარებაში. მათთვის შექმნილია ისგ ჯგუფები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ინტერესების და შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოკვეთას. სსსმ მოსწავლეები ჩართული არიან ყველა დაგეგმილ აქტივობასა და ღონისძიებაში. სასწავლო პროცესი მიმართულია მიმღებლობასა და მხარდაჭერაზე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლის თვითშეფასების ფორმაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; მასწავლებლები აქტიურად იყენებენ გარე სივრცეებს გაკვეთილების თუ პროექტების განსახორციელებლად. სკოლა ახორციელებს სხვადასხვა სახის სასწავლო პროექტებს, ატარებს ღონისძიებებს. ინტერვიუს დროს ისაუბრეს მასწავლებლებმა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეების საჭიროებებზე, შესაძლებლობებზე, ინტერესებზე და სწავლის სტილზე ორიენტირებულად. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის დროს მოსწავლე არის აქტიური თავისი სწავლის პროცესში, ხოლო მასწავლებელი გეზის, მიმართულების მიმცემი. სკოლაში გამოყენებულია დიფერენცირებულ სწავლების მეთოდები. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება მოიაზრებს განმავითარებელ შეფასებასაც. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას სთავაზობენ არჩევანს, თუ რა ფორმით წარადგინონ დავალება.

სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებიც ამაზე მეტყველებს - შერჩეული თემები, საკითხები სრულად შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებსა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას. მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს ძლიერი მხარეების განავითარებაში, ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში. მასწავლებლის მიერ ხდება პერიოდული გამოკითხვები, რომლის ანალიზის შედეგად შესაძლებელი იქნება სასწავლო პროცესის ისე დაგეგმვა, რომ მაქსიმალურად გაითვალისწინონ თითოეული მოსწავლის საჭიროება.

სკოლის თვითშეფასების ფორმაში ასევე ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები კერძოდ, მშობელთან კომუნიკაციას, პრობლემებთან ჩაღრმავება/იდენტიფიცირებისა და მოგვარების თვალსაზრისით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი აქტიურად თანამშრომლობს ერთმანეთთან როგორც ფორმალურ ასევე არაფორმალურ გარემოში, ხდება მასწავლებელთა შეხვედრები, პრაქტიკის გაზიარება, სიახლეების დანერგვა. ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით. თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ ,,კათედრები საჭიროების შემთხვევაში მართავენ შეხვედრებს ,სადაც განიხილავენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს ,როგორიცაა მოსწავლეთა მიღწევები სასწავლო წლის განმავლობაში, კომპლექსური დავალებების შედეგების ანალიზი, შეფასების რუბრიკების შემუშავება , გაკვეთილზე ურთიერთდასწრებისას ანგარიში .სკოლაში ასევე არსებობს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის წევრებიც აქტიურად ესწრებიან კოლეგებს , შემუშავებული შეფასების სქემის შესაბამისად აკვირდებიან გაკვეთილების ჩატარების პროცესს, აფასებენ მასწავლებლის მუშაობას და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ეხმარება მასწავლებელს თვითგანვითარებაში''.

მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს დაგეგმოს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია). სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სკოლაში

შექმნილია პოზიტიური და მეგობრული გარემო, მოსწავლეებს, მშობლებს და სკოლის თანამშრომლებს ყოველთვის შეუძლიათ დააფიქსირონ საკუთარი აზრი სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, ხშირად ხდება მათი პოზიციის გათვალისწინება. პრდაგოგები აღინიშნა, რომ აქტიური კომუნიკაცია აქვთ მოსწავლეებთან, რომელთა ინიციატივების შესაბამისად ეწყობა სხვადასხვა სახის პროექტები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.მასწავლებლებთან გასაუბრების დროს და სკოლის თვითშეფასების დოკუმენტზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. თითოეული მასწავლებელი ცდილობს შექმნას პოზიტიური გარემო არა მარტო საკლასო ოთახში, არამედ მთლიანად სკოლაში. აქ შექმნილია სივრცეები, სადაც აქვთ გამოფენილი მოსწავლეთა ნამუშევრები. ასევე სკოლაში მიმდინარე პროექტებში მოსწავლეებთან ერთად აქტიურად იღებენ მონაწილეობას მშობლები და ცდილობენ პოზიტიური განწყობა შემოიტანონ სკოლის ცხოვრებაში. სასკოლო საზოგადოების წევრები თანასწორნი არიან: მიუხედავად ეროვნებისა, რელიგიური აღმსარებლობისა და სქესისა. სასწავლო პროცესში მოსწავლეთა და მასწავლებელთა ნებისმიერი ინიციატივა წახალისებულია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მოსწავლეები ჩართული არიან სასწავლო პროექტებში. გასაუბრების დროს შესამჩნევი იყო მასწავლებლებს შორის პოზიტიური დამოკიდებულება. კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია ნდობაზე დაფუძნებული პოზიტიური და მიმღებლობითი გარემო. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს მეტად თავდაჯერებულები იყვნენ.

გარემოს შექმნაში მოსწავლეები თავად არიან ჩართულნი და აქვთ ხელმისაწვდომობა მატერიალურ რესურსებზე, კომპიუტერულ ტექნიკასა და ინტერნეტზე. შინაგანაწესით განსაზღვრულია სკოლაში ქცევის წესები, ხოლო საკლასო სივრცეებში განთავსებულია მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ ერთობლივად შემუშავებული და შეთანხმებულია კლასში ქცევის წესები. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია და მას აქვს შესაძლებლობა საკუთარი აზრის ღიად, თავისუფლად გამოხატვისა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოზიტიური საკლასო თუ სასკოლო კლიმატის შექმნას. სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასკოლო კლიმატი,რაც გამოიხატება სასკოლო საზოგადოებას(მოსწავლე,მშობელი,მასწავლებელი დირექცია) შორის ძლიერი თანამშრომლობით და კეთილგანწყობით.სკოლა პოზიტიური სასკოლო კლიმატის შსაქმნელად გეგმას მრავალ აქტივობას,რომელიც ასახულია ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**ხარვეზი:** დაწესებულებას არ აქვს საკმარისი რაოდენობის და დასახელების ინვენტარი ბუნებისმეტყველების გაკვეთილების ჩასატარებლად, არ არის გამართული საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიები. როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მრავალრიცხოვანი კლასების გამო და მასწავლებელთა სიმრავლის გამო (2 ქიმიის, 2 ფიზიკის, 2 ბიოლოგიის და 2 ბუნებისმეტყველების მასწავლებელია) ყველა მასწავლებელი ყველა გაკვეთილს ვერ ატარებს საგნისათვის განკუთვნილ საკლასო ოთახში. გარდა ამისა, სკოლას არ აქვს რეაქტივები ქიმიის ცდების ჩასატარებლად, ლაბორატორიაში არ არის ონკანი და გამწოვი კარადა. შესაბამისად, დასკვნის პროექტში ექსპერტთა მიერ, 2.2 კომპონენტი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.

დაწესებულებამ 2023 წლის 30 ნოემბრის # N1623837 და 04 დეკემბრის N1636155, კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება No99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მე-15 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. აღნიშნული გეგმის თანახმად, 24.11.2023-24.11.2024 პერიოდში უზრუნველყოფს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრას. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული კომპონენტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (24.11.2023-24.11.2024) უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიის მოწყობა.*

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- ✓ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში;
- ✓ სასწავლო გეგმის პროექტები;
- ✓ კათედრის შეხვედრის ოქმები;
- ✓ კათედრის ანგარიშის ფორმები;
- ✓ სასკოლო პროექტები;
- ✓ საფეხურის კურიკულუმები;
- ✓ მასწავლებლებთან ინტერვიუები;
- ✓ სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- ✓ კათედრების ანგარიშის ფორმა;
- ✓ შესაბამისობის უზრუნვეყოფის გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლაში იწარმოება სწავლების ხარისხის მონიტორინგი, სკოლას შემუავებული აქვს კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება პერიოდულად სასწავლო წლის განმავლობაში სხვადასხვა საგანში და საფეხურზე განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. ეს მეთოდებია: ურთიერთდასწრება, დასწრების ფურცელი კათედრაზე და რეფლექსია, დირექციის მიერ დასწრება, უკუკავშირების ფორმები - ზეპირი რეკომენდაციები. ასევე მასწავლებელთა სწავლების ხარისხზე დაკვირვება და ამ ხარისხის გაუჯობესების რეკომენდაციების გაცემა, საჭიროებებიდან გამომდინარე კონკრეტული აქტივობების დაგეგვმა/განხორციელება და ჩართვა.
20323-2024 სასწავლო წელს გამოიყენებენ მასწავლებლის თვითშეფასების რუბრიკას. ეს ინსტრუმენტი მასწავლებელს ეხმარება იმის გაცნობიერებაში, თუ რატომ იყვნენ /არ იყვნენ მოსწავლეები ჩართული კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში, რამ იმუშავა კარგად, რამ - დააბრკოლა მოსწავლეთა ჩართულობა; ამ ყველაფრის გათვალისწინება კი მასწავლებელს საშუალებას მისცემს, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის გააუმჯობესოს თემატური მატრიცა და უფრო ეფექტიანი გახადოს კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესი'' - ვკითხულობთ სკოლის თვითშეფასების ფორმაში.
კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების ფარგლებში სკოლა გეგმავს შეადგინოს კითხვარები მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის, რომელზეც დაყრდნობითაც გააკეთებენ SWOT-ანალიზს. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლის მიერ შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. ასევე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრაზე იგეგმება მონიტორნიგის მექანიზმის გაწერა, მოხდება დიაგნოსტიკური შეფასებები, მათ ანალიზსა და შემაჯამებლის ანალიზზე დაკვირვებით მოხდება მოსწავლეთა შედეგების რეფლექსია. აღნიშნული შედეგების საფუძველზე გაიცემა რჩევები და გაზიარებული იქნება მშობლისა და მოსწავლის დონეზე.
გასაუბრებისას კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ სკოლას გააზრებული აქვს დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების შესახებ მონიტორინგის მნიშვნელობა. ამ ეტაპზე სკოლა შემოიფარგლება ზეპირი უკუკავშირით. მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება სკოლას საშუალებას მისცემს, გამოკვეთოს არსებული პრობლემები და დაგეგმოს ამ პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობები. მონიტორინგისა და შეფასების აქტივობების დაწყებამდე მნიშვნელოვანია მეთოდოლოგიური ჩარჩოს/გეგმის შემუშავება, რათა მკაფიო იყოს რა კითხვებზე პასუხის გაცემას ემსახურება შეფასება. კათედრა კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის მიზნით შეიმუშავებს მექანიზმს ან შეარჩევს ინსტრუმენტს სარეკომენდაციო მასალებიდან და წარმოადგენს მეთოდოლოგიურ დანართში. საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ მათ მიერ დიაგნოსტირებისათვის შერჩეულია I. ინსტრუმენტი, ხოლო

პედაგოგიკური საქმიანობის კვლევას წარმართავენ თემატური გეგმების ანალიზის საფუძველზე, რაც ასევე დადასტურდა ჩატარებული ინტერვიუების პროცესშიც. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლაში მოსწავლის შეფასების პროცესი ემსახურება ისევ მოსწავლეების ინტერესებს, კურიკულუმის დახვეწას და განვითარებას. გასაუბრებიდან და სკოლის თვითშეფასების ფორმიდან გამომდინარე გამოიკვეთა, სასკოლო საზოგადოების წევრები საჭიროების მიხედვით იკრიბებიან და კათედრის შეხვედრებზე ერთმანეთს აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეთა მიღწევების შესახებ, გეგმავენ კონკრეტულ ნაბიჯებს, ახორციელებენ ერთმანეთის გაკვეთილებზე დასწრებას, უზიარებენ ერთმანეთს სუსტი და ძლიერი მხარეების შესახებ ინფორმაციას და ეხმარებიან მასწავლებელს სუსტი მხარეების გაუმჯობესებაში, ხოლო ძლიერი მხარეების გაზიარება ხდება სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებისთვის. ასევე, მასწავლებლის გაკვეთილებზე დასწრება ხდება მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარადჭერის ჯგუფის წევრების მიერ.

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება, როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, ისევე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს მასწავლებლის შიდა შეფასებას, კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან.. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის კათედრებიც. კათედრის წარმომადგენლები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას, რა გამოუვიდათ უკეთესად, რის განხორციელება ვერ შეძლეს და ასახელებენ მიზეზებს, რათა ერთად დასახონ პრობლემის გადაჭრის გზა. ეს ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას.

ამ ეტაპისათვის, რაც კათედრას ამ კრიტერიუმთან მიმართებაში აქვს წარმოდგენილია არის ის, რომ შერჩეულია სადიაგნოსტიკო შეფასების მესამე ინსტრუმენტი, რაც გულისხმობს კომპლექსური დავალების განხორციელებასა და მოსწავლეთა თვითშესაფების საფუძველზე ანალიზის გაკეთებას. კათედრა გეგმავს სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ განახორციელოს კურიკულუმის იმპლემენტაციიის მონიტორინგი. კათედრის წევრებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი გააზრებული და გონივრულადაა დაგეგმილი. მასწავლებლებს გაანალიზებული აქვთ მოსწავლეთა საჭიროებები და შესაბამისად აქვთ შერცეული სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი. შეიძლება დავასკვნათ, რომ კათედრის მიერ მონიტორინგისათვის შერჩეული და შემუშავებული მექანიზმი უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას და ეფექტურ სასწალო პროცესს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში ჩანს, თუ როგორ განსაზღვრავს მონიტორინგი და შეფასება პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. კერძოდ, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პრობლემების იდენტიფიცირებისა თუ გადაჭრის გზების მოსაძიებლად განხორციელებულმა აქტივობებმა პასუხი უნდა გასცეს კითხვებს: რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში? (მონიტორინგი) და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება). პედაგოგებმა ინტერვიუში აღნისნეს,

რომ სამომავლოდ გეგმავენ, ეს პროცესი იყოს უფრო ორგანიზებული, შექმნიან მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფს კურიკულუმების ეფექტიან მონიტორინგსა და შეფასებას. სკოლას აქვს მზაობა.

კურიკულუმის შემუშავების პროცესი ციკლურია და ამაში მოიაზრება მონიტორინგი და შეფასება, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალება. სკოლას აქვს მზაობა მომავალ სასწავლო წელს სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული მასალა გამოიყენოს პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისთვის. ამ ეტაპზე პედაგოგებს აქვთ ურთიერთდასწრების და განმავითარებელი შეფასების გამოცდილება, რაც პასუხს სცემს შეკითხვებზე და ადასტურებს რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად მიმდინარეობს.

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას გამოიკვეთება მიღწევები და პრობლემები, გაანალიზდება ისინი და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები. ამ მიმართულებით კათედრა გეგმავს წელიწადში ორჯერ დიაგნოსტიკური შეფასების ჩატარებას. ასევე პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევას თემატურ გეგმებზე დაყრდნობით.

ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით: მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად, რომელიც ორიენტირებულია მონიტორინგის და შეფასების საფუძველზე გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრაზე. კათედრას მონიტორინგისთვის შერჩეული აქვს ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომელიც გულისხმობს პარალელურ კლასებში განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე დაკვირვებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- ✓ სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ✓ სკოლის სასწავლო გეგმა;
- ✓ სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- ✓ კურიკულუმის შმუშავების მეთოდოლოგიის პროექტილ
- ✓ კურიკულუმები;
- ✓ კათედრის ოქმები/ანგარიშები;
- ✓ კონკრეტული მაგალითები წინარე გამოცდილებიდან.;
- ✓ მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.მომავალი საწავლო წლისთვის სკოლამ შეარჩია განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელი. სასკოლო კურიკულუმი ისეა გაწერილი თითოეული საგნის მიხედვით, რომ იძლევა საშუალებას, მასწავლებელი ინტეგრირებულად დააკვირდეს პროცესებს და გაითვალიწინოს მრავალმხრივი მონაცემები და მრავალფეროვანი მეთოდით მიიღოს სრული სურათი შეფასებასთან დაკავშირებთ. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, მათ შორის, მასწავლებლის დაკვირვებას, ყოველდღიური სასწავლო პროცესის შეფასების დინამიკას, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, კათედრის ხელმძღვანელის, დამრიგებლის, დირექციის უკუკავშირს. შეფასების შედეგად უნდა გაირკვეს, რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ შეფასების პროცესში იყენებენ მრავალფეროვან წყაროებს, როგორებიცაა: მოსწავლის წინარე ცოდნა და გამოცდილება, მოსწავლის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, რესურსებზე ხელმისაწვდომობა, მშობლების უკუკავშირი, დამრიგებლის უკუკავშირი, კლასში შემსვლელი სხვა საგნების მასწავლებელთა უკუკავშირი და სხვა. მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და სწორი ხედვა. იგივე ჩანს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშველოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგის ინფორმირებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ, რაც თავის მხრივ უადვილებს მასწავლებელს დაინახოს მოსწავლის განვითარების დინამიკა, ასვე მოსწავლეს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე. აღნიშნული სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. მასწავლებლებთან გასაუბრებამ გამოკვეთა, რომ მათ აქვთ ხედვა, იაზრებენ და ითავისებენ მოსწავლის შეფასების მნიშვნელობას, ეცნობიან მრავალფეროვან ინსტრუმენტებს და ნერგავენ პრაქტიკაში. აქვთ მზაობა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე იმუშაონ და განვითარდნენ ამ მიმართულებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2.ყველა საგნის კურიკულუმებში გაწერილია კომპლექსური დავალების იდეა. კომპლექსური  დავალებებით სწავლება კი გულისხმობს მოსწავლეების მზაობის, უნარების, შესაძლებლობების გათვალისწინებას. სკოლა, შეფასების მიზნიდან გამომდინარე, ახალი სასწავლო წლიდან სრულყოფილი ინფორმაციისთვის დააკვირდება და შეისწავლის მოსწავლის მზაობას სხვადასხვა კონტექსტებით და ფოკუსირებული დაკვირვების შედეგად შეფასება განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით: თანამშრომლობს თუ არა მოსწავლე თანაკლასელებთან წყვილსა და ჯგუფებში, როგორ იყენებს საკლასო სივრცეში არსებულ რესურსებს სასწავლო მიზნებისათვის. ასევე, ჩანს თუ არა მოსწავლის ნამუშევარში ინდივიდუალიზმი, რამდენად ავლენს ინიციატივას არაფორმალური აქტივობების განხორციელებისას. სკოლას ამ მხრივ აქვს სწორი ხედვა.

შეფასება ხორციელდება მრავალი კომპონენტის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს  თითოეულ მოსწავლეზე მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებას. ასევე შემდგომ ამ ყველაფრის  სასწავლო პროცესში გათვალისწინებას, სასწავლო თემების, საკითხების,  შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების სახით. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ამ მიმართუებით კიდევ ბევრი რამ აქვთ სამუშაო და გასაუნმჯობესებელი. სწორედ ამ მიზნით იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასება. სკოლას გააზრებული აქვს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტისა და  წინაპირობასა გათვალისწინებით, რაც საშუალებას აძლევთ  მოხდეს მოსწავლის მრავალიმხრივი ინტერესებისა და შესაძლებლობების  იდენტიფიცირება. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს ჰოლისტური შეფასების სქემის დახვეწას, რომელიც უფრო გააუმჯობესებს მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ განვითარებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.კათედრასთან გასაუბრების და დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოვლინდა, რომ სკოლას გამოცდილებაში აქვს მონიტორინგის და შეფასების განხორციელების პრაქტიკა. შეფასებისთვის სკოლა იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს, როგორებიცაა დაკვირვება, კითხვარები, მონაცემთა ანალიზი (შემაჯამებელი დავალების ანალიზი, ფინალური გამოცდების შედეგების ანალიზი), ინტერვიურება და ა.შ. პედაგოგები ცდილობენ შეისწავლონ რამდენად ეფექტურია მათ მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწვალის შედეგების თვალსაზრისით, როგორც ჩანს ისინი ცდილობენ შეფასებისას გაითვალისწინონ კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები და ა.შ.  შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების ისეთი მრავალფეროვანი მეთოდები, როგორიცაა: სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა, დაკვირვება, ინტერიუ, ფოკუსჯგუფი, ტესტირება. მონაცემთა შეგროვების ფორმა, რაც გაგვიადვილებს სასწავლო პროცესის კომპლექსურ შეფასებას.

სკოლას ნათლად აქვს წარმოდგენილი, თუ როგორ და რა მონაცემების მოგროვება სურს სასკოლო საზოგადოებიდან თუ სკოლის სტრუქტურული ერთეულებიდან კურიკულუმის დანერგვის მიმდინარეობის ერთიანი სურათის დასანახად.

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა 2023-2024 სასწავლო წლისათვის გეგმავს დიაგნოსტიკურ შეფასებას კომპლექსური დავალებების ანალიზის ინსტრუმენტის გამოყენებით. როგორც ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, სასწავლო პროცესის შეფასება მიმდინარეობს ურთიერთდასწრების, თვითშეფასების და ურთიერთშეფასების, მოსწავლეებთან საშინაო დავალების, საკლასო დავალების, კომპლექსური დავალების, შემაჯამებელი სამუშაოს შესრულების საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ კათედრაზე ჯერ კიდევ ბევრია ამ კუთხით სამუშაო

და განმავითარებელი შეფასება ისევ რჩება პრობლემურ საკითხად, რომელზეც მუშაობა კვლავ ინტენსიურად უნდა დაიგეგმოს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.მოსწავლის შეფასება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესია, შეფასებისას ითვალისწინებენ ინდივიდზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორებს: მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები, მშობლებისა და მასწავლებლების დამოკიდებულებები და სოციალური გარემო სადაც იგი იზრდება და ვითარდება. ასევე სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: დრო, სივრცე, გარემო... რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებაზე, ახდენს სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. ნებისმიერი მოვლენის შეფასებისას ცდილობენ, გათვალსიწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მოსწავლის შედეგზე.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (საგნობრივი კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები) იკითხება, რომ მოსწავლის შეფასებისას მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორებს, მათ ინტერესებს, სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაადგინოს, თუ რამდენად მონაწილეობენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა და/ან უშლიდა ხელს მათ ჩართულობას აღნიშნულ პროცესში. ამრიგად მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს როგორც მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ შიდა ფაქტორებს ასევე გარე მამოტივირებელ ფაქტორებს.

საგნობრივ კათედრაზე შემუშავებულია შეფასების სხვადასხვა რუბრიკა, რისი საშუალებითაც მასწავლებლები ადგენენ მოსწავლეთა ძლიერ და სუსტ მხარეებს და ამის გათვალისწინებით გეგმავენ სწავლების შემდგომ ეტაპს. ეძლევათ საშუალება მაქსიმალურად დაადაგინონ მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარე ამის გათვალისწინებით დაგეგმონ სწავლების შემდგომი ეტაპი. კათედრის წევრებთან ინტერვიუსა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების/თვითშეფასების ოქმის ანალიზიდან ჩანს, რომ სკოლა მხედველობაში იღებს სხვადასხვა ფაქტორს, როგორიცაა: მოსწავლის მოტივაციას, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნას, მიღწეულ შედეგებს და არა პიროვნულად მოსწავლეს. ითვალისწინებს ეთნიკურობას, ენობრივ ბარიერს, სოციალურმდგომარეობას, რელიგიას და სხვა მნიშვნელოვან გარემოებებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- ✓ ინტერვიუს წარმართვის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია;
- ✓ კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები;
- ✓ კურიკულუმები;
- ✓ შეფასების რუბრიკები;
- ✓ შემაჯამებელი ოქმები;

- ✓ სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- ✓ კომპლექსური დავალების ანალიზი, კომპლექსური დავალების ბარათები, მასწავლებელთა გამოკითხვა;
- ✓ სასკლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლაში კურიკულუმის განახლება ხდება წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე. ინტერვიუს დროს გამიკვეთა, რომ კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. კურიკულუმის რევიზიისას გათვალისწინებულია წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზი. ანალიზის საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციებს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად. მასწავლებლებს ესმით რომ არა სპონტანურად, არამედ თანმიმდევრულად უნდა წარიმართოს მიმდინარე წელიწადს კურიკულუმის დანერგვის შესახებ მონაცემების შეგროვება და დამუშავება. რეფლექსიით და საჭიროებების კვლევით ისინი შეძლებენ წლის ბოლოს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის ჩამოყალიბებას.

სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუმენტი, ასევე კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რაც ნიშნავს, რომ სკოლა კურიკულუმის განვითარების პროცესში ითვალისწინებს სასწავლო პროცესის ანალიზის საფუძველზე გამოტანილ დასკვნებს. ინდიკატორის მოთხოვნებს შეესაბამება.

მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ ახალი სასწავლო სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის მასწავლებლების თვითრეფლექსია, განვლილი პროცესების გაანალიზება, კათედრის წარმომადგენლები იკრიბებიან და განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს, მსჯელობენ მათ ეფექტიანობაზე, მონაცემების შეჯერების საფუძველზე მომზადდება რეკომენდაციები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისთვის. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში ყოველწლიურად ხდება სასკოლო კურიკულუმების განვითარება, რომელიც ეფუძნება წინარე გამოცდილებას და შეფასების შედეგებს. გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების მიზნები, სასწავლო რესურსები, სწავლების მეთოდები და სტრატეგიები. ეს მათ აძლევს საშუალებას დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გაზიარებულ იქნას სასკოლო საზოგადოების მიერ სამომავლო პერსპექტივების შესაფასებლად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2.კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახულია კურიკულუმის განვითარების ძირითადი პრინციპები, რომელებიც დაკავშირებულია სასკოლო და საგნობრივ კურიკულუმების გადასინჯვასთან და რევიზიის პროცესთან. მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი: „კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე“. აგრეთვე თვითშეფასების ფორმაშიც აღნიშნულია, რომ რევიზირებულ საგნობრივ კურიკულუმში აისახება წლის მანძილზე მიღებული გამოცდილება. სკოლას აქვს მზაობა და სამომავლო ხედვა.

სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კათედრა გეგმავს ყოველწლირად განიხილონ სასკოლო კურიკულუმი და შეიმუშავონ სასკოლო კურიკულუმის გაუმჯობესებული ვერსია. მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასკოლო კურიკულუმი მომავალ წელს უფრო გამართულ დოკუმენტად აქციონ, გაითვალისწინონ ყველა ის პრობლემა რომელიც განვლილ სასწავლო წელს მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და ასახონ, იმუშაონ პრობლემის დაძლევის გზებზე.

მიმდინარეობს მუშაობა კურიკულუმების დახვეწაზე. აპირებენ, რომ მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და შეფასების შედეგად დანახული მიგნებები ასახონ ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ახალი კურიკულუმის საბოლოო გაწერისას აპირებენ გაითვალისწინონ ის პრობლემები, რომელიც განვლილ სასწავლო წელს მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და ასახონ პრობლემის დაძლევის გზები. კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ წინა წლის საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება ასახულია 2023-2024 წლის კურიკულუმში . ახალი კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია ის პრობლემები, რომელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა.. კათედრის წევრები 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში გეგმავენ პარალელურ კლასებში ერთი და იმავე კომპლექსური დავალებების დანერგვას, წარმოდგენილი და გააზრებული აქვთ შესაფასებლად შემუშავებული ინსტრუმენტი.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- ✓ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის პროექტი;
- ✓ თვითშეფასების კითხვარი;
- ✓ კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის მეთოდოლოგია;
- ✓ ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- ✓ ფოკუსჯგუფთან მუშაობის დროს მოპოვებული ინფორმაცია.;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

არ აქვს.

04.12.2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ნინო ვასაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თამთა დარსაველიძე

ეთერი ბროლაძე

მანანა სეხნიაშვილი

ია გაგნიძე

სალომე არაბიძე

ელიზა კუკავა

ლელა გაბისონია

მანანა შეროზია

ალექსანდრე ლაცაბიძე

ნატო ხაჭაპურიძე